# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 4 ივლისი 2000 №125 (1147) | ფასი 50 თეთრი



ამთანდილ სვანიძე

ლონდონიდან




# უკეთესი არ არსებობს!

## უიმბლდონის გალაქტიკა

### ჩემპიონთა ალუმი

შაბათს, თბილისის დროით 5 საათზე, უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე იმდენი ვარსკვლავი შეიკრიბა, ბარე ორ და სამ გალაქტიკას ეყოფოდა.

ახალი ათასწლეულის დადგომასთან დაკავშირებით „ოლ ინგლენდ კლაბის" თავკაცებმა ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ დაგეგმეს ჩემპიონთა ალუმის მოწყობა. მიწვეულებში აღმოჩნდნენ გამარჯვებულები ერთეულებში, ორი ან მეტგზის ფინალისტები და მინიმუმ ოთხგზის ჩემპიონები წყვილებში და მიქსტში.

ლონდონში ჩამოსვლა მხოლოდ ორმა ჩოგბურთელმა იუარა: ჯიმი კონორსმა ორგანიზატორები პასუხის ღირსადაც არ ჩათვალა (ჯიმი ყოველთვის უცნაური ტიპი იყო, თავად უკრავდა და თავადვე ცეკვავდა — ეს მარტინა ნავრატილოვას კომენტარია), ფინალში ორჯერ გამწარებულმა ივან ლენდლმა კი ოკეანის გადმოსერვას გოლფის ტურნირზე თამაში ამჯობინა.

საზეიმო ცერემონია „შოტლანდიელ მცველთა ორკესტრმა" ოსკაროსანი ფილმის, „ცეცხლოვანი ბორბლების" მელოდიის ომახიანად შესრულებით გახსნა, მერე კი კორტზე ერთმანეთის მიყოლებით გამოლაგდნენ ლეგენდები.


იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი




REUTERS ფოტოქრონიკიდან

ევროპის ჩემპიონებმა ევროპის თასის მომგები როჟე ლემერი მხრებზე შეისვეს

UEFA EURO 2000

# საფრანგეთი აბსოლუტური ჩემპიონია



REUTERS ლონდონიდან

პიტ სამპრასი



REUTERS პარიზიდან

გადადიოდა ხელიდან ხელში... ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი და ნიკოლა ანელკა

| |
|---|
| როტერდამი<br>2 ივლისი<br>23.00 საათი<br>ფეიენოორდი<br>50 000 (ტევადობა 52 000) |
| **საფრანგეთი 2:1დ.დ.(1:1)იტალია** |
| 0:1 დელვეკიო (56), 1:1 ვილტორდი (90), 2:1 ტრეზეგე (103, ოქროს გოლი) |
| საფრანგეთი: ბარტეზი, ტურამი, ბლანი, დესაი, ლიზარაზუ (პირესი 85), ჯორკაეფი (ტრეზეგე 76), ვიეირა, დეშამპი, ზიდანი, დიუგარი (ვილტორდი 58), ანრი |
| მწვრთნელი: როჟე ლემერი |
| იტალია: ტოლდო, კანავარო, ნესტა, მალდინი, იულიანო, პესოტო, დი ბიაჯო (ამბროზინი 65), ალბერტინი, ფიორე (დელ პიერო 53), ტოტი, დელვეკიო (მონტელა 85) |
| მწვრთნელი: დინო ძოფი |
| გაფრთხილება: ტურამი, კანავარო, დი ბიაჯო, ტოტი |
| მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი) |
| კარისკენ დარტყმა: 7-7; კარში დარტყმა: 12-3; ჯარიმა: 18-29; კუთხური: 7-4; თამაშგარე: 6-7 |

ილია გაგუნაშვილი
როტერდამიდან



# ფრანგული აბსოლუტი

## ისტორიაში პირველად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ერთი და იგივე გუნდია...

90-ე **წუთი** დაიწყო. ჩვენგან მოედნის გადაღმა იტალიელთა სათადარიგო ფეხბურთელები ხელგადახვეულნი ჯაჭვად გამწკრივებულან და შვედი მსაჯის, ანდერს ფრისკის საბოლოო ჩასტვენას ელიან. ფრანგები შემორჩენილ ძალებს უხმობენ. იქნებ...

ჩვენს მხარეს ბურთი აუტში გადავარდა. ბლანი აწვდის. ძალიან ახლოსაა და კარგად ვხედავ, საოცრად მობილიზებული სახე აქვს. ნერვიულობა კი არ ეტყობა, უბრალოდ, კონცენტრირებულია, საოცრად კონცენტრირებული.

მე კი უკვე რედაქციაში გასაგზავნი წერილის შესავალს ვიგონებ: „ნათქვამია, ადამიანმა ის ტოტი არ უნდა მოჭრა, რომელზეც ზიხარო. ჭკვიანი კაცი გამოდგა იტალიის ნაკრების მწვრთნელი დინო ძოფი. ის ტოტის მნიშვნელობას იმთავითვე გრძნობდა და ფრიად სარისკო ნაბიჯიც გადადგა — ფრანჩესკო ტოტი სახალხო ვარსკვლავს, ალესანდრო დელ პიეროს ამჯობინა“...

მეოთხე მსაჯმა ოთხიანი აანთო. კარგა ხანი დაუმატებია.

მაგრამ, ეს ოთხი წუთიც იწურება. უცებ: დავიდ ტრეზეგე სილვენ ვილტორდს ბურთს უგდებს და... 1:1. ანგარიში გათანაბრდა. ამიერიდან ოქროს გოლი გადაწყვეტს ყველაფერს. შეიძლება, საქმე პენალტებამდეც მივიდეს.

მართალი გითხრათ, იტალიელთა შემადგენლობაში თამაშის ბოლოს მარკო დელ ვეკიოს ვინჩენცო მონტელათი შეცვლა არ მომეწონა. დელ ვეკიო თითქოს არ დაშავებულა და არც დაღლის გამო დაუკარგავს აქტიურობა. თანაც მოსული ბიჭია, ბურთს ილებს, ტანით ფარავს, ფეხზე მყარად დგას. ერთი სიტყვით, მისთვის პასის გადაწოდება შეტევის ჩაშლას სულაც არ ნიშნავს. პირიქით, დელ ვეკიო ბურთს რომ მიიღებს, თუ სახიფათო შეტევისთვის პირობები არ აქვს, შეინარჩუნებს, წამებს მოიგებს, ამასობაში ახლომახლო სხვა იტალიელებიც გაჩნდებიან და ყველაფერი თავიდან დატრიალდება. მაგრამ ახლა მის ნაცვლად მოედანზე მონტელაა და რომ ვაკვირდები, ბურთის დამაგრება უჭირს. თანაც, რომაელი თანაგუნდელის გასვლის შემდეგ ტოტის პასებს სიმწვავე დაეკარგა, უფრო სწორად, ადრესატი აღარ ჰყავს. დელ პიერო? მართალია, „იუვენტუსის“ ვარსკვლავი, რომელმაც ლუიჯი დი ბიაჯო შეცვალა, რამდენიმეჯერ ტოტის პასს კარგად გამოეხმაურა, მაგრამ ბოლოხანს უფრო დაცვისკენ იწევდა.

...დაიწყო დამატებითი დრო. ფრანგი გულშემატკივრების ტრიბუნიდან მარსელიეზა ისმის. ბოლოწამს გატანილმა გოლმა გული მისცათ.

შემდეგ „სკუადრა აძურას“ კარის მიმართულებით ჯარიმა დაინიშნა.

„ზი-ზუ, ზი-ზუ“ — მოითხოვენ ფრანგები.

ზინედინ ზიდანმა სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ამ დღეს მეორედ ააცილა.

შემდეგ — რობერ პირესი მარცხენა ფრთაზე ორ მცველს ცდება და აწვდის იქ, საიდანაც ტრეზეგე ბურთს ლურსმანივით აჭედებს ფრანჩესკო ტოლდოს კარის ბადეში.

მაშ, საფრანგეთი! პირველად ისტორიაში მსოფლიოს ჩემპიონმა ევროპის პირველობაზეც გაიმარჯვა.

არადა, იტალია სრულყოფილი გუნდი იყო, შეკრული, ტაქტიკურად უზადო, ფიზიკურად ძლიერი, მორალურად დაუმარცხებელი. თან ყველაფერი გათვლილი ჰქონდათ, ასეთი რამაც კი: ფინალისთვის ფორმები კენჭისყრით უნდა გაერკვიათ, რადგან ორივე გუნდის ძირითადი მაისურა ლურჯია, შორტი თეთრი, მაგრამ იტალიელებმა კეთილი ნება გამოიჩინეს, თავად თეთრი ფორმის ჩაცმა გადაწყვიტეს, მეტოქეს კი მთავარი სამოსი დაუთმეს. რატომ? თურმე ნუ იტყვით და, იმიტომ, რომ ორი წლის წინ, მსოფლიოს ჩემპიონატზე, მეოთხედფინალში პირიქით იყო და „სკუადრა აძურამ“ წააგო.

თუმცა ეს სახალისო წვრილმანი იქით იყოს.

...თავიდან შეხვედრა მაღალი ტემპით დაიწყო. ალალად უთქვამს დინო ძოფს, ნუ იფიქრებთ, რომ ჰოლანდიასთან შეხვედრის მსგავსად მთელ აქცენტს დაცვაზე გადავიტანთ, ფრანგებთან გავრისკავთ, შევუტევთ, [illegible] ბუნებრივია, არც ზურგს მოვიშიშვლებთო. ასეც მოხდა, კვირას როტერდამში მატჩი რომ გახურდა, გამოჩნდა, რომ თავის ნახევარზე გამაგრება და სწრაფი, გრძელი კონტრშეტევით მოწინააღმდეგის „გამოჭერა“ „სკუადრა აძურას“ ერთადერთი იარაღი სულაც არ იყო.

ერთი სიტყვით, პირველმა ნახევარმა უფრო ორმხრივ შეტევებში ჩაიარა, ხოლო საფრანგეთის ნაკრებში ჩემი ყურადღება კრისტოფ დიუგარიმ მიიპყრო. მან რამდენჯერმე გაუმართლებლად დაკარგა ბურთი და ყველა შემთხვევაში იტალიელებმა მსოფლიოს ჩემპიონის კარისკენ სახიფათო შეტევა წამოიწყეს. ერთ-ერთ ასეთ ეპიზოდს მოჰყვა ის შეტევაც, რომლის შემდეგ ბურთმა ფაბიენ ბარტეზის საჯარიმოსთან სახიფათოდ იტრიალა, ხოლო როდესაც ტოტიმ ჯანლუკა პესოტოს ქუსლით პასი გადააწოდა, ხოლო მან დელ ვეკიო შენიშნა, გოლით დასრულდა.

მაგრამ, როდესაც წამატებული დროც იწურებოდა, იტალიელი სათადარიგონი ხელგადახვეულნი ჯაჭვად ჩამწკრივებულიყვნენ და შვედი მსაჯის, ანდერს ფრისკის ბოლო ჩასტვენასღა ელოდნენ. დავიდ ტრეზეგემ სილვენ ვილტორდს ბურთი დაუგდო და ანგარიში გათანაბრდა.

მერე ყველაფერი ოქროს გოლს უნდა გადაეწყვიტა და მოხდა ის, რომ პირველად ისტორიაში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ერთი და იგივე გუნდი გახდა.

### მატჩის შემდეგ

ევროპის ახალგამომცხვარ ჩემპიონთა მწვრთნელმა **როჟე ლემერმა**, ბუნებრივია, გამარჯვებით გაიხარა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ წარმატებაში მათ სასწაული დაეხმარა: „როცა სათამაშოდ რამდენიმე წუთი დაგრჩა და შეხვედრას აგებ, ორმაგი ძალისხმევით უნდა შეუტიო, ჩვენ ბევრს ვცდილობდით, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა, ერთადერთი იმედი სასწაული იყო და ამჯერად გაგვიმართლა, სასწაული მოხდა. შემტევმა ფეხბურთმა გაიმარჯვა, ჩვენს გუნდში ნამდვილად ნიჭიერი თაობა მოვიდა. დამნაშავე ვიქნებოდი, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელთა პოტენციალი არ გამომეყენებინა. იტალიის ნაკრებმა სრულიად განსხვავებული ფეხბურთი ითამაშა, მათმა ტაქტიკამ ჩემპიონატზე გაამართლა. შემტევი ფეხბურთი „სკუადრა აძურამაც“ აჩვენა, გუნდი ორი ფორვარდით გვიტევდა“.

ადვილი მისახვედრია, რასაც განიცდიდა მატჩის შემდეგ იტალიის ნაკრების თავკაცი, **დინო ძოფი**: „ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ავადმოსაგონარი საღამო იყო — აღნიშნა პაპა დინომ — ფეხბურთში მსგავსი სასწაულები არცთუ იშვიათია, ძალიან ვწუხვარ, რომ დღეს დავმარცხდით. როცა გგონია, რომ მოიგე და სადაცაა ჩემპიონი გახდები, ამ დროს ყველაფერი წყალში გეყრება. ერთ გოლზე მეტის გატანაც შეგვეძლო, მაგრამ ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს, მიზეზს ნამდვილად ვერ ვიტყვი, თუმცა იმასაც ვერ დავაბრალებ, რომ მათ არ მოინდომეს. ზოგი მატჩი 120 წუთსაც გრძელდება. საკმარისია, ოდნავ არ გაგიმართლოს, რომ დამარცხდები, ასეთია თამაშის პრინციპი“.

მატჩის ერთ-ერთმა გმირმა, **ტიერი ანრიმ** მართალია, გოლი ვერ გაიტანა, მაგრამ ფრანგთაგან გამორჩეული იყო. აი, რა თქვა მან: „როცა ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდით, ხალხი ფიქრობდა, რომ საკუთარ კედლებში გამარჯვება გაგვიადვილდა. იმასაც ამბობდნენ, რომ იოლ ჯგუფში მოვხვდით და ძლიერ მეტოქესთან, იტალიასთან პენალტების სერია დაგვჭირდა. ახლა, ვგონებ, სათქმელი აღარაფერია, ურთულესი ჯგუფი იყო, შემდეგ გზად ესპანეთი და პორტუგალია შეგვხვდნენ. ფინალში იტალიის დამარცხება შევძელით. ურთულესი მატჩი იყო. კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ ძლიერი გუნდი გვყავს“.



REUTERS როტერდამიდან

იტალიელთა დრამა სილვენ ვილტორდის გოლით დაიწყო და...



REUTERS როტერდამიდან

...დავიდ ტრეზეგეს (20) გოლით დასრულდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მატჩის სტენოგრამა

2 — ტიერი ანრი მარცხენა ფრთაზე სახიფათოდ გაიჭრა, მაგრამ თანაგუნდელებს ზუსტი პასი ვერ მიაწოდა და შეტევა ჩაიშალა.

8 — სტეფანო ფიორემ იაქტიურა, ბურთი მარკო დელვეკიოს გადააწოდა, „რომას“ ფორვარდმა კი ვერ იყოჩაღა და შეტევა ხეირიანად ვერ დააგვირგვინა.

17 — დიდიე დეშამპმა საჯარიმოს მისადგომებთან ფრანჩესკო ტოტი წააქცია. ჯარიმა დემეტრიო ალბერტინიმ შეასრულა, მაგრამ არაზუსტად. ბურთი ფრანგთა კარს გადასცდა.

39 — ტიერი ანრიმ საჯარიმოში იური ჯორკაეფი მოძებნა, ამ უკანასკნელმა დაარტყა, მაგრამ ოდნავ სუსტად, ბურთს ტოლდო ადვილად დაეუფლა.

50 — ტიერი ანრი ფაბიო კანავაროს გასცდა და მარცხენა ფრთიდან ჩააწოდა, ბურთს ადგილზე არავინ დახვდა და სახიფათო იერიში ჩაიშალა.

56 — ფრანჩესკო ტოტიმ ქუსლით ჯანლუკა პესოტოს ეფექტური პასი გადასცა, „იუვენტუსის“ ნახევარმცველმა ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდა. მარსელ დესაიმ ვერ მოიგერია, მარკო დელვეკიომ კი ზუსტი დარტყმით მსოფლიოს ჩემპიონთა კარი დალაშქრა. „სკუადრა აძურამ“ ანგარიში გახსნა.

59 — ფრანჩესკო ტოტის პასით ალესანდრო დელ პიერო ხელსაყრელ პოზიციაში აღმოჩნდა, „იუვენტუსის“ თავდამსხმელმა კი თანაგუნდელი და იტალიის ნაკრების ქომაგები გაანბილა, უხეიროდ დაარტყა და კარს ააცილა.

69 — ფრანჩესკო ტოლდომ ტიერი ანრის სახიფათო დარტყმული მოიგერია, „არსენალის“ ფორვარდი საჯარიმოში სახიფათოდ შეიჭრა და დაარტყა, მაგრამ „სკუადრა აძურა“ მეკარემ იხსნა.

70 — ტოტი-დელვეკიოს კომბინაციამ ხეირი ვერ მოიტანა, ამ უკანასკნელმა ზუსტად ვერ დაარტყა.

77 — ტიერი ანრი კვლავ სახიფათოდ შეიჭრა იტალიელთა საჯარიმოში. ისევ ტოლდომ იყოჩაღა, დარტყმას გადაეღობა და გუნდი გოლისგან იხსნა.

84 — მასიმო ამბროზინიმ ალესანდრო დელ პიეროს კარგი შანსი მისცა. იუვენტუსელმა ვერც ამჯერად ივარგა, მეტად უხეიროდ დაარტყა და ბარტებმა აუღო.

90 — ხელსაყრელ პოზიციაში დარჩენილმა სილვენ ვილტორდმა იტალიელთა კარში ძლიერად დაარტყა, ალესანდრო ნესტას ბურთი ფეხებს შორის გაუძვრა, ტოლდო ვერაფერს გახდა. „ბორდოს“ ფორვარდმა ანგარიში ბოლო წამებზე გაათანაბრა. რამდენიმე წამში მსაჯმა ჩასტვინა. ძირითადი დრო ფრედ 1:1 დასრულდა. გამარჯვებული დამატებით დროში ანაც პენალტების სერიაში უნდა გამოვლენილიყო.

95 — რობერ პირესის დარტყმულს კვლავ ტოლდო გადაეღობა, დევიდ ტრეზეგემ დასწრებაზე ითამაშა, მაგრამ შემთხვევით მეკარეს გაარტყა ფეხი, ტოლდოს ცხვირი გაუტყდა და ექიმების დახმარება დასჭირდა.

103 — რობერ პირესი მარცხენა ფრთიდან სახიფათოდ შეიჭრა და საჯარიმოში ჩააწოდა, ტრეზეგე ადგილზე დახვდა ბურთს. ძლიერად, ეფექტურად დარტყმული იტალიელთა კარის ბადეში გაახვია. ფრანგებმა ევროპის პირველობაზე მეორე ოქროს გოლი გაიტანეს და მსოფლიოს ჩემპიონობას ევროპის უძლიერესი გუნდის ტიტულიც შეჰმატეს.



REUTERS

თამაში დამთავრდა, ტრიუმფი დაიწყო: საფრანგეთი ჩემპიონია!

# ფრანგებმა გამარჯვების ფასი იციან

საფრანგეთის ნაკრები პარიზში ტრიუმფით და ევროპის ჩემპიონის თასით დაბრუნდა. კვირას ფინალში იტალიასთან გამარჯვების შემდეგ ხალხი სულმოუთქმენლად ელოდა თავისი საყვარელი გუნდის სამშობლოში დაბრუნებას.

გამარჯვებული გუნდის წევრები სასტუმრო „კრილიონის“ დიდ აივანზე შეიკრიბნენ და იქიდან მიესალმნენ ათასობით ქომაგს, რომლებიც დროშების ფრიალითა და „ჩემპიონე-ჩემპიონე“-ს ძახილით ეგებებოდნენ ფეხბურთელებს.

გულშემატკივრთა რიცხვი 15 ათასიდან სულ მალე 35 ათასამდე გაიზარდა, დიდიე დეშამპმა ქომაგთა თვალწინ აივანზე კიდევ ერთხელ აღმართა თავს ზემოთ თასი.

კრისტიან კარემბუს მხარს უმშვენებდა მომხიბლავი მეუღლე ადრიანა, რომელიც ფრანგთა გამარჯვებით ხარობდა. ყველა ზეიმობდა დიდ გამარჯვებას.

„გამარჯვება კვლავ ჩვენ დაგვრჩა“ — გაიძახოდა ათასობით გულშემატკივარი — საფრანგეთში იციან ზეიმისა და გამარჯვების ფასი. ჩვენი ქვეყანა არა მარტო ფეხბურთში, ნებისმიერ სხვა სფეროში წავიდა წინ — ბიზნესში, ეკონომიკაში, კულტურაში — განაცხადა ერთ-ერთმა პარიზელმა ბიზნესმენმა.

— დღეს მთელი ქვეყანა ერთ მუშტად შეიკრა, ყველა ერთმანეთის მეგობარია, გუნდი ამას გრძნობს, მათი გამარჯვება ქვეყნისთვის დიდი საჩუქარია — თქვა რიგითმა ფრანგმა სტუდენტმა, რომელიც ტრიუმფის აღსანიშნავად მოედანზე მისულიყო.

— გუნდი, ფეხბურთი, ნაკრები ქვეყნის ერთიანობის სიმბოლოა, ჩვენს ნაკრებში ბევრი სხვადასხვა კულტურისა და წარმომავლობის ფეხბურთელია თავმოყრილი, ბედნიერი ვარ, საფრანგეთმა ორი წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ახლა კი კონტინენტის უძლიერესი გუნდი გახდა — აღტაცებას ვერ ფარავდა ერთ-ერთი პარიზელი.



REUTERS ჰარი ზიდან

შინ დაბრუნებული ფრანგი ევროპის ჩემპიონები დამხვდურთ ესალმებიან



## ძოფი რჩება

ფინალში დამარცხებული იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დინო ძოფმა თავისი გუნდის თამაში ევროპის ჩემპიონატზე ჯამში დადებითად შეაფასა. იქვე დასძინა, რომ „სკუადრა აძურას“ თავკაცის პოსტს არ დატოვებს და ნაკრებს მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლშიც უხელმძღვანელებს.

„შესაძლოა, გამოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ნაკრების უარყოფით თვისებებზე გაამახვილებენ ყურადღებას, მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წამი დაგვაკლდა ევროპის ჩემპიონობამდე. მერწმუნეთ, კონტინენტის პირველობის ფინალში გასვლა უდიდესი მიღწევაა, თუმც გამარჯვებას სულ სხვა ფასი აქვს, საცაა ტრიუმფი გველოდა, მაგრამ არ გაგვიმართლა, ნამდვილად დასანანია“ — განუცხადა დინო ძოფმა ჟურნალისტებს ბრიუსელის აეროპორტში, საიდანაც მისი გუნდი შინ, მილანში მიფრინავდა.

ბოლო ექვსი წლის მანძილზე იტალიის ნაკრები საერთაშორისო ტურნირების ფინალში მეორედ მოხვდა. ალბათ გახსოვთ, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე „სკუადრა აძურა“ ბრაზილიას შეხვდა. ფინალი მაშინაც დაძაბული გამოდგა და ფრედ დასრულდა. გუნდებმა მაშინ ერთმანეთს პენალტები დაურტყეს. ევრო 2000-ზე ასე არ მოხდა, დავიდ ტრეზეგეს გოლმა თამაშის ბედი დამატებით ტაიმში გადაწყვიტა.

ძოფის განცხადებით, მას სულაც არ აღელვებს მათი აზრი, ვინც მის ტაქტიკასა და თამაშის სტილს აკრიტიკებენ. „ბევრი დეტალია დასახვეწი, მაგრამ ცხელ გულზე უარყოფით მხარეებზე ვერ ვისაუბრებ“ — აღნიშნა ძოფმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



გიო ახვლედიანი

წერილები აღმოსავლეთიდან

სანკტ პეტერბურგიდან

# ისევ, ისევ...



ფრანგული ფეხბურთის სამი მწვერვალი: დიდიე დეშამპი ევრო 2000-ის ჩემპიონის თასით, ისვე 1998 წლის მსოფლიო თასით და მიშელ პლატინი 1984 წლის ევროპის თასით

ზოგადად რომ მოგახსენოთ, ახლა პეტერბურგში დაახლოებით თეთრი ღამეებია. ანუ მთლად თეთრი არ არის, მაგრამ მაინც თეთრს უწოდებენ. ამ თეთრ ღამეებში ხეირიანად ვერც გაიგებ, როდის უნდა დაიძინო.

პარიზში არ იცის თეთრი ღამეები. სრულიად. პეტერბურგი უდროო დროს გაღვიძების ალაგია და თუ ამ გაღვიძებისას შუადღე გგონია, სინამდვილეში დილის ხუთი საათი გამოდგება, ტელევიზორს ჩართავ — იქ პარიზს გადააწყდები. კერძოდ კი, პირდაპირ ჩართვას შანზელიზედან — „სიენენის" პარიზის ბიუროს შეფს საჭიროდ უცვნია, რომ თავად გადმოეცა პირდაპირი რეპორტაჟი ელისეს მინდვრებიდან, სადაც ჯერ დიდ ეკრანებზე ყურება იყო გახურებული, მერე კი სახალხო ზეიმი. ეს მთელი ღამის ამბავი იყო.

ბოლო ორ წელიწადში მეორედ ელისეს მინდვრები ფრანგთა მიერ მოგებულ უმაღლეს ტიტულს ეგებება სიხარულითა და ყიჟინით.

ახლა, რა თქმა უნდა, იოლია ლაპარაკი, მაგრამ საფრანგეთის ნაკრები რომ ჩემპიონობის პირველი პრეტენდენტი იყო, ნამდვილად იგრძნობოდა. ფრანგები ჩემპიონატისწინა ამხანაგურებშიც შთამბეჭდავნი იყვნენ და ევრო 2000-ის პირველსავე ტურშიც შემოჰკრეს ზარს. „იუვენტუსის" მომშთობ სტილს შეგუებულ ფეხბურთის მაცქერალ ხალხს თითქოს დაავიწყდა კიდეც, რომ არსებობს სულ სხვაგვარი ზინედინ ზიდანი. მოლასლასე „ჩელსის" მაყურებელი კაციც აღარ იფიქრებდა, რომ დეშამპი ამდენ ოფლს დაღვრიდა. ტიერი ანრი, პეტი და ვიეირა კი... აბა, საფრანგეთის ნაკრების ამ ლომთა სიას რომ გადახედავდი, რა დაგიდგებოდა თვალწინ? თქვენი არ ვიცი და, მე „გალათასარაი" — „არსენალის" მატჩი. ასე რომ, სეზონის რწმენა-წარმოდგენები დიდად არ განაწყობდა იმის საფიქრად, რომ თუ ვინმე გახდება ჩემპიონი, აუცილებლად ფრანგები.

მაგრამ სანაკრებო შეჯიბრებანი და სანაკრებო თამაშები სხვაა. განსაკუთრებით დიდ ტურნირებზე, სადაც ფორმის პიკი, ხასიათის პიკი და ათასი სხვა „პიკი" ერთმანეთს უნდა დაემთხვეს. ამას დაუმატეთ აუცილებლად სწორად შერჩეული შემადგენლობა, გათვლილი სტრატეგია, მოქნილი ტაქტიკა და, რა თქმა უნდა, იღბალი...

არა, ძმებო-ჯან, ჩემპიონობა ძალიან ძნელია.

განწყობა და ხასიათი ვახსენე და ბარემ აქვე ვიტყვი, ხომ გახსოვთ, როგორ ეჭირათ თავი ფრანგებს? ტოლდო, რა თქმა უნდა, უკეთესი მეკარეა, ვიდრე ბარტეზი — კარში მდგომს მას ბევრად მეტი შეუძლია, ვიდრე ბარტეზს, მაგრამ შეხედეთ ბარტეზს. შეხედეთ ბარტეზს! შეხედეთ როგორ მიდი-მოდის მინდორზე, როგორ დააქვს მხარ-ბეჭი, როგორ გეუბნება — ეს მე ვარ, ფაბიენ ბარტეზი, მსოფლიო ჩემპიონი. აი, გამოვედი მოედანზე, რომ მოვიგო.

ეს არის. ეს სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს ფეხბურთში. გამარჯვებულის პოზიციიდან გამოძერწილი ხასიათი. ასეა, როცა ზურგს დიდი გამარჯვებები გიმაგრებს.

ფეხბურთი კი სულ უფრო იწელება. ანუ ბოლო წუთებმა, მსაჯთა დამატებულმა წამებმა, ოქროს გოლებმა თამაშს ნერვების ახალი, უზარმაზარი პარტია შემატა.

ეს ფოტოფინიშების მთელი წყება ევრო 2000-ზე ასევე ფრანგთა სასარგებლოდ გათამაშდა.

სამი დღის განმავლობაში შეხვედრის ბოლო წამებზე საფრანგეთმა ორჯერ მოიგო. პირველად რაულმა ვერ გაუტანა პენალტი ფრანგებს, ხოლო მეორედ უგრძესი და მომქანცველი შეხვედრის მიწურულს ზიდანმა ოქროს პენალტი შეუგდო პორტუგალიელებს. ხუთი შეხვედრიდან ოთხი ფრანგებმა ერთნაირი ანგარიშით, 2:1 მოიგეს. დღევანდელობის კლასიკური ანგარიშით.

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები იმითაც არის გამორჩეული და ურთულესი ტურნირები, რომ აქ გამარჯვების მსურველმა დროის უმოკლეს მონაკვეთში ზედიზედ უნდა მოიგოს 3 ან 4 თამაში.

იუგოსლავიელებთან შეხვედრაში ჰოლანდიელთა მიერ გამართული შოუ დიახაც საამო საცქერი იყო, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, ჩემპიონატის მასპინძლებმა მოწინააღმდეგეს კი არა, საკუთარ თავსაც ვერ აჯობეს (პენალტების „მასობრივი" გამოუყენებლობა გონებაარეულობის ერთ-ერთი ნიშანია). ამას ფრანგებზე ვერ ვიტყვით. პირიქით. ხოლო ის, რომ ჰოლანდიამ საფრანგეთს მოუგო, ხუმრობაა და მეტი არაფერი. ამ შეხვედრას ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე. სამაგიეროდ, ყველა გაიხსენებს, როგორი მოქნილობითა და სიზუსტით სთხლიშა მარცხნიდან გამოჭრილ ბურთს ფეხი დავიდ ტრეზეგემ. „სთხლიშა", დიახ. სხვა სიტყვა ვერ მოვძებნე.

გუშინ, დილიდანვე, ევროპულმა გაზეთებმა ამ გვარის გათამაშება დაიწყეს თავიანთი საპირველგვერდო სათაურებში. ვარიაცია ორია: „TREZ, BIEN, FRANCE!" და „TREZ BON, FRANCE!" და ყველა ფოტოზე მაისურგადაძრობილი, შეშლილი ტრეზი.

ამ დღეებში არ იქნება ემე ჟაკე არ გაგახსენდეს კაცს. სწორედ მის ხელქვეით მოიპოვეს ფრანგებმა თავიანთი უდიდესი გამარჯვება. როჟე ლემერი ჟაკეს თანაშემწე იყო. ეს ამბავი ორი ირლანდიელის ისტორიას ჰგავს: ჯეიმს ჯოისს რომ პირად მდივნად სემუელ ბეკეტი ჰყავდა. პირველი ხომ რა განთქმულობის მწერალი იყო და მეორე ხომ რა დრამატურგი დადგა, ნობელის პრემია მიიღო.

ლემერის გუნდში ის ხალხია, ვისაც ჟაკემ მოუყარა თავი ხუთი-ექვსი წლის წინათ. მაგრამ ლემერის გუნდი სხვაა. ეს ასეც უნდა იყოს. ვერ ვიტყვი, უარესია თუ უკეთესი (ამაზე ლაპარაკი ძალიან შორს წაგვიყვანდა), მაგრამ ფაქტია, ესეც გამარჯვებული გუნდია.

და ამიტომ, აუცილებლად უნდა შევძახოთ ორი სიტყვა, რომელთაც მხოლოდ ძალზე ტიტულოვან გუნდთა შესახებ შევძახებთ ხოლმე:

ისევ ფრანგები!



ფრანგები ტრიუმფს შეეჩვივნენ

# პირველად იყო პელე



პელეს ზოგჯერ რაღაც-რაღაცეები ეშლება



ზურაბ მექველია

როტერდამიდან

როტერდამის „ფეიენოორდის" სტადიონი. ფინალამდე ზუსტად სამი საათია დარჩენილი. მალე ზიდანის თამაში უნდა ვნახო და უკვე ამ ფაქტითაც კმაყოფილი ვარ, თუმცა...

ცხოვრებაში პირველად პელე დავინახე. არა სურათზე ან ტელეეკრანზე, არამედ აგერ, ორ მეტრში ჩამიარა და თავისი ადგილისკენ გაეშურა. მალე „მასტერკარდის" ორგანიზებული პრესკონფერენცია იწყება. უცნობილეს ბრაზილიელს გვერდს ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე და მისი შოტლანდიელი კოლეგა ენდი როქსბურგი უმშვენებენ.

თავიდან ევრო 2000-ის 16 საუკეთესო ფეხბურთელი უნდა დაასახელონ. ესეც „ევროკარდ-მასტერკარდის" თაოსნობით კეთდება: ზემოჩამოთვლილ პირთა გარდა როი ჰოჯსონი, რინუს მიხელსი, ანგელ იორდანესკუ და იოზეფ ვენგლოში იყვნენ ამ საქმეში ჩართულნი და ყოველი მატჩის შემდეგ ერთ-ერთი მათგანი შეხვედრის გმირსაც ასახელებდა. ფინალის დღეს კი ამ ჩემპიონატის რჩეულნი გაგვაცნეს.

...რატომაა თქვენს ჩამონათვალში რაული და არა, მაგალითად, ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი სავო მილოშევიჩი? — პირველი კითხვა სერბ ჟურნალისტს ერგო. მანაც პასუხი პელეს მოსთხოვა.

თავიდანვე ვიტყვი, რომ პელემ, როგორც ყოველთვის, ბევრი შეცდომა დაუშვა, მის გამონათქვამებსაც უცვლელადაც გააზლებთ, თუმცა არ იფიქროთ, ვინმეს დაცინვას ვაპირებდე — ბოლო-ბოლო, ამ კაცმა რაც იცოდა, იმაში პირველი იყო, შექსპირობას კი არც არავინ თხოვს.

— ჩვენ მთელს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებიდან ვირჩევდით მოთამაშეებს და არა ნაადრევად გავარდნილებიდან (არადა, ესპანეთი და იუგოსლავია ერთ ეტაპზე გავარდნენ. ზ.მ.) — უპასუხა პელემ — ამიტომაც რაული ვარჩიეთ იუგლავ (!) მილოშევიჩს (!). შუქურიც კარგი იყო, ჰაქანი უფრო სწორად.

— თქვენ ვინ მიგაჩნიათ ამ ტურნირში უძლიერესად?

— ზიდანი.

არის იგი, თუნდაც მარადონას, ან პლატინის დონის ფეხბურთელი?

— მარადონას, პლატინის, ბობი მურის, ბობი ჩარლტონის, ბეკენბაუერის და ხენტოს დონის ფეხბურთელი რომ იყო, დიდხანს უნდა ჩანდე უმაღლეს დონეზე. თორემ არის ხალხი, ერთ ტურნირში გოლებს გაიტანს და მორჩა. აი, 1982 წელს იტალიელმა როსიმ (!) ბრაზილიას სამი გოლი გაუტანა და ქვეყანა აალაპარაკა, მაგრამ მაგის მეტი ველარაფერი გააკეთა. ზიდანზე კი გეტყვით, რომ თუ ასე გააგრძელა, პელე გახდება.

— ფიგუ სჯობს თუ ნუნუ გომეში? ცხადია, ეს კითხვა პორტუგალიელს მოუვიდოდა თავში.

— „სანტოსის" მწვრთნელი რომ ვიყო, ფიგუს ვამჯობინებდი.

— მარადონა პელეა? მუდმივი კითხვა აქაც გაისმა.

— მარადონას და მსგავს ფეხბურთელებს რომ მადარებენ, ჩემთვის დიდი პატივია.

— 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობის კანდიდატთაგან თქვენ ვის ემხრობით?

— ვგონებ, აფრიკის ჯერი დადგა, ამიტომ მაროკოს ვუჭერ მხარს.

— მიგაჩნიათ, რომ პორტუგალიის ნაკრები ნახევარფინალში უმსგავსო საქციელის გამო ევროპის მომდევნო ჩემპიონატიდან უნდა მოიკვეთოს?

— არა მგონია, ასეთ დროს სხვა გუნდებიც ასევე მოიქცეოდნენ.

ამასობაში თითო კითხვა პრეს-კონფერენციის დანარჩენ ორ მონაწილესაც დაუსვეს. ერთ მათგანს როქსბურგმა ბრწყინვალე უწოდა, პასუხად კი იტალიის ნაკრების ძლიერი მხარეების ჩამოთვლა დაიწყო. კითხვა კი ასეთი გახლდათ: თქვენს ჩამონათვალში 6 ფრანგია და მხოლოდ 3 იტალიელი. მაშ რაღას ვატარებთ ფინალს, ისედაც ყველაფერი გარკვეული ყოფილაო.

ჟერარ ულიემ კი თქვა, ევრო 2000 ბოლო ხუთი ევროპის ჩემპიონატებიდან საუკეთესოა, ამ ჩემპიონატზე შეტევამ გაიმარჯვა: ათი წლის წინ მართლაც დაცვა ზეობდა, მაგრამ ახლა შეტევის ხანააო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყველაზე...

**სააგენტო „როიტერმა“ ევროპის ჩემპიონატის ყველაზე დასამახსოვრებელი მომენტები გამოყო, რომლის გაცნობაც საინტერესო უნდა იყოს**

ყველაზე დრამატული მატჩი:
ესპანეთი — იუგოსლავია

ესპანელებს მეთხედფინალში გასასვლელად მოგება სჭირდებოდათ. ისინი სამჯერ აგებდნენ შეხვედრას და სამჯერვე შეძლეს გათანაბრება. მესამე და მეოთხე გოლები კი დამატებულ დროში გაიტანეს.

ყველაზე უინტერესო მატჩი:
შვედეთი — თურქეთი.

ყოვლად მოსაწყენი თამაში, არანაირი სახიფათო მომენტები.

უდიდესი შემობრუნება:
სლოვენია — იუგოსლავია.

მას შემდეგ, რაც იუგოსლავიელები 0:3 აგებდნენ და კაცნაკლულნი დარჩნენ, მათ შვიდ წუთში ანგარიშის გათანაბრება შეძლეს.

იმედგაცრუება:
ბელგია — თურქეთი

ბელგიის ნაკრები ევროპული ფეხბურთის გრანდებს არ განეკუთვნება, მაგრამ ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ჩემპიონატის მასპინძლები თურქებთან დამარცხდებოდნენ (ფრეც ხელს აძლევდათ) და ჯგუფში ჩარჩებოდნენ.

საუკეთესო გოლი:
ლუიშ ფიგუსი, ინგლისელთა კარში გატანილი

პორტუგალია პირველ ტურში ინგლისთან 0:2 აგებდა. ამ დროს ფიგუმ შორი მანძილიდან დევიდ სიმენს „ცხრიანში“ გაუტანა.

ყველაზე მნიშვნელოვანი შეცვლა:
სილვენ ვილტორდი, დავიდ ტრეზეგე, რობერ პირესი

მას შემდეგ, რაც საფრანგეთი ფინალში 0:1 აგებდა, როჟე ლემერმა მინდორზე ეს სამეული შეუშვა. ვილტორდმა ანგარიში გაათანაბრა, ხოლო პირესის პასით ტრეზეგემ ოქროს გოლი შეაგდო.

ყველაზე უხეში მოთამაშე:
გეორგე ჰაჯი.

მეოთხედფინალში ჰაჯისგან ჩაწიხლულ ანტონიო კონტეს ყავარჯნებზე შედგომა მოუხდა.

საუკეთესოდ შესრულებული პენალტი:
ზინედინ ზიდანისა პორტუგალიელთა კარში

ნახევარფინალში დამატებით დროში დანიშნული თერთმეტმეტრიანი ზიდანმა უნაკლოდ შეასრულა — მარცხენა ზედა კუთხეში. პენალტის შესრულებას კი პორტუგალიელთა ხუთწუთიანი კამათი უძღვოდა.

ულამაზესი პენალტი:
ფრანჩესკო ტოტის ჰოლანდიელთა კარში

ტოტიმ ედვინ ვან დერ სარს ცენტრში დაურტყა, მაგრამ ბურთი მეტად უცნაური ტრაექტორიით წავიდა.

ყველაზე ცუდი მეპენალტე:
ფრანკ დე ბური

ნახევარფინალში ფრანჩესკო ტოლდომ დე ბურს ორი პენალტი აუღო. ერთი თამაშის დროს, მეორე პენალტების სერიაში.

საუკეთესო პენალტების ამღები:
ფრანჩესკო ტოლდო

იტალიელმა მეკარემ ფრანკ დე ბურის გარდა პოლ ბოსველტსაც აუღო და ერთ თამაშში სამი მოგერიებული თერთმეტმეტრიანი მიითვალა.

უცუდესი პენალტი:
იაპ სტამის იტალიელთა კარში

ფრანკ დე ბურმა კარში დაარტყა და მეკარემ აუღო. იაპ სტამმა კი ბურთი კარს დიდი მანძილით ააცილა.

საუკეთესო ფეხბურთელი (ზიდანის გარდა):
ლუიშ ფიგუ

„როიტერი“ ზიდანის სხვებთან შედარებას შეუძლებლად მიიჩნევს. დანარჩენთაგან გამორჩეული კი ლუიშ ფიგუა — დიდებული ტექნიკით, უძლიერესი დარტყმით და გუნდისთვის მოტანილი სარგებლით.

ყველაზე უსარგებლო მოთამაშე:
სინიშა მიხაილოვიჩი

მიხაილოვიჩისგან აშკარად უკეთეს თამაშს ელოდნენ. იუგოსლავიამ ტურნირზე 13 გოლი გაუშვა, რაც სხვებთან ერთად ლაციოელი მცველის დამსახურებაცაა. ამასთანავე, მან სლოვენიასთან მატჩში წითელი ბარათიც მიიღო.

ყველაზე უხეში შეცდომა:
ფილიპ დე ვილდესი შვედებთან და თურქებთან შეხვედრაში

ჩემპიონატის პირველ მატჩში ბელგიელთა მეკარემ ბურთს მოგერიების ნაცვლად ფეხი დააბიჯა. დაკარგა და მეტოქეს გოლის გატანის საშუალება მისცა. თურქებთან კი თავდამსხმელთან საჰაერო ორთაბრძოლა წააგო — ჩაწოდებულ ბურთს თურქი თავით შესწვდა, ხოლო დე ვილდე ხელებით — ვერა.

ყველაზე იოლი ვერაღებული ბურთი:
ოლივერ კანისა პორტუგალიასთან მატჩში

ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში სერჟიუ კონსეისაუს დარტყმულის აღება ოლივერ კანის დარ გამოცდილ მეკარეს არ უნდა გასჭირვებოდა.

საუკეთესო თამაში მეორე შემადგენლობით:
პორტუგალია — გერმანია

პორტუგალიელთა მეორე შემადგენლობამ გერმანელთა პირველი გაანადგურა, ხოლო სერჟიუ კონსეისაომ ჰეთ თრიქი გააკეთა.

ყველაზე შემტევი გუნდი:
ჰოლანდია

ჰოლანდიელებმა გამართული ხუთი შეხვედრიდან სამში სამი ან მეტი გოლი გაიტანეს. მათ შორის ექვსი იუგოსლავიასთან.

ყველაზე ნაკლებად მოიერიშე გუნდი:
ნორვეგია

სკანდინავიელემა ჩემპიონატზე ერთადერთი გოლი გაიტანეს და ისიც ესპანელი მეკარე ხოსე ფრანსისკო მოლინას უხეში შეცდომის შედეგად.

ყველაზე არამებრძოლი გუნდი:
ინგლისი

ინგლისმა გერმანიას მოუგო. დანარჩენ ორ შეხვედრას კი იგებდა, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდა. პორტუგალიასთან მე-18 წუთისთვის ანგარიში 2:0 იყო და ინგლისმა 2:3 წააგო. ასეთივე ანგარიშით დასრულდა ინგლისელთა შეხვედრა რუმინეთთან. თუმცა ინგლისი 2:1 იგებდა.

ყველაზე სიმპათიური გუნდი:
სლოვენია

სლოვენიელთაგან კარგ შედეგს არავინ ელოდა. მათ კი იუგოსლავიასთან და ნორვეგიასთან ფრე გააკეთეს, თან იუგოსლავიელებს სამი გოლიც გაუტანეს.

ყველაზე უიღბლო გუნდი:
ჩეხეთი

ჩეხთა თამაში ამ ჩემპიონატზე ერთ-ერთ საუკეთესო იყო, ისინი კი ჯგუფიდანაც ვერ გავიდნენ. ამას მათ კარში დანიშნული საეჭვო პენალტიც დაემატა.

ყველაზე უსუსური გუნდი:
დანია

დანიამ სამივე შეხვედრა წააგო, ერთი გოლიც ვერ გაიტანა და საკუთარ კარში რვა გაუშვა.

დაკარგული რეპუტაცია:
ლოთარ მათეუსი

მათეუსი გერმანიის ნაკრებში პირველად ოცი წლის წინ გამოჩნდა. მას შემდეგ ნაკრების წარმატებებში მან უდიდესი წვლილი შეიტანა, მაგრამ ამ ჩემპიონატზე 39 წლის მათეუსმა თავი ვერაფრით ისახელა.

ყველაზე უწესო გულშემატკივრები:
ინგლისელები

გერმანიასთან მატჩამდე და მატჩის შემდეგ ინგლისელმა ქომაგებმა ბელგიურ პოლიციას მრავალი პრობლემა შეუქმნეს.

ყველაზე ულირსი გუნდი:
პორტუგალია

ნახევარფინალში პორტუგალიელთა კარში დანიშნულ პენალტს ფეხბურთელთა მხრიდან ლამის მატჩის ჩაშლა მოჰყვა. აბელ შავიერმა, ნუნუ გომეშმა (ის გააძევეს) და პაულუ ბენტუმ უეფასგან დისკვალიფიკაცია მიიღეს. ლუიშ ფიგუ გადარჩა, თუმცა ის შეხვედრის დასრულებას არ დაელოდა, მაისურა გაიხადა და მოედანი დატოვა.

ყველაზე კონსპირირებული გუნდი:
თურქეთი

მთელი ტურნირის მანძილზე თურქები ჟურნალისტებს გაურბოდნენ. მათ ვარჯიშებზე დასწრება ვერავინ შეძლო, ხოლო სავალდებულო პრესკონფერენციებზე მეტად სიტყვაძუნწნი იყვნენ.

ყველაზე დრამატული გადადგომა:
ფრანკ რაიკარდი

ფრანკ დე ბურის, პატრიკ კლუივერტის, იაპ სტამის და პოლ ბოსველტის გაფუჭებული პენალტების შემდეგ ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა გადადგომის შესახებ განაცხადა.

ყველაზე ცუდი მსაჯი:
პიერლუიჯი კოლინა

პირველ ტურში ჩეხეთს კარში დანიშნული საეჭვო პენალტის შემდეგ იტალიელი არბიტრი ჩემპიონატის ანტიგმირი გახდა.



ოლივერ ბირჰოფი: ოქროს გოლის პირველი გამტანი

# ფინალები, გოლები

ევროპის ჩემპიონატების ფინალურ მატჩებში გამარჯვებულმა მხოლოდ ერთხელ შეძლო ორ გოლზე მეტის გატანა. 1972 წელს ბრიუსელში დასავლეთ გერმანიამ საბჭოთა კავშირს 3:0 სძლია. ყველა სხვა შემთხვევაში ჩემპიონებს ფინალში ორი ბურთი გაჰქონდათ.

ჩემპიონის გამოსავლენად 90 წუთი აქამდე ოთხჯერ არ აღმოჩნდა საკმარისი. 1960 წელს საბჭოთა კავშირმა იუგოსლავიას დამატებით დროში მოუგო. 1968 წელს იტალია — იუგოსლავიის ფინალი ფრედ დასრულდა და გადათამაშება დაინიშნა. 1976 წელს ჩეხოსლოვაკიამ დასავლეთ გერმანია პენალტების სერიაში დაამარცხა (ერთადერთი შემთხვევა ევროპული ფინალების ისტორიაში). 1996 წელს კი გერმანელებმა ჩეხებს ოქროს გოლით მოუგეს.

გერმანელი ული ჰიონესი ერთადერთი ფეხბურთელია, ვისაც ევროპის ჩემპიონატის ფინალში პენალტი გაუფუჭებია. 1976 წელს მისი დარტყმული ხარიხას გადასცდა და ჩეხოსლოვაკიამ 5:3 მოიგო. აღსანიშნავია, რომ მატჩის მსვლელობისას გერმანელები 0:2 აგებდნენ და ბოლო წუთზე გათანაბრება შეძლეს.

მხოლოდ სამი ფეხბურთელი (და სამივე გერმანელი) გახდა ფინალში ორი გოლის ავტორი: 1972 წელს გერდ მიულერმა საბჭოელებს გაუტანა, 1980-ში ჰორსტ ჰრუბეშმა — ბელგიას და ოთხი წლის წინ ოლივერ ბირჰოფმა — ჩეხებს.

საფრანგეთი და იტალია მეორედ გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში. 1968 წელს იტალიელებმა შინ იუგოსლავიას მოუგეს, ხოლო 1984-ში ფრანგებმა ასევე შინ ესპანელები დაამარცხეს.

საფრანგეთის ნაკრები პირველი მსოფლიოს ჩემპიონია, ვინაც ორი წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვა. თუმცა, აქამდე პირიქით იყო. 1972 წელს დასავლეთ გერმანიამ კონტინენტის პირველობა მოიგო, ხოლო 1974-ში — მსოფლიოსი.

საფრანგეთის ნაკრები ერთადერთია, ვინაც ევროპის ჩემპიონობა მეორედ ირგუნა. მას გერმანია უსწრებს — ევროპის სამგზის ჩემპიონი.

ყველაზე მეტჯერ — ხუთჯერ ევროპის ჩემპიონატის ფინალებში გერმანელებმა ითამაშეს. ფინალში საბჭოთა კავშირის ნაკრები სამჯერ, ხოლო იუგოსლავია, ესპანეთი და ჩეხოსლოვაკია (ჩეხეთი) ორ-ორჯერ გავიდნენ. ახლა მათ იტალია და საფრანგეთიც დაემატათ.

ფინალის მოგების შემთხვევაში დინო ძოფი პირველი კაცი გახდებოდა, რომელიც ევროპის ჩემპიონობას როგორც ფეხბურთელი, ასევე მწვრთნელიც იზეიმებდა.

ანდერს ფრისკი პირველი შვედია, ვინაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას უმსაჯია.

საფრანგეთსა და იტალიას შორის გამართული წინა 29 შეხვედრიდან იტალიელებმა 16 მოიგეს, ფრანგებმა — ხუთი. თუმცა „სკუადრა აძურას“ საფრანგეთის ნაკრები 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მერე არ დაემარცხებინა.

ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო თუ ფინალურ ეტაპებზე იტალია და საფრანგეთი აქამდე არასდროს შეხვედრიან ერთმანეთს. მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მათ ოთხი მატჩი გამართეს. იტალიამ ორჯერ მოიგო, ფრანგებმა — ერთხელ, მათი ბოლო შეხვედრა წინა მსოფლიოს პირველობაზე ფრედ დასრულდა (ფრანგებმა პენალტების სერიით მოიგეს).

იტალიამ საფრანგეთი ყველაზე დიდი ანგარიშით 1920-ში დაამარცხა. თამაში მილანში გაიმართა და მასპინძლებმა 9:4 მოიგეს. ყველაზე დიდი სხვაობით კი „სკუადრა აძურამ“ მეტოქეს ტურინში 1925 წელს სძლია — 7:0.

ფრანგთა იტალიელებზე ყველაზე დიდი ანგარიშით გამარჯვება 1912 წლით თარიღდება. შეხვედრას ტურინმა უმასპინძლა და სტუმრებმა 4:3 იძალეს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ფრანგებს იტალიელებისთვის ორბურთიან სხვაობაზე მეტით არასდროს მოუგიათ. ეს ორჯერ მოხდა — 1982 წელს პარიზში და 1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე, ორჯერვე ანგარიში 2:0 იყო.

ამ ჩემპიონატის ფინალისტთაგან მხოლოდ ფრანჩესკო ტოლდომ და მარსელ დესაიმ ჩაატარეს ყველა შეხვედრა სრულად.

უეფას ძველი წესებით, მარსელ დესაის და პატრიკ ვიეირას ფინალური მატჩი ორ-ორი გაფრთხილების გამო უნდა გამოეტოვებინათ. მაგრამ უეფამ მათ ჯგუფურ ეტაპზე მიღებული სასჯელი გაუუქმა და მხოლოდ ნახევარფინალში ნაჩვენები ყვითელი ბარათები ჩაუთვალა.

ევროპის ჩემპიონატების ფინალში ბოლო პენალტი ოთხი წლის წინ ჩეხმა პატრიკ ბერგერმა გაიტანა. ხოლო ფინალში გაფუჭებული ბოლო თერთმეტმეტრიანი იგორ ბელანოვის ანგარიშზეა — მისი დარტყმული 1988 წელს ჰოლანდიელმა მეკარე ჰანს ვან ბროკელენმა მოიგერია.

აქამდე ფინალში პირველი გოლის გამტანმა გუნდმა თამაში მხოლოდ ორჯერ დათმო. 1960 წელს იუგოსლავიელმა მილან გალიჩმა საბჭოელებს გაუტანია, რაც თამაშის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა, ხოლო 1996-ში პატრიკ ბერგერის გოლს გერმანელმა ოლივერ ბირჰოფმა ორით უპასუხა.

1984 წლის შემდეგ ევროპის ჩემპიონატი ტურნირის მასპინძელ ქვეყანას არ მოუგია. მაშინ ეს საფრანგეთმა შეძლო.

**ევროპის ჩემპიონატების ყველა ფინალი 1960-2000**

| | | | |
|---|---|---|---|
| 10 ივლისი, 1960 | პარიზი | სსრკ — იუგოსლავია | 2:1დ.დ. (1:1) |
| 21 ივნისი, 1964 | მადრიდი | ესპანეთი — სსრკ | 2:1 |
| 8 ივნისი, 1968 | რომი | იტალია — იუგოსლავია | 1:1 |
| 10 ივნისი, 1968 | რომი | იტალია — იუგოსლავია | 2:0 (გადათამაშება) |
| 18 ივნისი, 1972 | ბრიუსელი | გფრ — სსრკ | 3:0 |
| 20 ივნისი, 1976 | ბელგრადი | ჩეხოსლოვაკია — გფრ | 2:2 (პენ. 5:3) |
| 22 ივნისი, 1980 | რომი | გფრ — ბელგია | 2:1 |
| 27 ივნისი, 1984 | პარიზი | საფრანგეთი — ესპანეთი | 2:0 |
| 25 ივნისი, 1988 | მიუნხენი | ჰოლანდია — სსრკ | 2:0 |
| 26 ივნისი, 1992 | გიოტებორგი | დანია — გერმანია | 2:0 |
| 30 ივნისი, 1996 | ლონდონი | გერმანია — ჩეხეთი | 2:1 დ.დ. (ოქროს გოლი, 1:1) |
| 2 ივლისი, 2000 | როტერდამი | საფრანგეთი — იტალია | 2:1დ.დ. (ოქროს გოლი, 1:1) |

# ოლ სტარის პროგრამა, მილიონნახევარი გირვანქა და ტიერი ანრი

### ევრო 2000-ის სიმბოლური ნაკრები კომპანია EUROCARD-MASTERCARD-ის მიხედვით

მეკარეები
ფრანჩესკო ტოლდო (იტალია), ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი)

მცველები
ლორან ბლანი (საფრანგეთი), მარსელ დესაი (საფრანგეთი), ალესანდრო ნესტა (იტალია), ფაბიო კანავარო (იტალია), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია)

ნახევარმცველები
პატრიკ ვიეირა (საფრანგეთი), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), ხოსეპ გვარდიოლა (ესპანეთი), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია)

თავდამსხმელები
ტიერი ანრი (საფრანგეთი), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ნუნუ გომეში (პორტუგალია), რაულ გონსალესი (ესპანეთი)

„ევროკარდ-მასტერკარდი" საკრედიტო ბარათების გარდა სპორტის სფეროში აქტიური საქმიანობითაც ცნობილია. რაც შეეხება ევრო 2000-ს, ის მისი სპონსორია.

თუმცა ფინანსურ მხარდაჭერასთან ერთად „ევროკარდ-მასტერკარდმა" პრიზებიც დააწესა, რომლებსაც ის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელებს გადასცემს. საინტერესოა, რომ ეს ფინანსური ჯგუფი ეგრეთ წოდებულ „ოლ სტარის პროგრამას" 1991 წლიდან ახორციელებს და ამ ხნის მანძილზე საუკეთესო მოთამაშეთა დასაჯილდოვებლად მილიონ-ნახევარი გირვანქაც დაუხარჯავს.

ცხადია, „ევროკარდ-მასტერკარდის" წლევანდელი სიმბოლური ნაკრები აწ დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შედეგების მიხედვით არის შედგენილი. მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ფეხბურთელთა არჩევაში ორგანიზაცია ცნობილი სპეციალისტების მოსაზრებას დაეყრდნო.

უეფაში მუშაობს ფეხბურთის განვითარების შემსწავლელი ტექნიკური კომისია. მისი თავმჯდომარე შოტლანდიელი ენდი როქსბურგია, ხოლო წევრები ფრიად პატივსაცემი პიროვნებები არიან: როი ჰოჯსონი, ჟერარ ულიე, რინუს მიხელსი, ანგელ იორდანესკუ და იოზეფ ვენგლოში. „ევროკარდ-მასტერკარდის" სიმბოლური ნაკრებიც სწორედ მათი შედგენილია.

დავუმატოთ, რომ „ევროკარდ-მასტერკარდი" თექვსმეტკაციანი ნაკრების დასახელებას ამჯობინებს, ნაცვლად სტანდარტული თერთმეტკაციანისა.

„ევროკარდ-მასტერკარდის" სიმბოლურ ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონატზე გამართული 31 შეხვედრის ამდენივე საუკეთესო ფეხბურთელის სიაცაა. მათ საერთო ისა აქვთ, რომ ორივე ზემოთ ნახსენები კომისიის წევრთა შედგენილია.

ფინალამდე ასეთი მდგომარეობა იყო: ტიერი ანრი, ზინედინ ზიდანი, ლუიშ ფიგუ და ერიკ მიუკლანდი ორ-ორჯერ გამხდარიყვნენ მატჩის საუკეთესო მოთამაშენი. ამ წოდებას ფიგუ და მიუკლანდი მესამედ გასაგები მიზეზების გამო ვეღარ მიიღებდნენ, ანრის და ზიდანს კი ამის შესაძლებლობა ჰქონდათ.

კომისიამ ტიერი ანრი ფინალის საუკეთესო მოთამაშედ ცნო, რითაც მან ერთგვარი ჰეთ თრიქი შეასრულა.



ტიერი ანრი ფინალამდე ორჯერ და ფინალშიც საუკეთესო იყო

## ევრო 2000-ის სიმბოლური ნაკრები „სარბიელის" ვერსიით




**გიორგი ჩიკაშვილი**

ფრანჩესკო ტოლდო, აბელ შავიერი, ალესანდრო ნესტა, ლორან ბლანი, ფაბიო კანავარო, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, სტეფანო ფიორე, ტიერი ანრი, რაული

**სოლომონ გულიაშვილი**

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, მარსელ დესაი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, პაველ ნედვედი, ლუიშ ფიგუ, ედგარ დავიდსი, ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

**გიორგი დარჯანია**

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ლორან ბლანი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, დემეტრიო ალბერტინი, ზინედინ ზიდანი, ბუდევეინ ზენდენი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

**გიორგი ვაშაკიძე**

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, მარსელ დესაი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ედგარ დავიდსი, ზინედინ ზიდანი, დენის ბერხკამპი, პატრიკ კლუივერტი, სავო მილოშევიჩი

**კახა თალაკვაძე**

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, პატრიკ ვიეირა, პატრიკ კლუივერტი, ნუნუ გომეში

**მამუკა კვანტალიანი**

ფრანჩესკო ტოლდო, სოლ კემპბელი, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, პაველ ნედვედი, ნუნუ გომეში, სავო მილოშევიჩი

**ზაზა კვანტალიანი**

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, დენის ბერხკამპი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

**სოსო კოტორიშვილი**

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, ლორან ბლანი, ალესანდრო ნესტა, ფაბიო კანავარო, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, ფრანჩესკო ტოტი, ნუნუ გომეში, პატრიკ კლუივერტი

**ვანო ოქროპირიძე**

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, მარსელ დესაი, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, მარკ ოვერმარსი, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

**მერაბ რატიშვილი**

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, ზინედინ ზიდანი, ედგარ დავიდსი, პატრიკ ვიეირა, ტიერი ანრი, სავო მილოშევიჩი

**თენგიზ ფოფხაძე**

ფრანჩესკო ტოლდო, ლილიან ტურამი, მარსელ დესაი, პაოლო მალდინი, ფრანჩესკო ტოტი, ლუიშ ფიგუ, ედგარ დავიდსი, ზინედინ ზიდანი, ტიერი ანრი, პატრიკ კლუივერტი, სავო მილოშევიჩი

**გიორგი ხარატიშვილი**

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ფრანკ დე ბური, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, პატრიკ ვიეირა, ზინედინ ზიდანი, ფრანჩესკო ტოტი, სავო მილოშევიჩი, ტიერი ანრი

**ნოშა ინასარიძე**

ფრანჩესკო ტოლდო, ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, ბიქსენტ ლიზარაზუ, სტეფანო ფიორე, დემეტრიო ალბერტინი, ედგარ დავიდსი, ზინედინ ზიდანი, რაული, ტიერი ანრი, პატრიკ კლუივერტი




**გურამ ხელაშვილი**

ფრანჩესკო ტოლდო, ბიქსენტ ლიზარაზუ, ფაბიო კანავარო, პატრიკ ვიეირა, პაოლო მალდინი, ლუიშ ფიგუ, კარელ პობორსკი, დემეტრიო ალბერტინი, ზინედინ ზიდანი, სავო მილოშევიჩი, ტიერი ანრი

## ევრო 2000-ის ყველა მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი

| | |
|---|---|
| ბელგია — შვედეთი | ემილ მპენზა (ბელგია) |
| თურქეთი — იტალია | ფილიპო ინძაგი (იტალია) |
| საფრანგეთი — დანია | ტიერი ანრი (საფრანგეთი) |
| ჰოლანდია — ჩეხეთი | პაველ ნედვედი (ჩეხეთი) |
| გერმანია — რუმინეთი | მეჰმეთ შოლი (გერმანია) |
| პორტუგალია — ინგლისი | ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) |
| ესპანეთი — ნორვეგია | ერიკ მიუკლანდი (ნორვეგია) |
| იუგოსლავია — სლოვენია | ზლატკო ზაჰოვიჩი (სლოვენია) |
| იტალია — ბელგია | ფრანჩესკო ტოტი (იტალია) |
| შვედეთი — თურქეთი | ფრედერიკ ლიუნგბერგი (შვედეთი) |
| ჩეხეთი — საფრანგეთი | ტიერი ანრი (საფრანგეთი) |
| დანია — ჰოლანდია | ფრანკ დე ბური (ჰოლანდია) |
| რუმინეთი — პორტუგალია | ფერნანდუ კოუტუ (პორტუგალია) |
| ინგლისი — გერმანია | ალან შირერი (ინგლისი) |
| სლოვენია — ესპანეთი | რაულ გონსალესი (ესპანეთი) |
| ნორვეგია — იუგოსლავია | დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია) |
| თურქეთი — ბელგია | ჰაქან შუქური (თურქეთი) |
| იტალია — შვედეთი | ჰენრიკ ლარსონი (შვედეთი) |
| ინგლისი — რუმინეთი | დორინელ მუნტეანუ (რუმინეთი) |
| პორტუგალია — გერმანია | სერჟიუ კონსეისაუ (პორტუგალია) |
| იუგოსლავია — ესპანეთი | ხოსეპ გვარდიოლა (ესპანეთი) |
| სლოვენია — ნორვეგია | ერიკ მიუკლანდი (ნორვეგია) |
| დანია — ჩეხეთი | ვლადიმირ შმიცერი (ჩეხეთი) |
| საფრანგეთი — ჰოლანდია | ედგარ დავიდსი (ჰოლანდია) |
| პორტუგალია — თურქეთი | ლუიშ ფიგუ (პორტუგალია) |
| რუმინეთი — იტალია | ალესანდრო ნესტა (იტალია) |
| იუგოსლავია — ჰოლანდია | პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია) |
| ესპანეთი — საფრანგეთი | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) |
| პორტუგალია — საფრანგეთი | ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) |
| იტალია — ჰოლანდია | ფრანჩესკო ტოლდო (იტალია) |
| საფრანგეთი — იტალია | ტიერი ანრი (საფრანგეთი) |

მერაბ ლაცაბიძე

**1-2 ივლისი**

ევროპის ჩემპიონატის დღიური

# დაუჯერებელი, უნიკალური და ულამაზესი თავგადასავალი

**დამთავრდა.** საფეხბურთო ევროპას ახალ საუკუნეში საფრანგეთი შეუძლევება. ასე ინება და დაადგინა კონტინენტის 2000 წლის ჩემპიონატმა, რომელმაც 2 ივლისს ჩაუშვა ღუზა ჰოლანდიის ქალაქ როტერდამის „ფეიენოორდზე".

ჩვენ კი ვეღარ მოვესწრებით, მაგრამ ევროპის ჩემპიონატები, ალბათ, მომავალი საუკუნის ბოლოსაც გაიმართება. იქნებ ვინმე დაინტერესდეს კიდეც ასი წლის წინანდელი ამბებით და ბებერი კონტინენტის საფეხბურთო ჩემპიონატების ისტორია გადაფურცლოს. მაშინ იგი, „უცნობი მომავლიდან" აღმოაჩენს, რომ მეოცე საუკუნის ბოლო ორ გადამწყვეტ მატჩს ბევრი საერთო ჰქონდა. ორივე შეხვედრის ძირითადი დრო 1:1 დასრულდა; გამარჯვებული ორჯერვე ოქროს გოლმა გამოავლინა; ორივე მატჩი საბოლოოდ 2:1 დამთავრდა; ორჯერვე ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელმაც პირველმა გაუშვა გოლი; ოქროს გოლი ორჯერვე შეცვლაზე შესულმა ფეხბურთელმა გაიტანა; გამარჯვებულთა რიგებში მხოლოდ შეცვლაზე შესულებს გაჰქონდათ; ოქროს გოლის ავტორი ორჯერვე ოცი ნომერი იყო...

მხოლოდ ქვეყნები და გვარებია სხვა. 1996 წელს გერმანიამ ჩეხეთს ოლივერ ბირჰოფის ოქროს გოლით მოუგო, 2000 წელს საფრანგეთმა იტალია დავიდ ტრეზეგეს წყალობით დაჯაბნა. ბირჰოფმავე გაათანაბრა ანგარიში 1996-ში, ოთხი წლის მერე კი იგივე სილვენ ვილტორდმა მოახერხა. ჰო, ერთიცაა, გერმანიამ 96-ე წუთზე მოიპოვა ჩემპიონობა, საფრანგეთმა — 103-ზე.

ევრო 2000-ის გადამწყვეტმა მატჩმა რაღაცით შარშანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალი მომაგონა. გეხსომებათ, „ბაიერნი" 1:0 უგებდა „მანჩესტერ იუნაიტედს" და ორი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა — მეჰმეთ შოლმა ძელს, ხოლო კარსტენ იანკერმა ხარიხას გაარტყა ბურთი. ამ მომენტებიდან დიდი დრო არ გასულა და მანჩესტერელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში, მერე კი გამარჯვებისა შეაგდეს.

იტალიაც 1:0 იგებდა და ფრანგთა მეკარესთან ორჯერ პირისპირ დარჩენილმა ალესანდრო დელ პიერომ ვერცერთხელ იყოჩაღა. სხვა რა გზაა, იმ წესის მართებულობა უნდა ვაღიაროთ, რომლის მიხედვითაც გამოუყენებელი მომენტი საკუთარ კარში გასულ გოლად იქცევა ხოლმე.

„განადგურებული ვარ, რადგან იმიტომ წავაგეთ, რომ ორი საგოლე შანსი ვერ გამოვიყენე. ორჯერვე ერთიმეორეზე ცუდად დავარტყი. პირველ მომენტში რომ გამეტანა, მეორეზე არც ვინაღვლებდი, მაგრამ ახლა ყველაფერმა აზრი დაკარგა" — ამის მთქმელს, დელ პიეროს, შეეძლო მეორე ტაიმშივე გადაეწყვიტა ჩემპიონის ბედი, მაგრამ აფსუს, პაოლო როსის სამშობლო ვის იმედადაა დარჩენილი?!

„მონუმენტური", „ისტორიული", „ჯადოსნური", „ბრწყინვალე"... დარჩა კი ფრანგულ ენაში რამე ეპითეტი, საფრანგეთის გაზეთებმა თავის ნაკრებს და მის გამარჯვებას რომ არ უძღვნეს? ხარობს საფრანგეთი და სამართლიანადაც, მისი გუნდი ევროპის ჩემპიონია. მეტიც, საფრანგეთი პირველია, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონის რანგში კონტინენტის უძლიერესი გუნდის ტიტული მოიპოვა.



REUTERS როტერდამიდან

ფრანგმა დავიდ ტრეზეგემ ფეხი საჩემპიონოდ მოიქნია

მოთქვამს იტალია. იქაური მედია უილბლობას უჩივის. „კორიერე დელო სპორტს" პირველი გვერდის ნახევარი დაუთმია წარწერისთვის: „რა ცუდი ბედი გვაქვს", ხოლო „უნიტა" წერს: „ჰოლანდია ფინალში გასვლას იმსახურებდა, მაგრამ იღბალმა ჩვენი მხარე დაიჭირა. გუშინ კი ჩვენ ვიმსახურებდით მოგებას და იღბალმა ზურგი გვაქცია". ცხადია, იტალიურმა პრესამ შვედ მსაჯ ანდრეს ფრისკსაც წაჰკრა კბილი და ზომაზე მეტი წუთების დამატებაში დაადანაშაულა.

ნამატჩევს საპირისპირო განწყობა სუფევდა ფინალისტთა დედაქალაქებში. პარიზი სიხარულმა მოიცვა, თუმცა ახლანდელი აჟიოტაჟი გაცილებით უფრო მოკრძალებული იყო ორი წლის წინანდელთან შედარებით. დაახლოებით 500 ათასი კაცი შეიკრიბა ელისეს მინდვრებზე — პარიზის მთავარ ქუჩაზე. იყო ერთი ცეკვა-სიმღერა, დროშების ფრიალი და მაშხალების სროლა. ყველაზე მეტად პოლიცია დაზარალდა. 16 წესრიგის დამცველი მსუბუქად დაშავდა. მერე გიგანტურ ტელეეკრანზე საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ლიონელ ჟოსპენი გამოჩნდა, რომელმაც როტერდამიდან მიმართა ხალხს: „ორი წლის შემდეგ საფრანგეთს კვლავ ეწვია ზეიმი. 1 ივლისს საფრანგეთი ექვსი თვით გახდა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა. მეორე დღეს კი საფრანგეთი საფეხბურთო ევროპის სათავეში აღმოჩნდა". შემაჯამებელი მიმართვა კი საფრანგეთის პრეზიდენტმა ჟაკ შირაკმა გააკეთა: „საფრანგეთის ნაკრებმა დაუჯერებელი, უნიკალური და ულამაზესი თავგადასავალი გვაჩუქა. ვამაყობ საფრანგეთით და ფრანგებით".

ზუსტად ამ დროს რომში, ვატიკანის მოედანზე სამარისებურ სიჩუმეს დაესადგურებინა. 2 ათასი თვალცრემლიანი იტალიელი ადგილიდან ვერ იძროდა. ხალხი ერთმანეთს ამშვიდებდა და ტელეკამერებს ზურგს აქცევდა. თუკი ვინმე რამეს იტყოდა, პირველ რიგში აუცილებლად ალესანდრო დელ პიეროს აგინებდა. ამდენ იტალიელში 20 ფრანგი გამოერია, რომლებსაც სახე ფრანგული დროშის ფერებით მოეხატათ და გამარჯვებას სიმღერით აღნიშნავდნენ. აბა, რკინის გულები მაგათ ჰქონიათ, თუმცა იტალიელები იმდენად ნირწამხდარნი იყვნენ, რომ ფრანგებს ყურადღება არც მიაქციეს.

როჟე ლემერის მამას ორიოდ კვირით მეტი რომ ეცოცხლა, შვილის მიერ გაწვრთნილი გუნდის პირველ სერიოზულ ტრიუმფს მოესწრებოდა. შუა ჩემპიონატის დროს დაობლებულმა ლემერმა ფინალის შემდეგ თქვა: „ეს შემტევი ფეხბურთის გამარჯვებაა. ბიჭებს ვუთხარი, ერთი წამიც რომ რჩებოდეს, მაინც მთელი ძალით ითამაშეთ მეთქი. ერთხანს მხოლოდ სასწაულისა მჯეროდა, რომელიც, საბოლოოდ, ნაღდად მოხდა".

თუ გახსოვთ, მატჩის დამთავრების შემდეგ ლემერი და ნაკრების კაპიტანი დიდიე დეშამპი განმარტოებით დიდხანს საუბრობდნენ. დეშამპს გამოცხადებული ჰქონდა, ევრო 2000-ის მერე ნაკრებიდან მივდივარო. ჩემთვის უცნობია, რა ილაპარაკეს მწვრთნელმა და კაპიტანმა, მაგრამ ფაქტია, პრესკონფერენციაზე მისულმა დეშამპმა სანაკრებო კარიერის მომავალზე გადაჭრით არაფერი თქვა: „16 აგვისტოს მარსელში საფრანგეთი და მსოფლიოს ნაკრებებს ხვდებიან ამხანაგურად. ყველა, მათ შორის მე, იქ ვიქნებით, მერე კი ვნახოთ. ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ, ფსიქოლოგიურად კი ოდნავ გადაღლილი ვარ. ახლა ნაკრებში წასვლა-დარჩენაზე საფიქრალად არ მცალია, დიდი გამარჯვება უნდა ვიზეიმო". დეშამპი მკაცრად აკრიტიკეს ევრო 2000-ის დღეებში. კაპიტანი ამ თემასაც შეეხო და თქვა: „ჩემპიონატის დღეებში ერთი სიტყვაც არ მითქვამს, იმიტომ, რომ პრესაზე ნაწყენი ვიყავი და მასთან საუბარი არ მსურდა. ობიექტური კრიტიკა ფეხბურთის ნაწილია, მაგრამ ზოგიერთმა კრიტიკოსმა ძალიან ღრმად შეტოპა. ამან ჩემზე და ჩემს ოჯახზე ძალიან იმოქმედა".

ფინალის საუკეთესო მოთამაშედ ფრანგი ტიერი ანრი დაასახელეს, რომელმაც წარმატების უმთავრეს პირობად ძლიერი ფსიქოლოგიური მომზადება დაასახელა: „ბევრი ღირსება გვაქვს, მაგრამ მყარი ფსიქოლოგიის გარეშე ვერაფერს მივაღწევდით... ერთი სული მაქვს, პარიზში როდის ჩავალ, გულშემატკივრებს უნდა შევხვდე". მეკარე ფაბიენ ბარტეზი კი ტრეზეგეს აქებს: „მატჩის შემდეგ ვუთხარი ტრეზეგეს, რომ იგი ყოველთვის იქ არის, სადაც გუნდს სჭირდება. როდესაც ფეხი მოიქნია, დარწმუნებული ვიყავი, რომ გაიტანდა".

„თქვენი აზრით, როგორ უნდა ვგრძნობდე თავს"? — იტალიელთა მწვრთნელმა დინო ძოფმა თავად დაუსვა კითხვა ჟურნალისტებს და უპასუხა: „ეს ჩემს კარიერაში უმნიშვნელოვანესი ტურნირი იყო და იგი მარცხით დასრულდა. დღეს საფრანგეთი უფრო ძლიერი იყო. ჩვენ გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოვიყენეთ. არის თუ არა იტალია მორალური ჩემპიონი? მოგახსენებთ, რომ მთავარი რეალობაა". იტალიელთა შესანიშნავი მეკარე, 28 წლის ფრანჩესკო ტოლდო ორმაგად გულმოკლულია: წაგება — წაგებად და მომავალ შაბათს ქორწილი აქვს: „მინდოდა ჩემს საცოლე მანუელასთვის კარგი საჩუქარი მიმეძღვნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება აღარ შემიძლია". ფრანჩესკო ტოტი კი სიმწრისგან ხუმრობს: „ნახევარფინალში ცუდად ვითამაშეთ და ბედმა გაგვიღიმა. დღეს კარგად ვითამაშეთ და წავაგეთ. იქნებ ცუდად თამაში სჯობს?"

საინფორმაციო სააგენტო „როიტერმა" ევრო 2000-ის სიმბოლური ნაკრები დაასახელა: ***ფრანჩესკო ტოლდო (იტალია), ლილიან ტურამი (საფრანგეთი), ფაბიო კანავარო, ალესანდრო ნესტა, პაოლო მალდინი (ყველა იტალია), ლუიშ ფიგუ (პორტუგალია), პატრიკ ვიეირა, ზინედინ ზიდანი (ორივე საფრანგეთი), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ტიერი ანრი (საფრანგეთი), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია).სათადარიგოები: ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი), იაპ სტამი (ჰოლანდია), მარსელ დესაი (საფრანგეთი), რუი კოშტა (პორტუგალია), პაველ ნედვედი (ჩეხეთი).***

ფინალის წინ უეფას სადისციპლინო კომისია შეიკრიბა და აქამდე გაუგონარი სიმკაცრის სანქციები გამოიტანა. პორტუგალიელი ფეხბურთელები საფრანგეთთან წაგებული ნახევარფინალის შემდეგ მსაჯთა შეურაცხყოფისთვის დაისაჯნენ. აბელ შავიერი ცხრა თვე ვერ ითამაშებს უეფას ეგიდით გამართულ მატჩებში, ნუნუ გომეში რვათვიან დისკვალიფიკაციას მოიხდის, ხოლო პაულუ ბენტუ ექვსი თვით დაისვენებს. გარდა ამისა, პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია 175 ათასი შვეიცარიული ფრანკით (135 ათასი დოლარით) დაჯარიმდა. პორტუგალიელებს ოთხშაბათამდე შეუძლიათ გადაწყვეტილების გასაჩივრება.

თუ რა პასუხს მიიღებენ პორტუგალიელები, ამის შესახებ „სარბიელის" მომავალ ნომრებში, ოღონდ უცხოური ფეხბურთის გვერდებზე წაიკითხავთ. ძალიან გამიხარდებოდა, ეს ამბავი ჩემი ჩანაწერებიდან რომ შეგეტყოთ, მაგრამ ევრო 2000-მა და ჩემმა დღიურმა ერთად დაასრულეს არსებობა.

დიდი მადლობა, რომ მოიცალეთ და ჩემს დღიურში ჩაიხედეთ. უკაცრავად, თუკი მისი კითხვა თქვენთვის მხოლოდ დროის კარგვა აღმოჩნდა. ნურც ძალიან გამკიცხავთ, აკი ევრო 2000-ის დაწყებისას მოგახსენეთ, ცხოვრებაში პირველად ვწერ დღიურს-მეთქი. რა გამოვიდა ამ საქმიდან, თქვენზე კარგად არავინ იცის.

მომავალი დღიური? ვერაფერს გეტყვით. ისე, ამბობენ, რამის გაკეთება პირველად არის ძნელიო...



## გაიოზ დარსაძე

სპეციალისტის აზრი

ფინალი დასრულდა. დასრულდა ჩემპიონატი. ევროპის ჩემპიონი ოქროს გოლით გამოვლინდა და ფრანგთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ტელეკამერა კი საფრანგეთის ნაკრების თავკაც როჟე ლემერისკენ მიემართათ. მისი სახე ერთადერთ გრძნობას არ გამოხატავდა. თანაც, არსად ჩანდა სიხარული. თქვენ მხოლოდ გაოცებას ამოიკითხავდით, უკეთ კი ლემერის გამომეტყველებას ერთი სიტყვა მიუდგებოდა — შოკი. დიახ, ლემერი ტუჩებს თავს ვერ უყრიდა. ცახცახებდა ევროპის ჩემპიონთა ტრიუმფატორი მწვრთნელი. და ეს ხდებოდა შრომით გაჯერებული ორი წლის თავზე. ასეთია მწვრთნელის პროფესია.

ფინალური მატჩის დასაწყისში თამაში ძირითადად მოედნის შუაგულში უპირატესობის მოსაპოვებლად გაჩაღდა და, როგორც ფინალებს სჩვევია, უაღრესად დაძაბული გამოდგა, რომლის კვალობაზეც კი სასტარტო წუთებში წუნიანი გადაცემების სიმრავლე ჭრიდა თვალს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი ბრძოლა ცენტრისთვის მიმდინარეობდა, მალე გამოიკვეთა, ფრანგები მარცხენა ფლანგზე ეძებდნენ თავიანთ ბედს, ანრის სისწრაფის ხარჯზე ფლანგზე უპირატესობის მოპოვებას ცდილობდნენ.

სწორედ ანრიმ, სწორედ მარცხნიდან შეტევებისას გააფრთხილებინა არბიტრს დი ბიაჯო და კანავარო, რომელთაგან ერთი შეცვალა დინო ძოფმა, მეორე კი ძირითადის ბოლო წუთზე საბედისწეროდ შეცდა.

შესაძლებელია, დი ბიაჯოს შეცვლა სულაც არ იყო მეორე ყვითელი ბარათის საფრთხილით გამოწვეული. ამას არ ვამტკიცებ, უბრალოდ ვამბობ, ტიერი ანრის სისწრაფე ფრანგებს თუნდაც მცირედი ფსიქოლოგიური უპირატესობის მოსაპოვებლად გამოადგათ.

მაინც ფაქტია, იტალია არაა პორტუგალია, რომელთანაც უფრო თავისუფლად თამაშია შესაძლებელი. ამიტომაც ფრანგები ერთხანს შებოჭილნი იყვნენ და პირველი ნახევარიც დიდი ვერაფერი სანახავი გამოდგა.

კვირასაც, მეოთხედფინალის მსგავსად კრისტოფ დიუგარი დანარჩენ ფრანგ ფეხბურთელებს საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მარცხენა ფრთაზე ისე ვერ ითამაშა, როგორც საჭირო იყო. გოლიც ფრანგებმა მისი ფლანგიდან ტოტის პასის და პესოტოს ჩაწოდების მერე მიიღეს, როცა უკვე ცენტრალური მცველებიც შეცდნენ.

გოლის მერე ფრანგები ძალიან სწორხაზოვნად საჯარიმოში ჩაწოდებებით ცდილობდნენ ანგარიშის გათანაბრებას. ეს კი სასურველ ეფექტს არ იძლეოდა.

მაგრამ მაინც, მიუხედავად იმისა, რომ იტალიამ საფრანგეთს პორტუგალიაზე ბევრად მტკიცე დაცვა დაუპირისპირა, ძოფმა კი საამისოდ სათამაშო სქემა რამდენჯერმე შეცვალა, ფრანგებმა თამაშის შემოტრიალება შეძლეს.

საფრანგეთის ნაკრებს დიუგარის პირესით შეცვლა ძალიან წაადგა. ამან კიდევ უფრო დიდი ზეწოლა მოახდინა იტალიის დაცვის მარჯვენა ფრთაზე და მოსახდენი ძირითადი დროის დამთავრებამდე ნახევარი წუთით ადრე მოხდა.

ჯერ ვილტორდმა გაიტანა, დამატებითში კი ტრეზეგემ, რაც მთავარია, ორივემ მარცხენა ფრთიდან.

რატომ გამოიჩინა საფრანგეთმა ასეთი მემარცხენეობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ადვილი შესაძლებელია, ლემერს იტალიელთა დაცვაში შედარებით სუსტი წერტილი თამაშამდევე ჰქონდა შემჩნეული და სწორედ მის გამოყენებას შეეცადა. და მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდაც ბურთის ფლობაში უპირატესობა იტალიელთა მხარეს იყო (53/47 პროცენტი), საფრანგეთმა მეტი საგოლე შანსი შექმნა და მეტიც გამოიყენა.

ევროპას ღირსეული ჩემპიონი ჰყავს. გუნდი, რომელიც ძალიან თანაბრადაა დაბალანსებული, ერთნაირად ფეხბურთელებით. ისინი, ნლებია, ერთად თამაშობენ და ჰყავთ შესანიშნავი ლიდერი ზინედინ ზიდანი. ფრანგთა უმრავლესობას სხვადასხვა დროს უთამაშია სერია A-ს კლუბებში. თანაც ფრანგ ვარსკვლავებს ახალი თაობა ნამოეწია, რამაც კონკურენცია გაამძაფრა.

ფრანგებმა 10-12 წლის წინ სერიოზული მიდგომით ჩაუყარეს საფუძველი უპრეცედენტო შემთხვევას. მსოფლიოს ჩემპიონები ევროპის ჩემპიონებიც გახდნენ. ფრანგული საფეხბურთო სკოლა მსოფლიოში საუკეთესოდ ითვლება. კითხვა არ სჭირდება, რატომ.

# ფათიჰ თერიმს შოთა არველაძე ფიორენტინაში სურს. შოთაც ჰაგულსაა



შოთა არველაძის ყირამალა: „აიაქსიდან“ „ფიორენტინაში“?

ამსტერდამის „აიაქსის“ ქართველი ფორვარდის, შოთა არველაძის გადაბირების მსურველ კლუბებს ერთიც შეემატა — იტალიის „ფიორენტინა“. ფლორენციელები გერმანულ „დორტმუნდს“, ესპანურ „ვალენსიასა“ და „რაიო ვალეკანოს“ ამოუდგნენ გვერდში და „აიაქსთან“ ცდილობენ მოლაპარაკებას, თუმცა ამსტერდამელებს არაერთხელ უთქვამთ, ქართველი არ იყიდებაო.

„ფიორენტინას“, მოგეხსენებათ, ახალი მწვრთნელი ჰყავს — თურქი ფათიჰ თერიმი, რომელმაც წლეულს „გალათასარაის“ უეფას თასი მოაპოვებინა. ჰოდა, მას უთქვამს, „ფიორენტინადან“ „რომაში“ გადასული გაბრიელ ბატისტუტას შემცვლელს ვეძებ და იქნებ იუგოსლაველი სავიო მილოშევიჩი ან ქართველი შოთა არველაძე დავიყოლიოო. თერიმს ისიც განუცხადებია, შოთა თურქეთიდან მახსოვს, „ტრაბზონსფორში“ ბევრი გოლი გაჰქონდა და ახლაც, „აიაქსში“ არანაკლებ შედეგიანიაო.

თავად შოთა არველაძის თქმით კი ფათიჰ თერიმი მას უკვე ორჯერ შეეხმიანა, ჩვენთან წამოდიო. შოთას უთქვამს, საქმე „აიაქსთან“ დაიჭირეთ. თუ „აიაქსი“ თანახმა იქნა, ფლორენციაში სიამოვნებით წამოვალო.

თურქი მწვრთნელის პასუხი დაახლოებით ასეთი იყო: „აიაქსთან“ ურთიერთობა ეგებ თავადვე მოაგვარო, აბა, შენ იცი, გელოდებითო.“

შოთა ამსტერდამს „აიაქსისგან“ თავდასახსნელად დღეს მიემგზავრება.

კობა ინასარიძე

# ფედერაცია დინამოს იცავს

ისევ „დინამო“ — „მრეტების“ საქმე. საქართველოს ათგზის ჩემპიონებს, როგორც შაბათის „სარბიელში“ ვწერდით, „მრეტებისთვის“ 300 ათასი დოლარის ნახევარი 30 ივნისამდე არ გადაუხდიათ. 30-მდე კი არა, თანხას „მრეტები“ გუშინდლამდეც ამაოდ ელოდა. „150 ათასი დოლარი რომ ჩვენს ანგარიშზე ჩარიცხულიყო, აუცილებლად მეცოდინებოდა. „დინამოს“ ვალი არ გაუსტუმრებია. ფიფას შესაძლო სანქციებზე კი ვერაფერს გეტყვით. არ ვიცი, რა მოხდება“ — გვითხრა „მრეტების“ თანაპრეზიდენტმა აკაკი ქავთარაძემ, რომელსაც გუშინ დავუკავშირდით. გუშინვე უცხოეთში მყოფმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ ქავთარაძის სიტყვები დაგვიდასტურა: „არა, „დინამოს“ ფული არ გადაუხდია. ეს ნამდვილად ვიცი“.

ფეხბურთის ფედერაციაში ჯერჯერობით ფიფიდან არანაირი ფაქსი არ მისულა და არც ისაა ცნობილი, როგორ დასჯის ფიფა „დინამოს“, ან კი დასჯის საერთოდ? მერაბ ჟორდანიამ ისიც გვითხრა, ფედერაცია ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ფიფამ „დინამო“ დაინდოსო.

კობა ინასარიძე

# ტავრიამ ტრიო დაშალა

## ჯონი შალამბერიძე და ზაველ ღაღანიძე ფოთის კოლხეთს დაუბრუნდნენ

ფოთის „კოლხეთის“ ფეხბურთელებს — ჯონი შალამბერიძესა და ზაველი ღაღანიძეს რომ სიმფეროპოლის ტავრიელები ეგონათ თავი, არც მთლად ასე ყოფილა საქმე. უკრაინულმა კლუბმა ეს ფეხბურთელები რამდენიმე დღის წინ უკან გამოუშვა, „ტავრიაში“ კი მხოლოდ ერთი ჩვენებური, გოჩა ტრაპაიძე დარჩა. გადაწყვეტილია, იგი მომავალ სეზონში სწორედ ამ უკრაინული კლუბის ღირსებას დაიცავს.

ფოთის „კოლხეთის“ ზემოთაღნიშნული სამეული უკრაინაში ივნისში გაემგზავრნენ. ამის შესახებ „სარბიელი“ თავის დროზეც იუწყებოდა. წინასწარი სიტყვიერი შეთანხმების თანახმად, ტრაპაიძესა და ღაღანიძეს „ტავრიასთან“ სამწლიანი კონტრაქტები უნდა გაეფორმებინათ, შალამბერიძეს კი ფოთელები ორი თვით ანათხოვრებდნენ. თუმც აღნიშნული ტრანსფერები საბოლოოდ ჩაიშალა.

ამის მიზეზი „ტავრიას“ სამწვრთნელო შტაბში მომხდარი ცვლილებებია. კლუბის ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გუნდის მთავარი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ვლადიმირ მუნტიანი გაათავისუფლა. მას გასულ სეზონში ნაჩვენები შედეგი (მე-13 ადგილი) დაუწუნეს. მის ნაცვლად ოფიციალურად ჯერ არავინ დაუნიშნავთ, ამიტომ გაურკვეველია, ვინ, არ ისურვა შალამბერიძისა და ღაღანიძის „ტავრიაში“ ყოფნა.

ეს ფეხბურთელები უკვე ფოთში არიან და გუნდთან ერთად ვარჯიშობენ. სავარაუდოა, რომ საქართველოს მეთორმეტე ჩემპიონატსაც „კოლხეთში“ შეხვდებიან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, შალამბერიძე მომავალ სეზონში „ბათუმის“ მაისურით ვიხილოთ. ამ კლუბის იტალიელმა თავკაცმა ჯანი კარნევალიმ მისი შეძენის სურვილი მეთერთმეტე ჩემპიონატის დასრულებისთანავე გამოთქვა.

ვანო ოქროპირიძე

# იბერია: ქვიშხეთიდან მოსკოვში

ორეტაპა მეთერთმეტე ეროვნულში სამტრედიის „იბერიამ“ თავისი ამოცანა პირნათლად შეასრულა.

გუნდი ყველაზე გვიან შეუდგა სეზონისთვის მზადებას, შემადგენლობითაც ბევრს ჩამოუვარდებოდა და სხვა პრობლემებიც თავზესაყრელად ჰქონდა.

მარტო ის რად ღირს, რომ გუნდს მშობლიურ „ეროსი მანჯგალაძეზე“ ბურთაობას სამტრედიელებივე უკრძალავდნენ.

მაგრამ „იბერიამ“ ჯერ კიდევ გათამაშების საწყის სტადიაზე აიცილა ჯგუფიდან გავარდნის საშიშროება.

„იბერიამ“ შემოდგომაზე მართლაც რომ შეუძლებელი შეძლო. იგივე ითქმის მის ფარმკლუბზეც.

პირტიტველა ბიჭებით დაკომპლექტებული „იბერია 2“, რომელსაც ძირითადი გუნდის მსგავსად სოსო ფრუიძე წვრთნიდა, რეგიონალური ლიგის დასავლეთის „ა“ ზონაში მისთვის საპატიო მესამე ადგილზე გავიდა.

საყურადღებო ისიც გახლდათ, რომ ზონის ყველაზე ახალგაზრდულმა გუნდმა ცალკეულ მატჩებში საკმაოდ გამართული თამაში აჩვენა და სპეციალისტთა ქება დაიმსახურა...

ოჰ, რას არ გაიგონებთ...

ბოროტი ენები ამბობენ, „იბერიის“ პრეზიდენტი ნუგზარ ნიკოლაიშვილი კლუბიდან მიდის, გუნდის პატრონობა კი არავის სურს და შასაძლოა, მეთორმეტე ეროვნულში „იბერიამ“ საერთოდ ვერ იასპარეზოს თავის ადგილი კი უმაღლეს ლიგაში სხვა გუნდს დაუთმოსო.

დავამშვიდებთ სამტრედიული კლუბის ქომაგთ.

„იბერიის“ დაშლა არ იქნება, იგი მეთორმეტე ეროვნულშიც მიიღებს მონაწილეობას, ოღონდ, ეგ არის, ძირითადი გუნდი ახალ სეზონში ფაქტობრივად „იბერია 2“-ის მოთამაშეებით წარსდგება.

ასეთია ნუგზარ ნიკოლაიშვილის გადაწყვეტილება.

როგორც იცით, სამტრედიელები 30 ივნისს ქვიშხეთში შეიკრიბნენ. ახალგაზრდა იბერიელ ფეხბურთელებს ქართლში მხოლოდ ორი გამოცდილი მოთამაშე, მეკარე ოთარ ვარდანიძე და მარცხენა ნახევარმცველი შალვა მუმლაძე შეემატათ.

სოსო ფრუიძემ 4 დღესლა ავარჯიშა ბიჭები.

გუშინ გვიან საღამოს კი განახლებული „იბერია“ ქვიშხეთიდან აიბარგა და ავტობუსით მოსკოვის გზას დაადგა.

დიახ, სამტრედიელები რუსეთის დედაქალაქს გაემგზავრნენ და იქ ივლისის ბოლომდე დაჰყოფენ.

„იბერია“ ერთ-ერთ სპორტულ ბაზაზე დაბინავდება და ნორმალურ შეკრებას გაივლის.

ხვალ მოსკოვში ჩასულ სამტრედიელებს მათივე პრეზიდენტი შეეგებება. ნუგზარ ნიკოლაიშვილი ხომ იქ გახლავთ ტყუპ ძმებ ვასო და სოსო გიგიაძეებისა და დავით ოდიკაძის რომელიმე უმაღლეს ან პირველდივიზიონელ რუსულ გუნდში მოსაწყობად.

იუზა ქაციტაძე
ქუთაისიდან

# კორღალიძემ თამაში გაიხსენა



ოთარ კორღალიძე
გუშინ მწვრთნელი, დღეს ფეხბურთელი

საქართველოს ყოფილ ჩემპიონ თბილისის „დინამოს“ მწვრთნელთან, ოთარ კორღალიძესთან ტალინის „ფლორამ“ კონტრაქტი გააფორმა. 39 წლის კორღაძილე „ფლორას“ მთელი სისტემის (ძირითადი, სათადარიგო, ახალგაზრდული გუნდი) ტექნიკური მომზადების მწვრთნელი იქნება.

ეს კორღალიძის მეორედ მოსვლაა „ფლორაში“. 1995-96 წლების ესტონეთის ჩემპიონატში მან რვა მატჩი ჩაატარა და 3 გოლი გაიტანა. კორღალიძე ასევე დაეხმარა „ფლორას“ ევროთასებზე პირველი გამარჯვების მოპოვებაში. ქართველის გოლით ესტონურმა კლუბმა ნორვეგიული „ლილესტრიომი“ 1:0 დაამარცხა 1995-96 წლების სეზონის უეფას თასის შესარჩევი ეტაპის საპასუხო მატჩში. ნახევარმცველი კორღალიძე საქართველოს ლეგენდარულ ფეხბურთელთაგანია. მან რამდენიმე წელი გაატარა თბილისის „დინამოსთან“ ერთად საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში და ორჯერ იყო ქვეყნის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მას შემდეგ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა.

კორღალიძემ საუკეთესო სეზონი 1991-92 წლებში ჩაატარა, როცა ლანჩხუთის „გურიაში“ 35 მატჩში 40(!) გოლი გაიტანა. ის ავსტრიულ ზალცბურგის „კაზინოსა“ და „ვინერ შპორტკლუბშიც“ თამაშობდა.

კორღალიძე ესტონეთში სათამაშო მოედანსაც დაუბრუნდა. ქართველი, რომელიც სექტემბერში 40 წლის გახდება, მოთამაშის კარიერას შაბათს დაუბრუნდა. კორღალიძემ ესტონეთის ჩემპიონატში ბოლო მერვე ადგილზე მყოფ „კურესაარეში“ ითამაშა ჩემპიონ ... „ლევადიას“ წინაალმდეგ 0:4 წაგებულ მატჩში.

მარგუს ლიუიკი
ტალინიდან

# ავაზა გაჩემპიონდა

20 ივნისს მიხეილ მესხის სახელობის ბავშთა საფეხბურთო სკოლის მოედანზე მორიგი ტრადიციული ტურნირი დასრულდა. ზურაბ გაგუას ხსოვნისადმი მიძღვნილ გათამაშებაში 1990 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა 16 გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

„ავაზა“, „ვაკე“, „ოლიმპიკი“, „ლოკომოტივი“ და სხვები ტოლს არაფერში უდებდნენ ერთმანეთს. ზოგი მათგანი ტურნირში ორ-ორი გუნდითაც მონაწილეობდა.

პირველობა არავის დაუთმო „ავაზამ“. მეორე ადგილი „ვაკემ“ დაისაკუთრა, ხოლო მესამეზე „ოლიმპიკის“ პატარები გავიდნენ.

გამარჯვებული გუნდიდან თავი გამოიჩინეს: ვანო ჭაბუკიანმა, დათო კაკულიამ, ლაშა ფირცხალაიშვილმა, ირაკლი შიოლაშვილმა, ლევან მაჭავარიანმა, თორნიკე მახარაშვილმა, ილია გურგენიძემ, ნიკო წერომემ, ლაშა ქასრაშვილმა, გიორგი ბოჭორიშვილმა და სხვებმა. გუნდის მწვრთნელია გია ქუმსიაშვილი.

ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული და არაერთი სამახსოვრო პრიზიც დარიგდა.

გია გრიგოლაშვილი


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

GEORGIAN SU JOK ACUPUNCTURE ASSOCIATION

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

სარბიელის არქივიდან




ფრანც ბეკენბაუერისგან გაკრიტიკებული გერმანიის ნაკრები რუდი ფიოლერს დროებით ჩააბარეს

# ჯერ ფიოლერი, დაუმი მერე...

**რუდი ფიოლერი** გერმანიის ეროვნული ნაკრების მწვრთნელია, ოღონდ დროებით, 2001 წლის 1 ივნისამდე, მერე კი პოსტს ლევერკუზენის „ბაიერის“ თავკაცი კრისტოფ დაუმი ჩაიბარებს. გერმანიის საფეხბურთო კავშირმა ეს გადაწყვეტილება კვირას მიიღო, საგანგებოდ მოწყობილ სხდომაზე. ერთობ მოულოდნელი იყო, ყველა დაუმის დანიშვნას ელოდა და... უცბად ფიოლერი, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონი და გერმანული ფეხბურთის ერთ-ერთი ფრიად დაფასებული პიროვნება.

„ყველაფერი ელვისებურად გადაწყდა. მოსაფიქრებლად დროც არ მომეცა, რომ ნაკრები ჩამაბარეს. ვერც კი წარმოვიდგენდი. გერმანიის ნაკრებს 11 თვის მანძილზე, 2001 წლის 1 ივნისამდე ვუხელმძღვანელებ, მერე კი, შეთანხმებისამებრ, პოსტს კრისტოფ დაუმს გადავულოცავ. პირველი, რასაც გავაკეთებ, ეს ბუნდესლიგის გუნდების მწვრთნელებთან კონსულტაცია იქნება. რჩევებს ოტმარ ჰიცფელდს, ოტო რეჰაგელს და სხვებს დავეკითხები და დარწმუნებული ვარ, ჩემი და კალეს (კარლ-ჰაინც რუმენიგე ფიოლერის თანაშემწედ დანიშნეს — გ.ვ.) თანამშრომლობა წარმატებებს მოგვიტანს. ასე რომ არ ყოფილიყო, ალბათ, არც დავთანხმდებოდით“ — განაცხადა ახალგამომცხვარმა მწვრთნელმა.

ასეა თუ ისე, 40 წლის რუდოლფ ფიოლერი გერმანიის ნაკრების მწვრთნელია. ერიხ რიბეკის „ბინძური“ ეპოქა წარსულს ჩაბარდა და რამდენადაც მისი თავკაცობა იყო მოულოდნელი, ასეთივე გახლდათ ფიოლერის კურთხევაც. ვისზე აღარ ლაპარაკობდნენ: ვენგერი, ლატეკი, ტრაპატონი, ჰიცფელდი, დაუმი და ვან გაალი იცვლებოდნენ ბუნდესნაკრების თავკაცობის კანდიდატებად, მაგრამ...

აი, რას ამბობს თავად კრისტოფ დაუმი: „ერთი რამ ვიცი, ახალი სეზონიდან კვლავაც ლევერკუზენის „ბაიერს“ გავწვრთნი, მე ამ კლუბისგან დავალებული ვარ, ყველანაირად ვეცდები, „ბაიერი“ ბოლოს და ბოლოს გავაჩემპიონო, მერე კი, შეთანხმებისამებრ, ნაკრებს ჩავუდგები სათავეში.

რაც შეეხება რუდი ფიოლერს, წარმატებებს ვუსურვებ“.

**გიორგი ვაშაკიძე**

## აფრიკის ეროვნებათა თასი

შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩები

**აფრიკაში** კონტინენტის 2002 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი დაიწყო. ტურნირის მასპინძელი მალი და თასის მფლობელი კამერუნი პირდაპირ ფინალში ითამაშებენ. დანარჩენებს კი იქამდე რამდენიმე ბარიერის გადალახვა მოუწევთ.

აფრიკის თასის წინა გათამაშების შვიდი საუკეთესო გუნდი (ჩემპიონის გარდა), სამხრეთ აფრიკა, ეგვიპტე, სენეგალი, განა, ალჟირი, ტუნისი და ნიგერია ფინალში გასასვლელად ბრძოლას ჯგუფური ეტაპიდან დაიწყებს, დანარჩენი 42 აფრიკული ქვეყანა კი ჯერ პირველ საკვალიფიკაციო ეტაპს გაივლის, რომელიც პლეი ოფის სისტემით ტარდება. პირველი მატჩები გასულ უქმეებზე გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის სურვილი ორმოცდაათმა აფრიკულმა ქვეყანამ გამოთქვა, კონტინენტის პირველობაზე მონაწილეთა რიცხვი კი ერთით მეტია, მათ ბურუნდი დაემატათ.

ჯიბუტი — ბურუნდი 1:3; მავრიტანია — ბურკინა ფასო 0:0; ბოტსვანა — მადაგასკარი 0:0; გამბია — გვინეა 2:2; სან ტომე და პრინსიპი — გაბონი 1:1; სეიშელი — ზიმბაბვე 0:1; ტანზანია — მავრიკეთი 0:1; ბენინი — ნამიბია 2:0; ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა — კონგოს დრ 1:1; ჩადი — ლიბია 3:1; ეკვატორული გვინეა — ანგოლა 0:1; ეთიოპია — ზამბია 1:0; ლესოტო — მოზამბიკი 1:0; ნიგერი — კოტ დივუარი 0:1; რუანდა — კონგო 2:1; სუდანი — ერითრეა 5:1; სვაზილენდი — კენია 3:2; უგანდა — მალავი 3:1; *მაროკო — გვინეა ბისაუ, ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა; სიერა ლეონე — ტოგო გადაიდო, კაბო ვერდეს კუნძულები — ლიბერია წუხელ გვიან გაიმართა*

## ინტერტოტოს თასი. II ეტაპი

პირველი მატჩები. 1-2 ივლისი

INTERTOTO CUP

დინაბურგი (ლატვია) — ოლბორგი (დანია) 0:0
ატლანტასი (ლიტვა) — ბრედფორდი (ინგლისი) 1:3
ველბაჟდი (ბულგარეთი) — სიგმა (ჩეხეთი) 2:0
უნისპორტი (მოლდოვა) — ზალცბურგი (ავსტრია) 2:6
ზენიტი (რუსეთი) — პრიმორიე (სლოვენია) 3:0
ნეა სალამინა (კვიპროსი) — აუსტრია (ავსტრია) 1:0
სტაბეკი (ნორვეგია) — ოსერი (საფრანგეთი) 0:2
ლინცერი (ავსტრია) — დუკლა (ჩეხეთი) 1:1
ბლშანი (ჩეხეთი) — მოგილიოვი (ბელარუსი) 6:2
ქსამაქსი (შვეიცარია) — შტუტგარტი (გერმანია) 1:6
ზაგლებე (პოლონეთი) — სლავენი (ხორვატია) 1:1
ტატაბანია (უნგრეთი) — ციბალია (ხორვატია) 3:2
პელისტერი (მაკედონია) — ფრიოლუნდა (შვედეთი) 3:1
პერუჯა (იტალია) — სტანდარდი (ბელგია) 1:2
მალიორკა (ესპანეთი) — ჩაჰლაული (რუმინეთი) 2:1
სედანი (საფრანგეთი) — ლეიფტური (ისლანდია) 3:0

# რაიკარდმა მილანი იუარა

**არიგო საკის** უთქვამს, ჩემი ფეხბურთელებიდან ჩინებულ მწვრთნელებად კარლო ანჩელოტი, ფრანკ რაიკარდი და მარკო ვან ბასტენი დადგებიანო. ვან ბასტენზე რა გითხრათ, „სუპერმარკოს“ ჯერ მწვრთნელობა არ დაუწყია, ანჩელოტის „იუვენტუსი“ კი ყველამ იცით. აი, რაიკარდი საქმეში ევრო 2000-ზე ვიხილეთ. მართლაც ჩინებული ნაკრები ჰყავდა და რომ არა იტალიასთან უილბლობა...

„როცა ჰოლანდიის ნაკრების თავკაცობას დავთანხმდი, გულში ერთი მიზანი მქონდა — ევროპის ჩემპიონობა. სამწუხაროდ, იგი ვერ განვახორციელე, ამიტომაც მივდივარ“ — განაცხადა რაიკარდმა ნახევარფინალის დამთავრებისას.

...ზემოთ საკი შემთხვევით არ მიხსენებია. იტალიელი სპეციალისტი „დიდი“ „მილანის“ შემოქმედი გახლდათ, რაიკარდი — მისი შეგირდი. „მილანმა“ ახლა თავისი შვილის დაბრუნება განიზრახა და... იგი გუნდის სათავეში მიიპატიჟა. თუმცა... „დიდი მადლობა „მილანს“, მაგრამ ამისთვის მზად არ ვარ, ჰოლანდიის ნაკრების წარუმატებლობამ ჩემზე ფსიქოლოგიურად ძალიან იმოქმედა, გულგატეხილი ვარ და უდიდესი მორალური ტრავმა მივიღე, ჯერჯერობით მწვრთნელობა არ მსურს“ — განაცხადა რაიკარდმა. რას იზამს სილვიო ბერლუსკონი? ჯერ იყო და „მილანის“ დამრიგებლობა კლაუდიო რანიერის შესთავაზა, მერე ჯოვანი ტრაპატონის სახელიც გაისმა, ახლა რაიკარდი. ერთი კი ფაქტია — გუნდს ახალი სეზონისთვის ჯერჯერობით ალბერტო ძაკერონი ამზადებს.

**გიორგი ვაშაკიძე**

# დევიდ ბექემი კაპიტნობაზე ოცნებობს

**ოცნებას** კაცი არ მოუკლავსო, ნათქვამია და დევიდ ბექემის საქმეც ასეა. ჩემპიონთა ლიგის მომგები, მრავალმილიონიანი კონტრაქტის მქონე, ვარსკვლავის მეუღლე, თავადაც ვარსკვლავი ფეხბურთელი ახლა კაპიტნობაზე ოცნებობს.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ თუ ინგლისის ნაკრების? იქნებ ორივესი ერთად? მნიშვნელობა არა აქვს, ამბობს ბექემი, ოღონდაც სამკლავური მოვირგოო. ისიც დაუმატებია, ფეხბურთელის მაისურა რომ მაცვია, უდიდესი ბედნიერებაა, მაგრამ კაპიტნობას არაფერი შეედრება, მეტ პატივზე ფიქრსაც კი ვერ გავბედავო.

დევიდ ბექემის ნატვრა სავსებით გასაგებია. საკითხავი ისაა, ვინ უნდა შეცვალოს. ვითომ როი კინი? საეჭვოა, სანამ ირლანდიელი „მანჩესტერში“ თამაშობს, ხოლო ამ გუნდს სერ ალექს ფერგიუსონი ავარჯიშებს, მსგავსი რამ ნაკლებსავარაუდოა. უფრო რეალური ნაკრების ამბავია.

მოგეხსენებათ, ალან შირერმა რამდენჯერმე განაცხადა, ნაკრებიდან წასვლას ვაპირებო. ეს თუ მოხდა, თავდამსხმელის ადგილთან ერთად კაპიტნობაც ვაკანტური გახდება. ჰოდა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, ბექემი ნიადაგს იმზადებს. საინტერესოა, მას ეს იდეა თავად მოუვიდა, თუ პოშ ვიქტორია „წაეხმარა“?

## ნორვეგია

მე-11 ტური: მოლდე — მოსი 0:3; ვიკინგი — ბრინი 3:0; ჰაუგესუნდი — ბრანი 2:4; ოდ გრენლანდი — ბოდიო გლიმტი 2:2; სტარტი — ტრომსიო 1:1; რუსენბორგი — ვოლერენგა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 11 | 8 | 2 | 1 | 24:9 | 26 |
| ბრანი | 11 | 7 | 2 | 2 | 27:18 | 23 |
| ვიკინგი | 11 | 6 | 2 | 3 | 23:14 | 20 |
| მოლდე | 11 | 5 | 5 | 1 | 19:16 | 20 |
| სტაბეკი | 10 | 5 | 2 | 3 | 22:9 | 17 |
| მოსი | 11 | 4 | 4 | 3 | 14:11 | 16 |
| ოდ გრენლანდი | 11 | 4 | 3 | 4 | 17:15 | 15 |
| ბოდიო გლიმტი | 10 | 3 | 4 | 3 | 16:21 | 13 |
| ტრომსიო | 11 | 3 | 4 | 4 | 16:22 | 13 |
| ლილესტრიომი | 9 | 2 | 5 | 2 | 10:8 | 11 |
| ჰაუგესუნდი | 11 | 3 | 1 | 7 | 18:30 | 10 |
| ვოლერენგა | 11 | 2 | 3 | 6 | 15:18 | 9 |
| ბრინი | 11 | 2 | 2 | 7 | 12:24 | 8 |
| სტარტი | 11 | 0 | 3 | 8 | 8:26 | 3 |



**ბრაზილიელმა** ნახევარმცველმა ფლავიო კონსეისაომ შესაძლოა, მალე „დეპორტივოდან“ „არსენალში“ ამოჰყოს თავი. გალისიური კლუბის პრეზიდენტის, აუგუსტო ლენდოიროს განცხადებით, ფეხბურთელის შეძენის სურვილი არსენ ვენგერმა გამოთქვა, თუმცა სატრანსფერო თანხა არ დასახელებულა. კონსეისაო „დეპორტივოში“ 1996 წელს „პალმეირასიდან“ გადავიდა, კლუბთან კონტრაქტი მას 2003 წელს უსრულდება. ფლავიო ბრაზილიის ნაკრების წევრია და შარშან კოპა ამერიკაც მოიგო, წლეულს კი „დეპორტივოს“ შემადგენლობაში ესპანეთის ჩემპიონი გახდა. მართალია, სატრანსფერო თანხა ოფიციალურად არ გაცხადებულა, მაგრამ ესპანური პრესა ვარაუდობს, რომ გალისიელები ბრაზილიელის სანაცვლოდ 23 მილიონ დოლარს ითხოვენ.

**ესპანეთის ნაკრების ყოფილმა მცველმა პაჩი ფერეირამ „რაიო ვალეკანოს“ მიაშურა. 33 წლის ფეხბურთელმა ბოლო სამი სეზონი „ბილბაოში“ გაატარა, მას კონტრაქტი ცოტა ხნის წინ დაუსრულდა და კლუბის გამოცვლა არჩია. „რაიოსთან“ ფერეირამ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმცა, შესაძლოა გუნდში უფრო დიდხანს დარჩეს. „რაიო ვალეკანო“ ფეირ-პლეის რეიტინგით უეფას თასზე მოხვდა, კლუბი ევროთასებისთვის ემზადება და გამოცდილ მოთამაშეებს ყიდულობს. ფერეირა მადრიდელთა მეექვსე ახალწვეულია. 15-წლიანი კარიერის მანძილზე მცველმა უკვე მეხუთე კლუბი გამოიცვალა, მანამდე კი „ბილბაოში“, მადრიდის „ატლეტიკოში“, „სევილიასა“ და „ვალენსიაში“ ითამაშა.**

**საბერძნეთის** ჩემპიონმა „ოლიმპიაკოსმა“ ურუგვაის „ნასიონალის“ ფორვარდი გაბრიელ ალვესი შეიძინა. ფეხბურთელმა შარშან ჩინებული სეზონი ჩაატარა, სულ 33 გოლი გაიტანა და მონტევიდეოს კლუბს ქვეყნის ჩემპიონობაში დაეხმარა. ალვესი საბერძნეთში მალე ჩავა, სამედიცინო შემოწმებებს გაივლის და „ოლიმპიაკოსს“ ოთხწლიანი ხელშეკრულებით დაუკავშირდება. კლუბებს სატრანსფერო თანხა არ განუცხადებიათ.

**იტალიელმა მცველმა ალესანდრო პისტონემ კლუბი გამოიცვალა — „ნიუკასლმა“ იგი „ევერტონს“ 4,5 მილიონ დოლარად მიჰყიდა. პისტონემ სამედიცინო შემოწმება ჩაიტარა და „ევერტონთან“ ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ინგლისში დარჩენა მსურდა, „ევერტონში“ სწორედ ამიტომ გადავედი — განაცხადა იტალიელმა — მსურს, გუნდთან ერთად წარმატებას მივაღწიო“. „ევერტონის“ თავკაცს კი სჯერა, რომ მის გუნდს პისტონეს გამოცდილება ძლიერ წაადგება.**

**ურუგვაის** ნაკრების ფორვარდი დიეგო ალონსო, შესაძლოა „ვალენსიაში“ გადაბარგდეს. არგენტინული „ლა პლატას“ მოთამაშე ესპანეთში მალე ჩავა და სამედიცინო ტესტირებას ჩაიტარებს, ამის შემდეგ, ალბათ, კონტრაქტსაც გააფორმებს. ალონსოს ახლა მცირე ტრავმა აწუხებს, მან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ბრაზილიასთან გამოტოვა, თუმცა ექიმები ვარაუდობენ, რომ ტრავმა უმნიშვნელოა და ფეხბურთელი ვარჯიშს მალე დაიწყებს. ჯერჯერობით უცნობია, თუ რამდენს იხდის ალონსოში „ვალენსია“.

**ინგლისის პირველდივიზიონულ „ფულემის“ ფრანგი თავკაცი ჟან ტიგანა აცხადებს, რომ მისი ამოცანაა, გუნდი პირველივე სეზონში პრემიერლიგაში აღაზევოს. „მონაკოს“ ყოფილი მწვრთნელი „ფულემში“ რამდენიმე თვის წინ მივიდა და ლონდონურ გუნდში თვისტომებიც ჩაიყვანა. „ფულემში“ ფიზმომზადების მწვრთნელი, ექიმი და სტომატოლოგიც კი ფრანგები არიან. „ჩემი მიზანია, გუნდი პრემიერლიგაში გადავიყვანო — თქვა ტიგანამ — მსურს, ჩემი გამოცდილება გუნდს მოვახმარო. ბიჭებმა ბევრი უნდა იშრომონ და ძალისხმევა არ დაზოგონ. ჩვენ ძლიერი მოთამაშეები გვყავს, ორ-სამ ახალ ფეხბურთელს, ალბათ კიდევ შევიძენთ“.**

**ესპანელი** ნახევარმცველის, გაისკა მენდიეტას შეძენა „რომას“ სურს. იტალიური სააგენტოების ცნობით, რომაელები „ვალენსიას“ ფეხბურთელის სანაცვლოდ 22 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. ესპანური კლუბის პასუხი ჯერჯერობით უცნობია. „რომა“ მალე შესაძლოა ვინჩენცო მონტელამ დატოვოს. 26 წლის ფეხბურთელის ყიდვა „ინტერს“ განუზრახავს. ეს ინფორმაცია გუნდის მენეჯერმა ლელე ორიალიმაც დაადასტურა. შეგახსენებთ, რომ მონტელამ „რომაში“ ერთი სეზონი გაატარა, ფაბიო კაპელოს გუნდში იგი წინა სეზონის ბოლოს „სამპდორიადან“ გადავიდა.

**ინგლისის ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედის“ თავკაცი ალექს ფერგიუსონი დაცვის ცენტრის გაძლიერებას „პარმადან“ ფაბიო კანავაროს გადაბირებით აპირებს. შეგახსენებთ, რომ „წითელ ეშმაკებს“ სოლ კემპბელის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, „ტოტენჰემს“ ვერ შეუთანხმდნენ. „პარმას“ ბრიტანელთათვის პასუხი ჯერჯერობით არ შეუთვლია, ევროპის ჩემპიონატის ფინალში განცდილი დრამატული მარცხის შემდეგ არც თავად ფაბიო კანავაროს განუცხადებია რაიმე. „პარმას“ ფორვარდ არიელ ორტეგას „ბორდო“ ეპატიჟება და არ არის გამორიცხული, ფრანგებმა არგენტინელი ფეხბურთელი სულ მალე შეიძინონ.**

**ფრანგი** მცველი ბრუნო ნგოტი სულ მალე, ალბათ, სამშობლოში დაბრუნდება და მარსელის „ოლიმპიკის“ ღირსებას დაიცავს. „მილანის“ ფეხბურთელი თავად მარსელურმა კლუბმა მიიწვია. ნგოტის საფრანგეთის ნაკრებში ექვსჯერ უთამაშია, 1996 წელს მან პსჟ-ს შემადგენლობაში თასების მფლობელთა თასი მოიგო. საფეხბურთო კარიერა კი ბრუნომ „ლიონში“ დაიწყო. „მილანში“ კიდევ ერთი სიახლეა — კლუბმა პიერლუიჯი ორლანდინი „ბრეშაში“ გაანათხოვრა. ნახევარმცველი ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდებოდა და დროებით კლუბის გამოცვლა არჩია. „ბრეშა“ სერია A-ში წლეულს გადავიდა, მწვრთნელი კარლო მაცონე გუნდს, ალბათ, კიდევ რამდენიმე ახალწვეულით გააძლიერებს.

**უზბეკეთის ნაკრების მთავარ მწვრთნელად იური სარქისიანი დაინიშნა. 45 წლის სპეციალისტის დებიუტი რამდენიმე დღეში შედგება, როცა გუნდი ამხანაგურ მატჩში ჩრდილოეთ კორეას შეხვდება. უზბეკები ოქტომბერში აზიის თასზე ითამაშებენ და ჯგუფში იაპონიას, ყატარსა და საუდის არაბეთს დაუპირისპირდებიან.**

**პორტუგალიის** ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებმა ჟოაუ პინტუმ და პაულუ სოუზამ ახალი კონტრაქტები გააფორმეს. პინტუმ „ბენფიკა“ დატოვა და მეორე ლისაბონურ კლუბ „სპორტინგში“ გადაბარგდა. ფეხბურთელის პორტუგალიის წლევანდელ ჩემპიონთან კონტრაქტი ოთხწლიანია. ამ ხნის მანძილზე ჟოაუ პინტუ სულ ცოტა, 5 მილიონ 72 ათასი დოლარით გამდიდრდება. რაც შეეხება პაულუ სოუზას, მას ბერძნულმა „პანათინაიკოსმა“ სამწლიანი ხელშეკრულება შესთავაზა.

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

ავსტრია. 1-ლი ტური

4 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 001 | ტიროლი-ადმირა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 5 ივლისი | | | |
| 002 | ზალცბურგი-რაპიდი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 003 | აუსტრია-გრაცერი | 1,75 | 2,9 | 4,4 |
| 004 | რიდი-ბრეგენცი | 1,5 | 3,5 | 5,3 |
| 005 | შტურმი-ლინცერი | 1,35 | 3,8 | 7,0 |

რუსეთი. გადადებული მატჩები

4 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 006 | სპარტაკი-ტორპედო 18.00 | 1,7 | 2,9 | 5,0 |
| | 5 ივლისი | | | |
| 007 | დინამო-ზენიტი 18.00 | 1,75 | 2,9 | 4,4 |

შვედეთი. მე-9 ტური

4 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 008 | გაის-ჰალმსტადი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| 009 | ჰამარბი-ელფსბორგი | 1,7 | 3,1 | 4,4 |
| | 5 ივლისი | | | |
| 010 | ჰელსინგბორგი-ფრიოლუნდა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 011 | ნორჩიოპინგი-აიკ | ,5 | 2,9 | 2,5 |
| 012 | სუნდსვალი-გიოტებორგი | 3,4 | 3,1 | 1,9 |
| 013 | იორებრო-ტრელებორგი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| 014 | იორგრიტე-ჰეკენი | 1,4 | 3,8 | 6,0 |

ნორვეგია. მე-12 ტური

5 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 015 | ბრინი-რუსენბორგი | 5,6 | 3,6 | 1,45 |
| 016 | ბოდიო გლიმტი-სტარტი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 017 | ბრანი-ლილესტრიომი | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| 018 | ჰაუგესუნდი-ტრომსიო | 2,4 | 2,9 | 2,6 |
| 019 | მოსი-ვიკინგი | 2,3 | 3,0 | 2,7 |
| 020 | სტაბეკი-მიოლდე | 2,2 | 3,0 | 2,9 |
| 021 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 2,0 | 3,0 | 3,3 |


კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში; №2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე; გლდანი, I სავაჭრო ცენტრი; თემქა, მე11-ე მიკრორაიონი, პირველი კვარტალი და

ახალი ბიუროები: ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან) და წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა №16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში.

ბათუმში — ლუკა ასათიანის (ყოფილი ჯაფარიძის) ქუჩა №67, II სართული.

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი.

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში ხანმოკლე პაუზის შემდეგ კვლავ მუშაობს „კროკოს" განახლებული ბიურო. მისამართი: შარტავას 7.


კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# მხოლოდ მაკაბი!

## ევროპაში საქართველო ერთი გუნდით წარდგება

ქართულ კლუბებს, მოგეხსენებათ, კორაჩის თასზე ოთხი ადგილი ერგებათ, თუმცა ბოლო წლებში ერთდაერთი რუსთავის „აზოტი" ეშურებოდა ევროთასზე თამაშს. წლეულს „აზოტმაც" იუარა ევროპაში გასვლა, რაც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ოთარ ხმელიძემ ფინანსური შეჭირვებით ახსნა.

სამაგიეროდ, თბილისის „მაკაბიმ" მოიწადინა კორაჩზე თამაში და ბოლო ჩემპიონატის მეექვსეადგილოსანს ფედერაციამაც უყოყმანოდ დართო ამის ნება, რაკი მანამდე ოთხი კი არა, ერთი მსურველიც არ გამოჩენილიყო. ფედერაციამ, თავის მხრივ, ფიბა-ს აცნობა ყოველივე და იქიდან მოსულმა პასუხმაც ყველა გზა გაუხსნა „მაკაბის" ევროპისკენ.

ისეთი პირი უჩანს, საქართველო წლეულსაც ერთი კლუბით წარდგება ევროპაში. დღესხვალ ფიბა განაცხადების მიღებას შეწყვეტს, 16 ივლისს კი უკვე კენჭისყრაც გაიმართება.

წინასწარი ინფორმაციით, კორაჩის თასზე თამაშს მეცხრეეროვნულის ჩემპიონი ბათუმის „ბასკოც" აპირებდა. ახლა უკვე საბოლოოდ გადაიფიქრეს ზღვისპირელებმა ამ ტურნირში მონაწილეობა, რაც გუშინ გუნდის ვიცე-პრეზიდენტმა მერაბ ემირიძემაც დაგვიდასტურა:

„კორაჩის თასზე „ბასკო" ნამდვილად არ ითამაშებს. ჩვენ გვსურს, ჩრდილოეთ ევროპის საკალათბურთო ლიგის გათამაშებაში ვიასპარეზოთ, რადგან ეს უფრო გვაძლევს ხელს. სისტემა კარგია, მეტი თამაში მოგვიწევს, რაც „ბასკოსთვის" მისწრება იქნება, კალათბურთელები პრაქტიკას შეიძენენ.

სავსებით შესაძლებელია, სხვა, ახალი ლიგაც შეიქმნას და „ბასკომაც" სწორედ იქ სცადოს ძალა. ამჟამად გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა".

**გიორგი ბიკაშვილი**

# ქართველი კადეტები

## უკრაინაში ქართველმა დაპატიჟა

საქართველოს კადეტ კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის შეუდგა მზადებას. 2-6 აგვისტოს ბულგარეთის ქალაქ რაზგრადში თექვსმეტწლამდელთა საკვალიფიკაციო ეტაპი გაიმართება, სადაც ქართველები იტალიელ, უნგრელ, ბულგარელ და ებრაელ თანატოლებთან დაიჭერენ საქმეს. სწორედ ამ ქვეყნის გუნდების ჭიდილში გაირკვევა სამი გამარჯვებული, რომელთაც შესარჩევი ტურნირისკენ გაეხსნებათ გზა.

გუშინ დილით ჩვენებურები უკრაინას გაემგზავრნენ ოცდღიან შეკრებაზე. გუნდი ქალაქ მარიუპოლში დაბანაკდა, სადაც ერთ-ერთი სპორტული სკოლის დირექტორი მავანი ქართველი ყოფილა. სწორედ მას მიუწვევია კადეტთა ნაკრები უკრაინაში და ყოველგვარი ხარჯიც თავად უკისრია.

სულ 18-კაციანი დელეგაცია ჩავიდა მარიუპოლში. მათ შორის არიან გუნდის მთავარი მწვრთნელი მერაბ ცირეკიძე, მწვრთნელები მიხეილ კობეშავიძე და ზურაბ სამხარაძე და თხუთმეტიც კალათბურთელი. საევროპოდ, მოგეხსენებათ, თორმეტი მოთამაშე უნდა შეირჩეს.

დედაქალაქ სოფიიდან 370 კილომეტრით დაშორებულ რაზგრადში ქართველები პირველ აგვისტოს ჩავლენ. ტურნირი, მართალია, 2 აგვისტოს იწყება, მაგრამ ჩვენი გუნდი პირველ დღეს ისვენებს. მერე კი...

3 აგვისტო

**საქართველო — იტალია**

4 აგვისტო

**უნგრეთი — საქართველო**

5 აგვისტო

**საქართველო — ისრაელი**

6 აგვისტო

**ბულგარეთი — საქართველო**

# ბასკოში მატჩება

ქვეყნის ჩემპიონი ბათუმის „ბასკო" დღეიდან ახალი სეზონისთვის იწყებს მზადებას. თავდაპირველად გუნდი მშობლიური ქალაქში ივარჯიშებს, მოგვიანებით კი იქნებ საზღვარგარეთული შეკრებაც გააზერხონ ზღვისპირელებმა. კლუბიდან არავინ წასულა, უკლებლივ ყველა კალათბურთელი ადგილზეა და „ბასკოც" სრული შემადგენლობით შეუდგება წვრთნას.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემ ამას წინათ გაგვანდო, „ბასკოს" გადახალისება მსურსო. ახლა უკვე პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა და ჩათვალეთ, რომ „ბასკო" ახალ სეზონს ახალწვეულებით შეხვდება.

როგორც შევიტყვეთ, ზღვისპირელებმა სამ კალათბურთელთან აწარმოეს მოლაპარაკება და ბათუმურ კლუბში გადასვლაზე სამივე დაითანხმეს. ეტყობა, ყველაზე მეტად უკანა ხაზში არსებული პრობლემები აფიქრებს ტომარაძეს, რაც იმაშიც გამოჩნდა, რომ მიწვეულ კალათბურთელთაგან ორი გამთამაშებელია. დავით უსტიაშვილმა უკანასკნელი სეზონი „ვითაში" გაატარა, გიორგი ნიკოლაძე კი მეცხრე ჩემპიონატში „დინამოს" შეტევებს უძღვებოდა. ამჟამად ორივე ბათუმშია და დღეს პირველად ივარჯიშებენ „ბასკოში", ხოლო მესამე ახალწვეული, სტუ-ს თავდამსხმელი ამროსი ორმოცაძე 6 ივლისს შეუერთდება თავის ახალ გუნდს.

**გიორგი ბიკაშვილი**



დავით უსტიაშვილი (ბურთით) და მამუკა აბრამიძე თანაგუნდელები გახდნენ




ეი სი გრინი (მარცხნივ)

# ჩემპიონი რკინის კაცს უმადურად მოექცა

„ჩვენ აუცილებლად შევინარჩუნებთ შემადგენლობას და მომავალ სეზონშიც პირველნი ვიქნებით" — ცხელ გულზე ამბობდნენ ლეიკერსელები ჩემპიონებად კურთხევიდან რამდენიმე წუთის შემდეგ. დიდი ხანი არ არის, რაც სეზონი ჩამთავრდა, ემოციებიც ჯერ არ განელებულა და ტრიუმფატორმა უკვე განიცადა დანაკლისი. ჩემპიონობით ტკბობა დიდხანს არ დასცალდა სასტარტო ხუთეულის წევრს, თავდამსხმელ ეი სი გრინს. იგი გაურკვეველი მიზეზით გუნდიდან გაუშვეს. „ეი სი გრინი ჩვენ ძალიან დაგვეხმარა ურთულეს ბრძოლებში. იგი გუნდისთვის მეტად საჭირო მოთამაშეა, აკეთებს ბევრ საქმეს, რაც მატჩის ოქმში არ აისახება" — „ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ვიცე-პრეზიდენტი ჯერი ვესტი გრინს კი აქებს, მაგრამ არც ერთ სიტყვას არ ამბობს იმის თაობაზე, თუ რატომ შეელია ასე იოლად ესოდენ „საჭირო მოთამაშეს".

ეი სი გრინის გუნდიდან დათხოვნის მიზეზი შეიძლება კალათბურთელის ასაკი იყოს. იგი 36 წლისაა და მისმა საშუალო შედეგიანობამ ამ სეზონში 5,0 ქულამდე და 5,9 მოხსნამდე დაიკლო. ეს მაშინ, როცა იგი სასტარტო ხუთეულის წევრი იყო და მატჩში საშუალოდ 24 წუთს ატარებდა მოედანზე.

ახლა ორიოდ სიტყვა თავად გრინზეც ვთქვათ, მით უმეტეს, რომ იგი ამას ნამდვილად იმსახურებს. ეი სი გრინი უნიკალური მოთამაშეა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს ლიგის ისტორიას. იგი არც ქულებს აგროვებს უთვალავი ოდენობით და ვერც დიდი მომხსნელია. გრინის უნიკალურობა იმაშია, რომ მას სიცოცხლეში არ გამოუტოვებია თამაში ტრავმის გამო. იგი მაშინაც კი თამაშობს, როცა მოტყდება თითი, გაებზარება ძვალი ან სულაც კუჭი აეშლება. მის ზურგს სალ კლდეს ადარებენ, თვითონ გრინს კი რკინის კაცს ეძახიან. მან ჩაატარა ზედიზედ 1133 მატჩი, რაც ლიგის აბსოლუტური რეკორდია. ბოლო შეხვედრა 14 წლის წინ გამოტოვა, ისიც იმის გამო, რომ უბრალოდ, მწვრთნელმა არ ჩათვალა საჭიროდ მისი მოედანზე შეშვება. გრინის იმედი ყოველთვის ჰქონდათ მწვრთნელებს და თანაგუნდელებს.

ეისი გრინმა კარიერა „ლეიკერსში" დაიწყო და ამ დიდი გუნდის რიგებში ორჯერ — 1987 და 1988 წლებში — ჩემპიონიც გახდა. „ფინიქსში" და „დალასში" გატარებული რამდენიმე სეზონის შემდეგ გრინი კვლავ დაუბრუნდა „ლეიკერსს" და კიდევ ერთხელ დაეხმარა, ჩემპიონი გამხდარიყო. ახლა კი ამ გუნდმა მის მიმართ უმადურობა გამოიჩინა, აღარ გვჭირდებიო, უთხრა და გუნდიდან გაუშვა.

# მელოუნი ერთ წელიწადში წასვლას აპირებს

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე, კარლ მელოუნი თავისი კლუბის, „იუტა ჯაზის" დატოვებას აპირებს... ერთი წლის შემდეგ. 90-იანი წლების ერთ-ერთ საუკეთესო გუნდ „იუტას" მომავალში დაშლის საფრთხე ემუქრება და ამ 206-სანტიმეტრიან და 120-კილოგრამიან დევკაცს ეშინია ნანგრევებში არ მოჰყვეს.

გადაწყვეტილია, გუნდის ერთ-ერთი ლიდერი, ჯონ სტოქტონი ერთი სეზონის შემდეგ კალათბურთს გამოეთხოვება. იგივე გადაუწყვეტია გუნდის მთავარ მწვრთნელ ჯერი სლოუნსაც, ხოლო კიდევ ერთი ლიდერი, ჯეფ ჰორნაჩეკი უკვე გავიდა პენსიაზე. ეს ბუნებრივი პროცესია. ეს ხალხი უკვე საკმაოდ მოხუცდა დიდი კალათბურთისთვის და დასვენება სჭირდებათ. არც მელოუნია პირტიტველა ყმაწვილი, 36 წლის გახლავთ, თუმც ასაკმა მას დიდი დაღი არ დაასვა. „ფოსტალიონი" კვლავაც აპირებს მეტოქეთა დაწიოკებას, ოღონდ თავისი განუყრელი მეგობრის ჯონ სტროქტონის და მასწავლებელ ჯერი სლუნის გარეშე „იუტაში" თამაში მის გეგმებში არ შედის.

ორი დღის წინ კარლ მელოუნმა სოლტ ლეიკ სიტის ტელევიზიით ამცნო ქვეყანას თავისი გადაწყვეტილება: „მე კიდევ შემიძლია თამაში, ჯერაც მოსაგები მაქვს პლეი ოფი და სულაც არ მინდა ამ ეგრეთ წოდებული რესტავრაციის პროცესში რამდენიმე წელი დავკარგო. ბუნებრივია, გუნდი უნდა გაახალგაზრდავდეს, მაგრამ ამას ხომ დრო სჭირდება. თავის დროზე როცა მე და ჯონი (სტოქტონი) გუნდში მოვედით, „იუტა" ჩვენზე აშენდა და ამან გარკვეული დრო წაიღო. ახლა ახალგაზრდა აღარ ვარ და სულაც არ მინდა, კვლავ მოვხვდე ამ სიტუაციაში".

ამასთან მელოუნი უკმაყოფილებას ვერ მალავს კლუბის ხელმძღვანელობის მიმართ. ნაწყენია, რომ მას ამჯერად რჩევა არ ჰკითხეს, ვის აიყვანდნენ დრაფტში. „იუტა ჯაზმა" დრაფტში 23-ე ნომრად აირჩია უკანახაზელი დეშონ სტივენსონი, რომელიც მომავალში სწორედ სტოქტონის შემცვლელად მოიაზრება. მელოუნი მასზე ამბობს: „ჩანს, იგი მრავალმხრივ ნიჭიერი კალათბურთელია, მაგრამ ნამდვილად არაა სუპერმენი და საეჭვოა, პირველივე სეზონში გუნდის წამყვან მოთამაშედ იქცეს. ამას ორი ან სამი წელი დასჭირდება".

ერთი წლის შემდეგ რომელ გუნდში გადავა კარლ მელოუნი, მან თავადაც არ უწყის. მთავარია, ჩემპიონობისთვის იბრძოლოს. ვერც მის აგენტთან, დუაიტ მანლისთან მოხერხდა დაკავშირება. არადა, მელოუნს სურდა, კარიერა სწორედ „იუტა ჯაზში" დაემთავრებინა, სადაც აქამდე 15 შესანიშნავი სეზონი გაატარა. მან შარშან კლუბთან ოთხწლიანი და 67-მილიონიანი კონტრაქტიც გააფორმა, თუმც როგორც ხედავთ, თავადვე მოისურვა სხვაგან გადაბარგება და, შესაბამისად, ამ ზესარფიანი კონტრაქტის გაწყვეტა. დღევანდელ „იუტა ჯაზს" კი არსებობის ერთი სეზონიღა დარჩენია. იგი შეიძლება ისეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდეს, როგორშიც „ჩიკაგო ბულზი" ამ ორი წლის წინ.

**ირაკლი ფირაშვილი**




კარლ მელოუნი

# ტრინეს ოქროს რეკორდი

IAAF GOLDEN LEAGUE

30 ივნისს მარადიულ ქალაქში ვინმეს მძლეოსნობა ახსოვდა? წინა დღეს ხომ იტალიამ ჰოლანდია დაამარცხა და მთელი რომი ევრო 2000-ის ფინალზე ფიქრობდა, ბჭობდა, ღელავდა და სიზმრებს ხედავდა, ამ დროს კი ქალაქის ერთ უბანში, ოლიმპიურ სტადიონზე, მსოფლიოს რჩეულმა მძლეოსნები „ოქროს ლიგის“ მეორე ეტაპზე გაეჯიბრნენ ერთმანეთს და ზოგმა 50 კილოგრამ ბაჯაღლო ოქროსკენ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა. ტრიბუნებზე მყოფი ქომაგნიც იტალიელთა საკადრისად აფრქვევდნენ ემოციებს. მაგალითად, ტაშმა იქუხა, როცა ნორვეგიელმა ტრინე სოლბერგ-ჰატესტადმა შუბი გატყორცნა, იგი 68 მეტრისა და 22 სანტიმეტრის მოშორებით დაარჭო და ქალებში ოფიციალურ მსოფლიო რეკორდსმენად იქცა. არაოფიციალური აქამდეც იყო: გასული წლიდან, მაგრამ ხსენებულზე სამი სანტიმეტრით ნაკლებ შედეგს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაცია არ უთვლიდა. 6,19 მეტრი ვიკინგ მეშუბეს ფინეთის ციცქნა ქალაქ ტანაში უჩვენებია, რომელიღაც ისეთ ტურნირზე, ასობით რომ იმართება და შემდეგ დოპინგ-კონტროლისთვის თავს არავინ იწუხებს. ამიტომაც ითვლებოდა დღემდე მსოფლიოს მოქმედ რეკორდად ბერძენი მირერა ცელილას 67 მეტრი და 9 სანტიმეტრი. როგორც ხედავთ, ახალი მიღწევა წინაზე არანაკლებ მეტრით მეტია, ამიტომ ჰატესტადი მსოფლიოს უძლიერეს მანდილოსან მეშუბედ გვესახება. თუ რომში მისი უახლოესი მდევრების შედეგებს წარმოვადგენთ, მას კონკურენტი არ ჰყავს. რუსი ტატიანა შიკოლენკო 4,39 (!) მეტრით ჩამორჩა, კუბელი ოსლეიდის მენინდესი კი სულაც ხუთით.

ათენური ფიასკოს შემდეგ ამერიკელი მორის გრინი კვლავ გამოსწორდა და რომში ძველებურად გაიბრწყინა. ამაოდ ცდილობდნენ ასმეტრიანზე ტრინიდადელი ატო ბოლდონი და 21 წლის ელიტაში ახლადგამოჩეკილი ფრენსისა ობიკველა (ნიგერიიდან) გრინის დაჯაბვნას. ამერიკელმა არც ვარჯიშის ამხანაგი დაინდო და არც დებიუტანტი, 9 წამსა და 97 მეასედში უწია ფინიშს. ბოლდონი და ობიკველა სამი მეასედი წამით ჩამორჩნენ და ელემენტარული არითმეტიკა ყოფნის იმის დადგენას, რომ მრგვალი 10 წამი უჩვენებიათ. ფოტოფინიშმა ტრინიდადელი აზეირა, თუმც



მორის გრინი



ტრინე სოლბერგ-ჰატესტადი

ახლა ისა გვაქვს საფიქრალი, ბოლდონი მართლა ტრინიდადელია, თუ არა. აქამდე ასე იყო და რომის ტურნირის პრიზიორებში მისი გვარის გასწვრივ შეერთებული შტატები რომ ვიხილეთ, შევფიქრიანდით. იქნებ მაროკოელი ხალიდ ხანოუჩის პრეცენდენტი მეორდება და სიდნეის ოლიმპიადაზე (თუ წავიდა) ბოლდონიც ვარსკვლავზოლებიანი დროშის ქვეშ ვიხილოთ.

100-მეტრიანი დისტანციის გარბენიდან საათსაც არ გაევლო, როცა ახლა ორჯერ მეტის დაფარვის მსურველნი გავიდნენ ბილიკზე, მათ შორის მორის გრინიც. სწორედ ის იყო მთავარი ფავორიტი. პროგნოზი გამართლდა. ამერიკელმა 200 მეტრი 20,02 წამში დაფარა და ამაზე მეტს წლეულს მაიკლ ჯონსონის გარდა ვერავინ შესწვდომია. ჯონსონმა ორჯერ, გეხსომებათ, 19,71 და 19,91 წამებიც უჩვენა, მაგრამ პრინციპული ახლა ის არის, რომ 200 მეტრი გრინისთვისაც მშობლიური დისტანცია გამხდარა და ივლისში, ამერიკის ნაკრების შესარჩევ გარბენებზე ჯონსონ-გრინის ქიშპი მეტად სასეირო სანახავი უნდა გამოდგეს.

კიდევ ვინ გვაინტერესებს? მარიონ ჯოუნსი, უპირველეს ყოვლისა. ალბათ შენიშნავდით მძლეოსნის სახელის გამოთქმაში კორექტივები შევიტანეთ (აქამდე ბარიონ ჯონსს ვეძახდით, რაც არასწორი ყოფილა), ჰოდა, აწ უკვე მერიონმა რომში კარგად გააკეთა ის საქმე, რაც ეხერხება და ცუდად ის, რაშიც მთლად მაგარი ვერ არის. 100 მეტრზე რბენაში ქურციკივით ამერიკელმა, ცხადია, ახლოს არავინ გაიკარა და დისტანცია რვა მეასედ წამიანი უპირატესობით მოიგო. უკან დარჩა რამდენიმე ძლიერი მორბენალი, რომელთაგანაც ფრანგი კრისტინ არონის გამორჩევა შეიძლება. შემდეგ ჯოუნსმა სახტომ სარბიელზე გადაინაცვლა და გაწბილდა. რუსი ტატიანა კოტოვა პირველ ადგილზე დამაჯერებლად გავიდა, იტალიელმა ფიონა მეიმ კი ჯოუნსს მხოლოდ ოთხი სანტიმეტრი მოუგო და ბრინჯაოს მედალიღა არგუნა.

რომში კარგი ამინდი იდგა, წამში მხოლოდ მეტრის სიჩქარის ნაზი სიოქროდა, ამიტომ სხვა სახეობის მძლეოსნებსაც არ დაზარებიათ რბენა-ხტუნაობა და მარადიულ ქალაქში რამდენიმე მაღალი შედეგი ალინუსხა. მათგან ეროვნული რეკორდები იპყრობს ყურადღებას, ახლა 1 500 მეტრზე რბენას შევეხებით. კენიელმა ნოა ნგენიმ ტრასა სეზონის რეკორდით დაასრულა — 3 წუთი და 29,99 წამი იყო მისი შედეგი. მეორე კენიელივე ბერნარ ლაგატი გახლდათ და მესამე ესპანელი ხოსე ანტონიო რედოლა. რჩეულ სამეულს ეროვნული რეკორდების ავტორთა მწკრივი მოჰყვა. კევინ სალივანმა მეოთხე ადგილს კანადის რეკორდი დაურთო, ვიაჩესლავ შაბურინმა მეხუთეს — რუსეთისა და ბოლოს, მხოლოდ მეშვიდე იყო სახელოვანი პაულუ მეკონენი, რაც გასაკვირია, მაგრამ იგი ეთიოპიას ამ მიღწევითაც ეროვნული რეკორდის ავტორად დაუბრუნდება, რეკორდისა, რომელსაც აქამდე უფრო სახელოვანი ჰაილე გაბრესელასიეს სახელი უკავშირდებოდა. ქალთა ანალოგიური დისტანცია კი სწორედ ეთიოპიელმა მოიგო, როგორც ბევრი ელოდა, თუმცა კუტრა დულეჩამ ბოლო ხანს რბენის მადაზე ერთობ მოსული პოლონელი, ლიდია ჩოჟეიკა მხოლოდ ბოლო მეტრზე დაჩაგრა. რუსმა მაქსიმ ტარასოვმა, ნახსენებებმა: კოტოვამ და დულეჩამ და კიდევ ალჟირელმა ალი საიდ-სიეფმა „ოქროს ლიგაში“ უკვე დუბლები შეასრულეს და ჯეკპოტის ყველაზე რეალურ მოცილეებად ითვლებიან. ალი საიდ-სიეფი ახალგაზრდა ბიჭია და ალჟირის სახელით ხან 3 000 მეტრზე დარბის, ხანაც 5 000-ზე. რომში არაბმა ჭაბუკმა უკანასკნელი ირჩია და ორი ფეხმარდი კენიელი მოიტოვა უკან: სემი კიპკეტერი (უილსონის ძმა) და პოლ ტერგატი. მარადიულ ქალაქში ბირთვის კვრაც იყო და აქ, ცხადია, პირველი სი ჯეი ჰანტერი უნდა ყოფილიყო. ასეც მოხდა, ოღონდ სი ჯეიმ ადრინდელზე ცოტა უარესი შედეგი უჩვენა, მისმა ბირთვმა 21 მეტრისა და 34 სანტიმეტრის მოშორებით დაიდო ბინა. მეორე ადგილზე თეთრფეხება უკრაინელი იური ბელონოგი გავიდა, მესამეზე — იანკი ჯონ გოდინა და მათ გარდა, მგონი, ერთი-ორი კაცი თუ იყო ისეთი, ბირთვი ოცმეტრიან ნიშნულს რომ გადააცილა.

„ოქროს ლიგის“ რომაული ეტაპი ამით მორჩა, მარადიულ ქალაქს კი კვირადღის გაწბილება ელოდა.

**დავით გულუა**



# ვინ ყოფილან, რა ყოფილან ეს რუსი ქალები?!

ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში მიმდინარე საწყლოსნო სახეობების წარმომადგენელთა XXV ევროპის ჩემპიონატზე როგორც მოსალოდნელი იყო, სინქრონულ ცურვაში ოქროს მედლები არავის დაუთმეს რუსმა ქალთევზებმა. მას შემდეგ, რაც ოლგა ბრუსნიკინამ პარასკევს ერთეულთა ფინალში ყველას აჯობა, წყვილთა გადამწყვეტ ასპარეზობაშიც მარია კისელევასთან ერთად კვლავ იზეიმა კონტინენტის ჩემპიონობა, რომელიც მათთვის ზედიზედ მესამე ასეთი წარმატება გახლდათ.

ბრუსნიკინა — კისელევას დუეტმა 99.360 ქულით ფრანგთა ვირჟინ დედიე — მირიამ ლინოს (97.160) წყვილს აჯობა, რომელმაც ვერცხლის მედლები ზედიზედ მესამედ მოიპოვა.

ამ სახეობაში ბრინჯაოს მედლები პირველად ირგუნეს ესპანელებმა. ასეთ წარმატებას მიაღწია გემა მენგუალისა და პაოლა ტირადოსის წყვილმა (97.000).

შეგახსენებთ, რომ მენგუალმა „ბრინჯაო“ ერთეულთა თანრიგშიც დაისაკუთრეს.

მაგრამ დავუბრუნდეთ ბრუსნიკინას, რომელმაც ზედიზედ მეორე ევროპის ჩემპიონატზე მაქსიმუმს მიაღწია. მან სტამბოლის კონტინენტის პირველობაზე შესრულებული ჰეთ თრიკი გაიმეორა. ფინეთის დედაქალაქში მესამე ოქრო თანაგუნდელებთან ერთად მოიპოვა. რუსებმა დიდი უპირატესობით უკან მოიტოვეს უახლოესი მდევრები და ამ წარმატებით 1991 წლიდან მოყოლებული საჩემპიონო სვლა განაგრძეს. ამ პერიოდში მათ 18 ოქროს მედალი დაგროვებიათ.

ჯგუფურ შეჯიბრებაში მეორე ადგილისთვის ბრძოლაში პატარა სიურპრიზი შემოგვთავაზეს იტალიელებმა, რომლესაც 97.480 ქულით ვერცხლის



ოლგა ბრუსნიკინა

მედლები არ დაანებეს ფრანგებს (97.000), ესპანელები კი მეოთხეზე (85.760) დატოვეს.

ძნელი არ უნდა იყოს იმის მიხვედრა, რომ საერთო ჯამში რუსებმა მაქსიმუმს მიაღწიეს და პირველობა იზეიმეს (384). ფრანგები მეორეზე (371), იტალიელები მესამეზე (365), ხოლო მეოთხეზე ესპანელები (364) გავიდნენ.

* * *

**გაირკვა** ღია წყალში 5 კილომეტრზე ცურვაში ქალთა შორის გამარჯვებულის ვინაობაც. იგი გახლავთ გერმანელი პეგი ბუშე, რომელმაც ზედიზედ მესამედ დაიმსახურა ევროპის ჩემპიონობა.

— ბედნიერი ვარ, რომ სამჯერ მოვიპოვე კონტინენტის ჩემპიონობა. ვცდილობდი სისწრაფე მეკონტროლებინა, ხოლო როდესაც მიმოვიხედე და დავინახე, რომ 200-300 მეტრის მანძილზე ვერავინ მიახლოვდებოდა, მივხვდი, რომ უდავოდ შემეძლო ფინიშისკენ გზის გაგრძელება — თქვა 27 წლის როსტოკელმა ბუშემ, რომელსაც 1997 წლის სევილიისა და 1999 წლის სტამბოლის ევროპის ჩემპიონატებზეც უყოჩაღია და სხეულზე ზვიგენიც ამოუსვირინგებია.

პეგი ბუშეს ყველაზე დიდი წარმატება გუშინდელმა დღემ მოუტანა, როდესაც ნუუკსიოს ტბაში 25 კილომეტრზე ცურვისას დუბლი შეასრულა და შეიქნა პირველი ქალი, რომელმაც ორივე მანძილზე ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა. გამარჯვების მოსაპოვებლად მას 5 საათი და 22.11,1 წამი დასჭირდა. მეორე შედეგი (5:24.47,0) აჩვენა ჰოლანდიელმა ედიტ ვან დიიკმა, ხოლო მესამე ადგილზე გავიდა იტალიელი ვალერია კასპრინი (5:24.52,7), რომელსაც შაბათს 5 კილომეტრზე ცურვისასაც შეეძლო საპრიზო ადგილი დაეკავებინა, თუმცა საბოლოოდ მეოთხე იყო.

საინტერესოა, რომ კაცებში, ისევე როგორც ქალებში, პირველ-მეორე ადგილებზე 5 კილომეტრზე ცურვაში თანამემამულეები გავიდნენ.

როგორც ვიუწყებოდით, კაცებში ჩემპიონობა იტალიელმა ლუკა ბალდინიმ მოიპოვა, ვერცხლი კი მისმა თანამემამულე ფაბიო ვენტურინიმ, ქალებში კი პეგი ბუშეს მერე ფინიშთან მეორე მიცურდა ასევე მისი თვისტომი ბრიტა კამრაუ. პირველმა ეს მარათონული გაცურვა 1 საათსა და 26,6 წამში დაასრულა, მეორემ 1:00.40,9-ში, მესამეზე კი ჩეხი იანა პეჩანოვა (1:00.41,6) გავიდა.

სხვათა შორის, პეჩანოვა თავიდან დაწინაურდა კიდეც და ბუშესა და კამრაუს დიდი მანძილითაც უსწრებდა, მაგრამ ეს სხვაობა ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. თუმცა, მისი შედეგი დებიუტისთვის ბრწყინვალეც კია, რადგან ღია წყალში პირველად იასპარეზა.

5 კილომეტრზე ცურვის ამბები ამით არ გასრულებულა.

ესპანელმა დევიდ მეკამ, როდესაც მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ფრანგ სტეფან ლეკას აჯობა, დამარცხებულის ქომაგებმა უმალ პროტესტით მიმართეს შეჯიბრების ორგანიზატორებს. ისინი ჩიოდნენ — რადგან ესპანელი ორი სხვადასხვა ქუდით ასპარეზობდა, „ბრინჯაო“ უნდა ჩამოვართვათო. ცურვის ევროპის ლიგის ტექნიკურმა დელეგატმა ვიქტორ ნოგუერამ ფრანგებს განუმარტა, რომ ეს საცურაო ქუდები არ ეხმარებოდა სპორტსმენს არც სისწრაფის განვითარებაში და არც ტივტივში, ამიტომაც, წესების თანახმად, თქვენს სარჩელს ვერ დავაკმაყოფილებთო.

ეტყობა სტეფან ლეკამ გადაწყვიტა მარათონულ 25 კილომეტრზე ცურვისას ესპანელზე შური ეძია და მიზანს მიაღწია კიდეც, როდესაც შეუპოვარ პაექრობაში მეტოქე დაამარცხა და ჩემპიონობაც იზეიმა. გამარჯვებულმა მარათონი 5 საათსა და 5.22,5 წამში გაასრულა. ესპანელმა — 5:5.28,9, ხოლო მესამეზე გასულმა იტალიელმა ფაბიო ფუზიმ 5:6.25,5 აჩვენა.

**გიგა გურასპაშვილი**

**წყალში ხტომა**

**კაცები**

1-მეტრიანი ტრამპლინი

1. ალექსანდრ მეში (გერმანია) — 370.53
2. დმიტრი ბაიბაკოვი (რუსეთი) — 363.00
3. იონა პუჰაკა (ფინეთი) — 347.16

**ქალები**

10-მეტრიანი კოშკი, სინქრონული ხტომები

1. ანკე პიპერი — უტე ვეციგი (გერმანია) — 268.05
2. ევგენია ოლშევსკაია — სვეტლანა ტიმოშინინა (რუსეთი) — 265.20
3. ოლგა ლეონოვა — ალიონა ჟუპინა (უკრაინა) — 264.54

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შოტლანდიელის ყვითელი სიზმარი



„ტურ დე ფრანსის“ გზა ჭიქა ღვინით დალოცეს



დევიდ მილარი




„თავი სიზმარში მგონია“ — თქვა „ტურ დე ფრანსის“ პირველი ეტაპის მომგებმა დევიდ მილარმა. 23 წლის შოტლანდიელმა 16,5-კილომეტრიან ინდივიდუალურ რბოლაში ყველას აჯობა და პირველი სკოტი შეიქნა, ყვითელი მაისურა რომ მოირგო. „ტურში“ უკეთეს დებიუტს მილარი ვერც ინატრებდა. მან შარშანდელ გამარჯვებულ ლენს არმსტრონგს 2 წამით აჯობა. ანგლოფონების დუეტის უკან (თუმცა მილარი ფრანგულსაც მშვენივრად ფლობს, საფრანგეთშიც ცხოვრობს და ფრანგული გუნდის ღირსებასაც იცავს), ორი სხვა ფავორიტი განლაგდა. მოწინავე პოზიციაზე დიდხანს მყოფი ლორან ჟალაბერი მილარს 13 წამით ჩამორჩა, იან ულრიხი კი 14-ით. ამ შედეგით ორივე მრბოლი საკმაოდ კმაყოფილი დარჩა.

„ყვითელი მაისურით დავწვები დასაძინებლად“ — განუცხადა მილარმა ჟურნალისტებს და თავისი ისტორიაც მოუყვა. იგი მალტაზე დაბადებულა. მამისი დიდი ბრიტანეთის სამეფო საჰაერო ძალების პილოტი ყოფილა და დევიდიც 1995 წლამდე მასთან ერთად მოგზაურობდა. ცხოვრება კი ძირითადად ჰონგკონგში უწევდა, სადაც გაიტაცა კიდეც ველოსპორტმა. საგზატკეცილო რბოლას მან ოქსფორდის მახლობლად გაუსინჯა გემო. იქ იგი დედასთან ერთად ატარებდა ხოლმე არდადეგებს. 1995 წლიდან მილარი ევროპის კონტინენტურ ნაწილზე, ჯერ ბელგიაში, მერე კი საფრანგეთში დამკვიდრდა. ორი წლის შემდეგ ახალშექმნილმა გუნდმა „კოფიდისმა“ იგი „სენ კანტენიდან“ გადაიყვანა.

გრძელ დისტანციებზე რბოლა ძალიან მიყვარს. ინგლისში ინდივიდუალური რბოლები ძირითადად 16 კილომეტრიანია. როცა წლევანდელი „ტურის“ გზა ვნახე, ვიფიქრე, რომ პირველი ეტაპი ჩემთვის იყო ზედგამოჭრილი. თუმცა ყვითელ მაისურაზე არც მიოცნებია. უფრო თეთრის მოპოვებას ვგეგმავდი, რომელსაც საუკეთესო ახალგაზრდა იცვამს“ — თქვა 192 სანტიმეტრი სიმაღლის შოტლანდიელმა, რომლის საშუალო სიჩქარეც ლამის 52 კმ/სთ იყო.

შვეიცარიელმა ალექს ცულემ მილართან 20 წამი წააგო, ესპანელმა აბრაამ ოლანომ — 39. „კოფიდისის“ ლიდერმა ბელგიელმა ფრანკ ვანდერბრუკმა წუთზე მეტი, ისევე როგორც ამერიკელმა ბობი ჯულიჩმა. ამ ცნობილ ხალხზე გაცილებით უარესი შედეგები ჰქონდათ მთიელებს. ფრანგმა რიშარ ვირანკმა და ესპანელმა ფერნანდო ესკარტინმა დაახლოებით წუთნახევარი დათმეს, იტალიელმა მარკო პანტანიმ კი — ორ წუთზე მეტი. „ვიცოდი, რომ ინდივიდუალურ რბოლაში ბლომად წამებს წავაგებდი, თუმცა, საბედნიეროდ, საერთო ჩათვლაში სხვების გასასწრებად კიდევ ბევრი დრო და მშვენიერი მთები მაქვს“ — თქვა „მეკობრედ“ შერაცხულმა პანტანიმ. მშვენივრად გამოვიდა „ონსე“, რომლის ყველა წევრი 35 მოწინავეში მოხვდა, მაგრამ ამ ესპანურმა გუნდმა დიდი დანაკლისიც განიცადა — მისი ერთ-ერთი საუკეთესო გრეგარი დავიდ ეჩებერია წაიქცა და „ტურს“ გამოაკლდა. თუმცა, დღეს გუნდურ რბოლაში „ონსე“ მაინც ფავორიტია.

სტარტამდე პელოტონმა კიდევ სამი კაცი დაკარგა. სერგეი ივანოვს (რუსეთი, ფარმ ფრაიტსი), როსანო ბრასის (იტალია, პოლტი) და ანდრეი ჰაუპცმანს (სლოვენია, ვინი კალდიროლა) სისხლში ჰემატოკრიტების დონე ნორმაზე მეტი აღმოაჩნდათ და მათ რბოლის დაწყების უფლება არ მისცეს.

კვირას, მეორე ეტაპზე ბელგიელმა ტომ სტეელსმა დაამტკიცა, რომ პეპლებს შორის ტოლი ძნელად მოეძებნება და მარიო ჩიპოლინის არყოფნაში გაილაღებს კიდეც. ლუდენში მან სტიუარტ ოგრედს და ერიკ ზაბელს აჯობა, რომელიც ბოლო ოთხი წელია, ქულებით ყველას უსწრებს და მწვანე მაისურაც ლამის მის მუდმივ მფლობელობაში გადავიდეს. სტეელსი 1997 წელს „ტურიდან“ მოკვეთეს, რადგან ფრანგ ფრედერიკ მონკასენს წყლის პატარა ბიდონი ესროლა. შემდეგ წელს სტეელსმა ოთხი ეტაპი მოიგო, შარშან კი — სამი. „ამ გამარჯვებამ ძალიან გამახარა, რადგან „ტურში“ მოგება ყოველთვის ძნელია“ — თქვა ბელგიელმა, რომელსაც ფინალურ სპრინტში ზაბელის თანაგუნდელმა, იტალიელმა ჯონ მატეო ჯანინიმ ხელი კი შეუშალა, მაგრამ მაინც ვერ დააკარგვინა პირველობა.

დღის მთავარი გაქცევა ფრანგმა ჟაკ დიურანმა და ჰოლანდიელმა ერიკ დეკერმა განახორციელეს, რომლებმაც შეტევა 35-ე კილომეტრზე გადაწყვიტეს და 111 კმ-იც პელოტონის წინ იქროლეს. მათმა უპირატესობამ 5 წუთსა და 20 წამსაც მიაღწია, მაგრამ მერე ჯერ დეკერმა გამოკიდა თეთრი ბაირაღი, მერე კი დიურანმაც.

**გაიოზ თალაკვაძე**

### პირველი ეტაპი

ფუტუროსკოპი, ინდივიდუალური რბოლა, 16,5 კმ

1. დევიდ მილარი (დიდი ბრიტანეთი, კოფიდისი) — 19 წთ 03 წმ
2. ლენს არმსტრონგი (აშშ, პოსტალი) — +2 წმ
3. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) — +13
4. იან ულრიხი (გერმანია, ტელეკომი) — +14
5. დავიდ კანადა (ესპანეთი, ონსე) — +16

### მეორე ეტაპი

ფუტუროსკოპი — ლუდენი, 194 კმ

1. ტომ სტეელსი (ბელგია, მაპეი) — 4 სთ 46 წთ 08 წმ
2. სტიუარტ ოგრედი (ავსტრალია, კრედი აგრიკოლი)
3. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი)
4. რომანს ვაინსტეინსი (ლიტვა, ვინი კალდიროლა)
5. მარსელ ვუსტი (გერმანია, ფესტინა) — ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. დავიდ მილარი — 5 სთ 05 წთ 09 წმ
2. ლენს არმსტრონგი — +4 წმ
3. ლორან ჟალაბერი — +15
4. იან ულრიხი — +16
5. დავიდ კანადა — +18

## ცოტაოდენი გეოგრაფია და ისტორია



ფუტუროსკოპი — „ფანჯარა XXI საუკუნეში“ — ასე ეძახიან ამ ქალაქ-პარკს, რომელიც მხოლოდ 13 წლისაა. ფუტუროსკოპი 1987 წელს აშენდა. აქ უამრავი დიდეკრანიანი დარბაზია, დამთვალიერებლებს შეუძლიათ, სპეციალური ეფექტებით დატკბნენ და საერთოდ, ამ ქალაქში შესულს თავი კინოში გეგონებათ. ამიტომაც ყოველწლიურად მთელი მსოფლიოდან უამრავი ტურისტი აწყდება ფუტუროსკოპს და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, მის მნახველთა რაოდენობა წლიდან წლამდე მატულობს. დაარსებიდან მოყოლებული ფუტუროსკოპი „ტურ დე ფრანსის“ საყვარელ ადგილადაც გადაიქცა და „ტური“ უკვე მეშვიდედ ესტუმრა ამ ატრაქციონების პარკს (1986, 87, 89, 90, 94,99 წლები). ისე, წლეულს უკეთეს სტარტის ადგილს ვერც მიაგნებდნენ — მე-20 საუკუნის ბოლო „ტური“ „XXI საუკუნის ფანჯარაში“ უნდა დაწყებულიყო.



ლუდენი — მდიდარი წარსულის მქონე ქალაქის ისტორიულ ცენტრს ორმაგი „სარტყელი“ აკრავს. პირველში ძირითადად სამხედრო და რელიგიური ნაგებობებია, მეორე კი უფრო თანამედროვე შენობებისგან შედგება. ამ მშვენიერ არქიტექტურას კიდევ უფრო ალამაზებს ნარგავები. ლუდენს ფრანგები აყვავებულ ქალაქსაც უწოდებენ. აქ სპორტი ძალიან უყვართ და დიდადაც უწყობენ ხელს მის განვითარებას. მუნიციპალიტეტი 41 სპორტულ ასოციაციას ეხმარება, რომლებშიც 3650 ადამიანია გაწევრიანებული. ამ ხალხს თავისი ენერგიის დასახარჯად სამი სტადიონი, ორი აუზი, ორი სპორტის სასახლე, ველოდრომი და ბევრი კორტი აქვს.

## ველოლექსიკონი

ბორბალში ჩაჯდომა — როცა ერთი მრბოლი მეორეს ზუსტად უკან მიჰყვება, ამით ჰაერის წინალობას ამცირებს და შესაბამისად ნაკლებ ენერგიასაც ხარჯავს

გამოქანება — საფინიშო სპრინტის დროს თანაგუნდელები პეპელას ბორბალში ჩაისვამენ, სიჩქარესააკრეფინებენ და რიგრიგობით ჩამოეცლებიან გზიდან

გაქცევა — როცა რომელიმე მრბოლი ან მრბოლთა ჯგუფი პელოტონს გამოეყოფა და დაწინაურდება

გრეგარი — მრბოლი, რომელიც თანაგუნდელების (ნამდვილისა და პეპლის) დამხმარეა

გუნდური რბოლა — როცა თითოეული გუნდი სტარტზე ცალკე გამოდის და ეტაპის გზასაც მარტო გადის

ინდივიდუალისტი — მრბოლი, რომელიც ინდივიდუალურ რბოლაშია ძლიერი

ინდივიდუალური რბოლა — როცა თითოეული მრბოლი სტარტზე ცალკე გამოდის და ეტაპის გზასაც მარტო გადის

მთიელი — მრბოლი, რომელიც აღმართებშია ძლიერი

ნამდვილი — მრბოლი, რომელიც გუნდის ლიდერი და მრავალდღიანი ტურნირების მოგების შემძლეა. იგი ან მთიელია და ან ინდივიდუალისტი

პელოტონი — ამა თუ იმ ტურნირში მონაწილე მრბოლთა ერთობლიობა

სიძნელე — აღმართი, მთა, რომელიც პელოტონმა უნდა გაიაროს. მთები შეიძლება იყოს სხვადასხვა კატეგორიის (მეოთხე, მესამე, მეორე, პირველი, უმაღლესი) სირთულის

სპრინტერი, პეპელა — მრბოლი, რომელიც საფინიშო ჯგუფური სპრინტის მოგებისთვის იბრძვის

შეტევა, იერიში — როცა რომელიმე მრბოლი ან მრბოლთა ჯგუფი უეცრად სიჩქარეს გაზრდის გაქცევის მიზნით

## ერთი დღის ისტორია

### 1 ივლისი

ისტორიაში პირველი „ტურ დე ფრანსი“ სწორედ ამ დღეს დაიწყო — 1903 წელს. მრბოლებმა სტარტი მონჟერონში აიღეს, პარიზიდან ლიონისკენ მიმავალ გზაზე მდებარე პატარა ქალაქში. ილ დე ფრანსის პრეფექტმა ლეპინმა დელაქალაქიდან „ტურის“ დაწყება მიზანშეუწონლად ცნო. ამის მიზეზი მეტად სასაცილო იყო — ველომრბოლები ავტომანქანების ნორმალურ მოძრაობას ხელს შეუშლიანო. და ეს მაშინ, როცა პარიზში 1903 წელს თითზე ჩამოსათვლელი იყო მანქანები! პირველი „ტური“ 6 ეტაპისგან შედგებოდა (2428 კმ) და სამ კვირა გაგრძელდა. იმ დროისთვის ფანტასტიკური საპრიზო ფონდის (რამდენიმე ათეული ათასი ფრანკი) გამო დაახლოებით 60 მრბოლმა დაიწყო, რაც ძალიან დიდი რიცხვი იყო. საბოლოო გამარჯვება მორის გარენს ერგო. იგი 1871 წელს დაიბადა იტალიაში, მაგრამ მერე საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღო. მისი საშუალო სიჩქარე 25,679 კმ/სთ იყო.

### 2 ივლისი

1994 წელს დიდბრიტანელმა კრის ბორდმანმა ისტორიაში უსწრაფესად გაიარა პროლოგი ლილიდან ერალილამდე. ნაშუადღევის სიცხის მიუხედავად, ბორდმანის საშუალო სიჩქარე 7,2 კილომეტრიან დისტანციაზე 55,152 კმ/სთ იყო. მეორე ადგილზე მიგელ ინდურაინი გავიდა (+15 წმ), მესამეზე ტონი რომინგერი (+19). ბორდმანი მეორე ინგლისელი გახდა ტომ სიმპსონის შემდეგ, რომელმაც ყვითელი მაისურა მოირგო. სიმპსონი 1962 წელს სენ გოდენის ეტაპის მერე დაწინაურდა საერთო ჩათვლაში. ბორდმანის ისტორიული მიღწევის გარდა საინტერესო ისიც იყო, რომ დონ მიგელმა რომინგერს მხოლოდ ოთხი წამი მოუგო და, წესით ამ ორ სპორტსმენს შორის დიდი ბრძოლაც უნდა გაჩაღებულიყო. თუმცა ესპანელმა შვეიცარიელიც და სხვებიც მაინც იოლად დაჩაგრა და ზედიზედ მეოთხედაც მოიგო „ტური“.

### 3 ივლისი

1949 წლის 3 ივლისს „ტურ დე ფრანსის“ მესამე ეტაპი მოეწყო ბრიუსელიდან ბულონამდე. გამარჯვება ბელგიელ ნორბერ კალანს დარჩა, რომელმაც 190 კილომეტრი მარსელაკსა და მატიესთან ერთად პელოტონს მოწყვეტილმა იქროლა. შედეგად კალანმა ყვითელი მაისურაც დაისაკუთრა, მაგრამ არ ეგონა, თუ საერთო ჩათვლაში თავის თანამემამულე როჟე ლამბრეშს გადაასწრო და ამიტომ „ტურის“ ორგანიზატორებს სანუკვარი ტუნიკის მისალებად არ მიაკითხა. ხოლო როცა გაიგო, რაც ეკუთვნოდა, ყვითელი მაისურას შემნახველი უკვე მომდევნო ეტაპის ბოლო ქალაქში დახვდა გამგზავრებული. ასე რომ, კალანს იმ მაისურის ჩაცმა არ ეღირსა, რადგან მეორე დღეს ლიდერობა დაკარგა. თუმცა ის ეტაპი მან მაინც ყვითლად შემოსილმა გაიარა — ბელგიელმა ჟურნალისტმა ალბერტ ვან ლეიტემმა მისი უიღბლობა რომ შეიტყო, თავისი ყვითელი პულოვერი უსახსოვრა.

# კულჰარდის თითი და მანი კური

ავტორბოლის სამშობლოდ სწორედ საფრანგეთი ითვლება და სხვებს ამაზე საკამათო არაფერი აქვთ. ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს, 1894 წელს, პარიზსა და რუანს შორის 126 კმ-ის დასაძლევად 21 მანქანა გაეჯიბრა ერთმანეთს. გამარჯვებულმა „პეჟომ" 17 კმ/სთ საშუალო სიჩქარით იბობლა.

გრძელ მანძილზე გადარბენებმა მალე მოიპოვა პოპულარობა და ოფიციალური ორგანიზაციებიც გაჩნდა — მათ შორის საფრანგეთის საავტომობილო კლუბი, რომელმაც თავისი შექმნის ათი წლისთავზე (1906) მთელს დუნიაზე უპირველესი დიდი პრიზის გათამაშება მოაწყო. ისტორიული რბოლა მოიგო უნგრელმა ფერენც ზიზიმ, რომლის „რენოს" იმ დროისთვის წარმოუდგენლად მძლავრი, 90 ცხენისძალიანი ძრავა ედგა.

ფრანგები ფორმულაშიც ერთ-ერთი პირველები ჩაებნენ — მათი დიდი პრიზი თავიდან სწორედ ავტოკლუბის სახელობისა იყო. დღემდე სულ 64 ფრანგ პილოტს უასპარეზია. მათგან 12-მა ჯამში 79 რბოლის მოგება მოახერხა, თუმცა მსოფლიოს ჩემპიონობა მხოლოდ ერთმა, ლეგენდარულმა ალენ პროსტმა შეძლო.

გუშინწინდელი ეტაპი საიუბილეო, 50-ე გახდა საერთოდ და მეათე „მანი კურის" ზეთანამედროვე ავტოდრომისთვის. საფრანგეთში კარგა ხანია, აიკრძალა თამბაქოს რეკლამა, რის გამოც მრბოლებიცა და ბოლიდებიც ცოტა უჩვეულოდ გამოიყურებოდნენ. „ფერარის" გენერალური სპონსორის „მარლბოროს" საფირმო ნიშნები თეთრით იყო გადაწებებული, ხოლო ჰაკინენსა და კულჰარდს გერმანული კონცერნ „ვესტის" ნაცვლად ზურგზეც და მანქანებზეც სახელები „მიკა" და „დევიდ" ეწერათ.

შარშანდელი თავსხმისგან განსხვავებით, ამჯერად შაბათ-კვირას მშვენიერი დარი იდგა. კვალიფიკაცია დებიუტანტ გასტონ მაცაკანეს „მინარდიმ" გახსნა და როგორც შემდეგ გაირკვა, უკანასკნელი 22-ე დრო აჩვენა. მიხაელ შუმახერმა კი უნაკლო პირველივე ცდით კონკურენტებს პოულის მოგების იმედი გადაუწურა. მეორე შედეგი რუბენს ბარიკელოს ჰქონდა, მესამე — ჰაკინენს. შუა კვალიფიკაციისას უკვე ყველა თითოჯერ მაინც იყო ტრასაზე, კულჰარდის გარდა. შოტლანდიელს ორიოდე საათით ადრე, ვარჯიშისას ძრავა აუფეთქდა. შეკეთებას აზრი არ ჰქონდა, ამიტომ მექანიკოსებმა ახლით შეცვლა გადაწყვიტეს. შეიქმნა საფრთხე, რომ შეიძლებოდა დროზე ვერ მოესწროთ, ამიტომ დევიდი თანაგუნდელის სათადარიგო ბოლიდს მიუჯდა და მასზე უკეთესი დროც აჩვენა.




მიხაელ შუმახერმა (მარცხნივ) „ადელაიდაში" დევიდ კულჰარდი არ გაატარა და თითიც დაიმსახურა

როგორც წესი, პოულისთვის ბრძოლისას ლიდერი რამდენჯერმე იცვლება. ამჯერად სიტუაცია ერთხელაც არ დაძაბულა — შუმის ბრწყინვალე შედეგს ბოლომდე ძვრა ვერავინ უყო. საკვალიფიკაციო საათის გასრულებამდე სამი წუთით ადრე კულჰარდის ბოლიდის რემონტს როგორც იქნა, საშველი დაადგა. ისიც ფეთიანივით გაქანდა და ჩინებულ შედეგსაც მიაღწია — მხოლოდ წამის მეათედით ჩამორჩა შუმახერს და პირველი რიგიდან რბოლის დაწყების უფლებაც მოიპოვა. თუმცა დევიდს სტარტი სწორედ მიხაელის გამო ვერ გამოუვიდა სასურველი. მწვანე შუქის ანთებისთანავე გერმანელმა ტრადიციულად გვერდზე გაიწია, რათა უახლოესი მეტოქისთვის გზა მოეჭრა და მოახერხა კიდეც, თან თანაგუნდელსაც დიდად დაეხმარა, რადგან ხაფანგში მომწყვდეულ შოტლანდიელს ბარიკელომ იოლად აუარა გვერდი. ამჯერადაც უსწრაფესად მოსწყდა ადგილს ჟაკ ვილნევი და ორ წინ მდგომს გაასწრო. ასევე ორი პოზიცია მოიგო ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმაც. სამაგიეროდ, ძალიან ზანტად დაიძრნენ ედი ირვინი და რალფ შუმახერი. პატარა შუმიმ ორი ადგილი დაკარგა, ირლანდიელმა კი — ოთხი და უცბად მეათეზე გადავარდა.

სტარტისშემდგომი სახიფათო მოსახვევი ამჯერად ყველამ მშვიდობიანად დაძლია. თავიდანვე დაწინაურებული ექვსეული კარგა ხანს, თითქმის ასი კილომეტრის მანძილზე ვერავინ შეავიწროვა, თუმც რალფი გაშმაგებით ცდილობდა ფრენცენის გასწრებას. ბარიკელოსთან ლიდერის უპირატესობა ხუთ წამს არ ასცილებია. თანაგუნდელებს შორის 20 წრის შემდეგაც იგივე სხვაობა იყო, კულჰარდი და ჰაკინენი მათ ორწამიან შუალედში მისდევდნენ, ვილნევი და ფრენცენი კი უკვე ნახევარი წუთით ჩამორჩნენ.

რბოლა საკმაოდ კორექტულად, უავარიოდ მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით ბედოვლათი თანაგუნდელების, უხნესი ჟან ალეზისა და დებიუტანტ ნიკ ჰაიდფელდის შეჯახებას, რამაც ორივე „პროსტი" კინაღამ ჯართად აქცია. რა გასაკვირია, რომ ბოქსებში შესვლის ლენტიც სწორედ მათ გაჭრეს. პირველი გამოვარდნა კი მხოლოდ მე-17 წრეზე აღინიშნა, რაც საკმაოდ იშვიათი შემთხვევაა. ეს პატივი ბრაზილიელი რიკარდო ზონტას BAR-ს ერგო. ამასობაში 20 წლის ჯენსონ ბატონმა მამის ხნის ირვინსა და მიკა სალოს გაასწრო და მეცხრე გახდა.

გზის მესამედი ილეოდა, როცა კულჰარდმა ბარიკელოსთან ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა და რამდენიმე იერიშიც მიიტანა. რუბენსი ხუთიოდე წუთი იგერიებდა შეტევებს, მაგრამ 23-ე წრეზე მაინც მოუხდა გზის დათმობა. ტექნიკურად უნაკლო მანევრი დევიდმა საკმაოდ ეშმაკურადაც განახორციელა — თავიდან მარცხნიდან შეუტია მეტოქეს, მერე კი, მოულოდნელად, შიდა მხრიდან შეძვრა ურთულეს მოსახვევში „ადელაიდა" და მაღალი სიჩქარის ხარჯზე ადვილად ჩამოიტოვა უკან.

ლიდერთაგან ბოქსებში პირველმა ჰაკინენმა შეიარა 7,5 წამით, მას შუმახერი მიჰყვა — 8,8 და მესამე დაუბრუნდა რბოლას. 25-ე წრეზე ერთდროულად ჩაიმატეს საწვავი კულჰარდმა (7,3) და ბარიკელომ (6,6). შუმიმ დაიბრუნა ლიდერობა ხუთწამიანი უპირატესობით, რუბინიო კი მეოთხე აღმოჩნდა. შოტლანდიელმა ახალი საბურავებით ფანტასტიკური ტემპი განავითარა — ყოველ წრეზე ნახევარ წამს უგებდა შუმახერს (28-ე კი სარეკორდო სიჩქარით გაიქროლა) და მალე წამოეწია კიდეც. ლიდერის ბედაურს უკვე მაშინ შეექმნა პრობლემები. მოსახვევებში კულჰარდი მინიმუმამდე უახლოვდებოდა „ფერარის" და გვერდის ავლასაც მაშინ ცდილობდა. 33-ე წრეზე მან ისევ იქ „ადელაიდაში" მარცხნიდან, გარე ტრაექტორიით სცადა გასწრება, მაგრამ შუმახერმა არცთუ კორექტულად გაიწია განზე, რათა არ გაეშვა და ოდნავ წაჰკრა კიდეც გვერდი, რაზეც მეტოქისგან შუა თითის დამცინავი ჟესტი დაიმსახურა. ხუთიოდე წრის შემდეგ კულჰარდმა მაინც მიაღწია მიზანს — გვიან დაამუხრუჭა, ამჯერად უკვე შიდა მხრიდან მიიტანა მოსახვევში იერიში და ხელთ იგდო ლიდერობა.

რბოლის ბედი კი ფინიშამდე 50 კილომეტრით ადრე გადაწყდა — მიხაელის აბოლებულ ბოლიდს ჰაკინენმაც უბრძოლველად გაუსწრო. ძალაგაცლილი „ფერარი" ძლივს მიგორდა ბარიერამდე. ამით ფაქტობრივად დასრულდა კიდეც პირველობისათვის ბრძოლა. ექვსეული ბოლომდე უცვლელი დარჩა — ჰაკინენი იმდენად ჩამორჩა, რომ თავის მოკვლას აზრი არ ჰქონდა, არც ბარიკელოს ჰქონდა თუნდაც ერთი „მაკლარენის" დაწევის შანსი, ვილნევისთვის კი ამჟამინდელ ვითარებაში მეოთხე ადგილი ოცნების ზღვარია.

29 წლის კულჰარდმა პირველად გაიმარჯვა საფრანგეთში, მესამედ წლევანდელ სეზონში და მეცხრედ კარიერაში. ამ წარმატებით მან შუმახერთან უზარმაზარი, 22-ქულიანი ჩამორჩენა თითქმის გაანახევრა, თან კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ორგზის ჩემპიონ თანაგუნდელს არაფრით ჩამოუვარდება და მისთვის რბოლის დათმობაზე ლაპარაკიც კი არ იქნება.

გამარჯვებული თასით დააჯილდოვა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ლიონელ ჟოსპენმა, რომელმაც უქმეები მანი კურში გაატარა რბოლის სათანადო დონეზე ჩასატარებლად, საღამოს კი როტერდამში გადაფრინდა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში თავისიანების მხარდასაჭერად.

**ირაკლი ნიკოლაძე**

## რბოლის შედეგები

**საფრანგეთის დიდი პრიზი**
2 ივლისი. მანი კური
დისტანცია — 72 წრე — 305,886— კმ

| | | |
|---|---|---|
| 1. კულჰარდი (მაკლარენი) | 1:38.5,538 (187,1 კმ/სთ) | 10 ქულა |
| 2. ჰაკინენი (მაკლარენი) | ჩამორჩა 14,748 წამით | 6 ქულა |
| 3. ბარიკელო (ფერარი) | 32,409 | 4 ქულა |
| 4. ვილნევი (BAR) | 1.1,322 | 3 ქულა |
| 5. რ. შუმახერი (უილიამსი) | 1.3,981 | 2 ქულა |
| 6. ტრული (ჯორდანი) | 1.15.604 | 1 ქულა |
| 7. ფრენცენი (ჯორდანი) | 1 წრით | |
| 8. ბატონი (უილიამსი) | 1 წრით | |
| 9. ფიზიკელა (ბენეტონი) | 1 წრით | |
| 10. სალო (ზაუბერი) | 1 წრით | |
| 11. დინიცი (ზაუბერი) | 1 წრით | |
| 12. ჰაიდფელდი (პროსტი) | 1 წრით | |
| 13. ირვინი (იაგუარი) | 2 წრით | |
| 14. ალეზი (პროსტი) | 2 წრით | |
| 15. ჟენე (მინარდი) | 2 წრით | |

**საუკეთესო წრე**

კულჰარდი 1.19,479

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| მ. შუმახერი (ფერარი) | გაიარა 58 წრე |
| დე ლა როსა (ეროუსი) | 45 |
| ვურცი (ბენეტონი) | 34 |
| მაცაკანე (მინარდი) | 31 |
| ვერსტაპენი (ეროუსი) | 25 |
| ჰერბერტი (იაგუარი) | 20 |
| ზონტა (BAR) | 16 |

## სტარტზე განლაგება

21 მაცაკანე მინარდი 1.18,302
20 ჟენე მინარდი 1.18,130
18 ვერსტაპენი ეროუსი 1.17,933
23 ზონტა BAR 1.17,668
14 ალეზი პროსტი 1.17,569
12 ვურცი ბენეტონი 1.17,408
15 ჰაიდფელდი პროსტი 1.17,374
16 დინიცი ზაუბერი 1.17,361
11 ფიზიკელა ბენეტონი 1.17,317
19 დე ლა როსა ეროუსი 1.17,279
17 სალო ზაუბერი 1.17,223
8 ჰერბერტი იაგუარი 1.17,176
10 ბატონი უილიამსი 1.16,905
6 ტრული ჯორდანი 1.16,669
5 ფრენცენი ჯორდანი 1.16,658
22 ვილნევი BAR 1.16,653
7 ირვინი იაგუარი 1.16,399
9 რ. შუმახერი უილიამსი 1.16,291
1 ჰაკინენი მაკლარენი 1.16,050
4 ბარიკელო ფერარი 1.16,047
2 კულჰარდი მაკლარენი 1.15,734
3 მ. შუმახერი ფერარი 1.15,632

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | ავსტრალია 12.03.00 | ბრაზილია 26.03.00 | სან-მარინო 9.04.00 | დ.ბრიტანეთი 23.04.00 | ესპანეთი 7.05.00 | ევროპა 21.05.00 | მონაკო 4.06.00 | კანადა 18.06.00 | საფრანგეთი 2.07.00 | ავსტრია 16.07.00 | გერმანია 30.07.00 | უნგრეთი 13.08.00 | ბელგია 27.08.00 | იტალია 10.09.00 | აშშ 24.09.00 | იაპონია 8.10.00 | მალაიზია 22.11.00 | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მ.შუმახერი ფერარი, გერმანია | 10 | 10 | 10 | 4 | 2 | 10 | – | 10 | – | | | | | | | | | 56 |
| 2 კულჰარდი მაკლარენი, ბრიტანეთი | — | — | 4 | 10 | 6 | 4 | 10 | – | 10 | | | | | | | | | 44 |
| 3 ჰაკინენი მაკლარენი, ფინეთი | – | – | 6 | 6 | 10 | 6 | 1 | 3 | 6 | | | | | | | | | 38 |
| 4 ბარიკელო ფერარი, ბრაზილია | 6 | – | 3 | – | 4 | 3 | 6 | 6 | 4 | | | | | | | | | 32 |
| 5 ფიზიკელა ბენეტონი, იტალია | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | 4 | – | | | | | | | | | 18 |
| 6 რ.შუმახერი უილიამსი, გერმანია | 4 | 2 | – | 3 | 3 | – | – | – | 2 | | | | | | | | | 14 |
| 7 ვილნევი BAR, კანადა | 3 | – | 2 | – | – | – | – | – | 3 | | | | | | | | | 8 |
| 8 ტრული ჯორდანი, იტალია | – | 3 | – | 1 | – | – | – | 1 | 1 | | | | | | | | | 6 |
| 9 ფრენცენი ჯორდანი, გერმანია | – | 4 | – | – | 1 | – | – | – | – | | | | | | | | | 5 |
| 10 ირვინი იაგუარი, ბრიტანეთი | – | – | – | – | – | – | 3 | – | – | | | | | | | | | 3 |
| ბატონი (უილიამსი, ბრიტანეთი); სალო (ზაუბერი, ფინეთი) — 3; ვერსტაპენი (ეროუსი, ჰოლანდია) — 2; ზონტა (BAR, ბრაზილია); დე ლა როსა (ეროუსი, ესპანეთი) — 1 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 ფერარი | 16 | 10 | 13 | 4 | 6 | 13 | 6 | 16 | 4 | | | | | | | | | 88 |
| 2 მაკლარენი | – | – | 10 | 16 | 16 | 10 | 11 | 3 | 16 | | | | | | | | | 82 |
| 3 ბენეტონი | 2 | 6 | – | – | – | 2 | 4 | 4 | – | | | | | | | | | 18 |
| 4 უილიამსი | 4 | 3 | – | 5 | 3 | – | – | – | 2 | | | | | | | | | 1[illegible] |
| 5 ჯორდანი | – | 7 | – | 1 | 1 | – | – | 1 | 1 | | | | | | | | | 11 |
| BAR — 9; ზაუბერი; იაგუარი; ეროუსი — 3 ქულა | | | | | | | | | | | | | | | | | | |

# უკეთესი არ არსებობს!

დასაწყისი პირველ გვერდზე

ცერემონიის წამყვანმა ჯიმ ბარეტმა მეუღლის, 1961 წლის ჩემპიონის, ანჯელა მორტიმერის წარდგენისას ბევრი გაამხიარულა, ამ ქალბატონს ყოველ დილით საუზმეზე ვხვდებიო, მაგრამ სხვებთან დიდი სიფრთხილით შეარჩია სიტყვები, რათა რომელიმე სტუმრისთვის არ ეწყენინებინა.

მაგალითად, მარტინა ნავრატილოვას სწრაფ საფარზე ყველა დროის საუკეთესო მოთამაშე უწოდა, 24 დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებულ ავსტრალიელ მარგარეტ კორტს ცოცხალი ლეგენდა, რომლის მიღწევათა გაუმჯობესებას ვერავინ შეძლებს, შტეფი გრაფს კი ყველაზე წარმატებული ჩოგბურთელი ქალის იარლიყი ერგო.

ყველაზე დიდი მოულოდნელობით ბიორნ ბორგის გამოჩენას ელოდნენ. 1976-80 წლებში „ოლ ინგლენდ კლაბში" გაბატონებული „მეფე ვიკინგი" უიმბლდონზე 1981-ის ფინალში ჯონ მაკინროისთან დამარცხების შემდეგ არ გამოჩენილა. მისი სახელის გამოცხადებისას მაყურებლები ფეხზე წამოდგნენ და მხურვალე ტაშით მიესალმნენ შვედს. მოგვიანებით, როცა ცერემონია მთავრდებოდა, ბორგი სკამიდან დაიხარა და ბალახს აკოცა, განშორება მართლაც ხანგრძლივი იყო.

თუმცა როდესაც დროზე და ხანგრძლივობაზე მიდგება საქმე, ინგლისელ ბანი ოსტინს კონკურენციას ვერავინ გაუწევს. 94 წლის ჩოგბურთელი, 1932 და 1938-ის ფინალისტი კორტზე ინვალიდის სავარძლით გამოაგორეს, თუმც ენერგიის დიდი დაძაბვით ხელის აწევა და თითების დაქნევა მაინც მოახერხა.

სტვენა-შეძახილთა სიძლიერით თუ ვიმსჯელებთ, ინგლისელთა ფავორიტება „ალბათ ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელი" (ბარეტმა „ალბათში" პიტ სამპრასი იგულისხმა), ორგზის დიდი სლემის მომპოვებელი როდ ლეივერი, მისი თვისტომი როი ემერსონი, ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი ბორის ბეკერი, ნავრატილოვა, გრაფი და მასპინძელი ვირჯინია უეიდი შეიძლება მივიჩნიოთ, ყველაზე მოკრძალებული ტაშისცემა კი მიხაელ შტიხსა და კონჩიტა მარტინესს ერგოთ.

თავად ამ სტრიქონების ავტორი ყველაზე ცუდ გუნებაზე ჩეხი იან კოდეშის კორტზე ხილვამ დააყენა, ხოლო როდესაც 1973 წლის ფინალში მისგან დამარცხებული „რუსი" ალექსანდრე მეტრეველიც ახსენეს, განწყობა კიდევ უფრო წაუხდა.

სამწუხაროდ, წარსულის ჩემპიონების საინტერვიუდ გამოჭერა თითქმის შეუძლებელი გამოდგა: საჭირო იყო მავან ბიუროკრატთან ტელეფონით დაკავშირება, მერე ეს უკანასკნელი მოთამაშის აგენტს შეეხმიანებოდა, ის კი — თავის კლიენტს.

გულის ფანცქალით შევუკვეთე ინტერვიუ ჩემი ბავშვობის კერპ ბორის ბეკერთან და სასწაულის იმედით ფოტოაპარატი და საავტოგრაფო პლაკატები გავამზადე, მაგრამ რად გინდა: მხოლოდ ორშაბათს მითხრეს, რომ გერმანელი ლონდონში სულ ოთხი საათით ჩამოფრინდაო და თან დამამშვიდეს, შენი საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა, გული არ გაიტეხოო.

ადვილი სათქმელია, როგორ არ გავიტეხო... წინასწარ რომ გავეფრთხილებინე ვინმეს, სტეფან ედბერგს მაინც მოვითხოვდი, შვედი უკვე 10 წელია, ლონდონში ცხოვრობს.



მარკ ფილიპუსისი

REUTERS ლონდონიდან

## კორტზე რა გინდოდა...

„ზოგჯერ მატჩები ჩოგბურთის ფარგლებს სცილდება და სულ სხვა რამეზე, ნებისყოფაზე, ჯიგარზე ხდება დამოკიდებული. ასეთ მომენტებში, რაც შედარებით იშვიათია, თავად შენ შეიძლება მაინცდამაინც არც გიხაროდეს, სიამოვნებას უფრო მოგვიანებით იგრძნობ" — ეს ანდრე აგასის სიტყვებია და, მართლაც, არაჩვეულებრივ შეხვედრას ეხება ავსტრალიელ მარკ ფილიპუსისსა და ჰოლანდიელ სხენგ შალკენს შორის.

მარათონული მატჩი 5 საათსა და 5 წუთს გრძელდებოდა და საბოლოოდ 4:6, 6:3, 6:7 (7:9), 7:6 (7:4), 20:18 დასრულდა „სკადის" სასარგებლოდ.

მარტო მეხუთე სეტმა ორ საათზე მეტს გასტანა და ფილიპუსისს 14-ჯერ მოუხდა საკუთარი მოწოდების შენარჩუნება ანგარიშის გასათანაბრებლად. არც ერთ ჩოგბურთელს არ სურდა ამდენი ნაჯაფის წყალში გადაყრა, მატჩისას თამაშის ხარისხმაც სულ უფრო იმატა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ვისთვის სპექტაკლს, ვისთვის კი ტანჯვა-წამებას ბოლო არასოდეს მოელებოდა.

საბოლოოდ გადამწყვეტი ფილიპუსისის მძიმე არტილერია გამოდგა. სკადმა 37-ე(!) გეიმში როგორც იქნა ბრეიკი გააზერხა და 44-ე ეისით ფინიშის ხაზი პირველმა გადაკვეთა.

„არაფრის თავი აღარ მქონდა, კიდევ კარგი, თამაში ბალახზე იყო და არა თიხნარზე, თორემ ალბათ გამასვენებდნენ კორტიდან. ამ წუთში ბედნიერი ვარ და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს გარდამტეხი მომენტი იქნება ჩემს კარიერაში" — განაცხადა ავსტრალიელმა, რომელსაც სახეზე ლამის თავისი მაისურის, ლურჯი ფერი ედო.

რაც შეეხება დამარცხებულს, 23 წლის სხენგ შალკენი ენას ძლივს ატრიალებდა. სწორედ მესამე წრეში მან შარშან ჯიმ კურიესთან წააგო, ანგარიში მაშინ 12:14 იყო მეხუთე სეტში.

„მატჩის ბოლოს უკვე აღარ ვაზროვნებდი, ინსტიქტურად ვცდილობდი, გამომეცნო, მარკი საით აპირებდა ჩაწოდებას, რათა წინასწარ იქით გავწეულიყავი... ვერც კი დამეჯერებინა, იმდენ ეისს ურტყამდა. ყველაფერი გავაკეთე, რაც შემეძლო, მეტი ჩემს ძალებს აღემატება. შარშან წაგების შემდეგ ორი დღე დეპრესიაში ვიყავი, უკეთესს არც ამჯერად ველი".

ფილიპუსისის მომდევნო მეტოქე მასპინძელთა ჯილა ტიმ ჰენმანი იქნება. ინგლისელი ცენტრალურ კორტზე მაშინ გავიდა, როდესაც „სკადის" შეხვედრაში 1:0 იყო მეხუთე სეტში. ჰენმანმა მაროკოელი ჰიშამ არაზი 6:3, 6:3, 6:3 გაანადგურა, ფილიპუსისს კი ჯერაც არ დაესრულებინა თავისი მატჩი.

„გასახდელში მარკს ვკითხე, რა მოგივიდა, ამდენ ხანს რას აკეთებდი-მეთქი. ის უბრალოდ ბედნიერი იყო, რომ გადარჩა. იმედი მაქვს, ცოტათი მაინც დაიღლება... შალკენს ჩემი საპრიზოების ნაწილი უნდა გადავუხადო, შარშანაც დიდი სამსახური გამიწია" — ღიმილით განაცხადა ჰენმანმა, რომელიც 1999-ში მერვედფინალში კურიეს შეხვდა.

## მეფე არ მომკვდარა

კონორსისა და ლენდლის გარდა ჩემპიონთა ალლუმს კიდევ ერთი ჩემპიონი აკლდა — ექვსგზის გამარჯვებული და 90-იანების მეფე პიტ სამპრასი. იმ დროს, როდესაც სახელოვანი კოლეგები ცენტრალურ კორტზე სამ რიგად გამწკრივდნენ და სამახსოვრო ფოტო გადაიღეს, პისტოლ პიტს გასახდელში კოჭზე წამლობდნენ.

ოთხშაბათს კაროლ კუჩერასთან მეორე წრის შეხვედრაში ამერიკელს ფეხი ისე ასტკივდა, მატჩის დასრულება ძლივს მოახერხა, მერე კი საავადმყოფოში გააქანეს. გამოკვლევების შედეგად პიტს მყესის ანთება დაუდგინეს და ათასი ჯურის ექიმი, მათ შორის ჩინური მედიცინის ოსტატები (პატ კეშის რეკომენდაციით) დაახვიეს.

ჯერ კიდევ ხუთშაბათს სამპრასს სირბილი კი არა, კიბეზე ასვლაც უჭირდა, მაგრამ პარასკევს, მისდა საბედნიეროდ, გაწვიმდა და ჯასტინ გიმელსტობთან მატჩი ერთი დღით გადაიდო: „ვლოცულობდი, ამინდი დამეხმაროს და დღეს არ ვითამაშო-მეთქი, ზედმეტმა დასვენებამ გადამარჩინა. ყველანაირი წამალი ვცადე, ანთების საწინააღმდეგოები, ყინული, რაღაც ბალახები, ის ორი დღე ჩოგანს არც გავკარებივარ. მატჩის დაწყების შემდეგ ადრენალინმა ტკივილი დამავიწყა, ეს უიმბლდონია, მე ამისთვის ვთამაშობ".

ზორბა გიმელსტ[illegible] სამპრასი თავიდან ურიგოდ გამოიყურებოდა, აშკარად უჭირდა მოძრაობა და ვერც ზუსტი მიღებით ბრწყინავდა, თუმცა მერე და მერე მოუმატა და თანამემამულე ზედმეტი ენერგიისა და ძალების დაუხარჯავად დაამარცხა — 4:6, 6:4, 6:2, 6:2.

„თუ გახსოვთ, რომ მას ტრავმირებულს წაეგოს? ნეტავ არაფერი სტკენოდა, მეტი შანსი მექნებოდა — განაცხადა გიმელსტობმა პრესკონფერენციაზე და მეტად უცნაური შენიშვნაც დაუმატა — ალბათ, როდესაც დედის საშოდან გამოდიოდა, ღმერთმა მის მარჯვენა მხარს ცოტა მეტი დრო დაახარჯა. პიტს ისეთი მოწოდება აქვს, ამაში ზეციური ძალებია ჩარეული".

ერთ დროს მარტინა ჰინგისის ბოიფრენდ გიმელსტობს იუმორის კარგი გრძნობაც აღმოაჩნდა: „ვიცოდი, მატჩს ბევრი ლეგენდარული მოთამაშე ესწრებოდა, მაგრამ ჩემი ყურადღება თავიდან ერთმა მაგარმა გოგომ მიიპყრო. ვიფიქრე, თუ კარგად ვითამაშებ, იქნებ დავითრიო-მეთქი, მაგრამ მოგვიანებით გავხედე და აღმოვაჩინე, თურმე ბიორნ ბორგს ახლდა. საშინლად დამწყდა გული..."

P.S. ხომ გეუბნებოდით, პროგნოზებისას ბადალი არ მყავს და შეგიძლიათ, ჩემს წინასწარმეტყველებას ყოველთვის ენდოთ-მეთქი.

შაბათს თქვენმა მონა-მორჩილმა „პერიეს" მიერ მოწყობილ თამაშში გაიმარჯვა: მივხვდი, რომ ლინდსი დევენპორტი პაოლა სუარესს ორ სეტში, თანაც ექვსი გეიმის წაგებით დაამარცხებდა (6:4, 6:2).

როგორც დღის ჩემპიონს პრიზად „პერიეს" საფირმო მაისურა და უზარმაზარი ქოლგა მერგო.

მეოთხე წრე. ქალები: **ლინდსი დევენპორტი** (2, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) 6:3, 6:3; **მონიკა სელეში** (6, აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (9, ესპანეთი) 6:3, 6:4; **ელენა დოკიჩი** (ავსტრალია) — კრისტინა ბრანდი (აშშ) 6:1, 6:3; **სერენა უილიამსი** (8, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნა (ტაილანდი) 6:1, 6:1; **მარტინა ჰინგისი** (1, შვეიცარია) — ანკე ჰუბერი (11, გერმანია) 6:1, 6:2; **ვინუს უილიამსი** (5, აშშ) — საბინე აპელმანსი (ბელგია) 6:4, 6:4; **მაგუი სერნა** (ესპანეთი) — ლილია ოსტერლოჰი (აშშ) 7:6 (7:1), 6:3; **ლიზა რაიმონდი** (აშშ) — ოლგა ბარაბანშიკოვა (ბელარუსი) 6:4, 6:2.

მეოთხე წრე. კაცები: **პატრიკ რაფტერი** (12, ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი (შვედეთი) 6:3, 6:4, 6:7 (4:7), 6:1; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — დავიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:3, 6:3; **ჟან მაიკლ გემბილი** (აშშ) — ტომას ენკვისტი (9, შვედეთი) 7:6 (7:5), 3:6, 6:3, 6:4; **ალექსანდერ პოპი** (გერმანია) — მარკ როსე (შვეიცარია) 6:1, 6:4, 3:6, 4:6, 6:1; **ბაირონ ბლექი** (ზიმბაბვე) — ჯანლუკა პოცი (იტალია) 4:6, 7:6 (7:5), 6:2, 6:4; **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:3, 6:2, 7:5; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — უეინ ფერერა (ს. აფრიკა) 6:3, 6:4, 7:6 (7:0).



REUTERS ლონდონიდან

უიმბლდონის ყველა ვარსკვლავ-ლეგენდა

# დელ პიეროს საგოდებელი

„ჰოი, რა უცებ ჩამოჰკრა უბედურების ზარმა, ბოლო წუთზე (ძირითადი დროის) ზეცა როგორ ჩამოიქცა და როგორ დაბნელდა ირგვლივ ყოველი. წუთი, წუთი... ერთ წუთში გავცვლი მთელს ჩემს სამეფოს...“ (ალესანდრო დელ პიეროს მონოლოგი ტრაგედიიდან „საფრანგეთი — იტალია 2:1“).

შენიშვნები: დელ პიეროს ღრიალა პლაკატი მავან ჩინურ ქალაქშია გაკრული, ხოლო მონოლოგის მოწმე ქუჩაში მოსეირნე ჩინელი გოგონა გახლავთ.







# მაკრატელა

ევრო 2000 დამთავრდა, მალიორკაში კი პლაჟის ფეხბურთი გახურებულა. ცხელ ქვიშაზე დახტიან სხვადასხვა ხალხის შვილები და ისეთ რამეებს აკეთებენ?!.. აი, პორტუგალიელი ჟოაო შარაიფას მაკრატელა, რომლის ფოტოზე ნახვაც გვარწმუნებს, რომ:

1. პორტუგალიელებს ტექნიკური ფეხბურთი უყვართ;
2. შარაივას ტანზე ბევრად თეთრი ფეხისგულები ჰქონია და რა არ ჩანს ფოტოზე? რა და ის, რომ პორტუგალიელებმა გერმანელები არა მარტო ევრო 2000-ზე დაიბრიყვეს, არამედ აქაც, ბალეარის კუნძულებზე. აბა, 5:1-ს სხვა სახელი არ ჰქვია.



# ცენტრალურ კორტზე

სახელიანი ხალხის უიმბლდონზე ყოფნა არავის უკვირს. ამიტომ უბრალოდ წარმოგიდგენთ: ტომ კრუზი, მსახიობი და მარკ მაკკორმეკი, პრომოუტერი სხედან და ანდრე აგასისგან ჯერომ გოლმერის დაჩაგვრას ინტერესით უჭვრეტენ. ამბავი უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ხდება.

# ცხოველური ფეხბურთი და სექსი

საფრანგეთისა და პორტუგალიის დროშებით მოხატული სპილო ბურთს აკონტროლებს, მაგრამ ის მეორეც არ ჩანს ჯაბანი, მეტოქის ფეხებში ვარდნას უნდა ეშურებოდეს. სპილოთა სხეულებზე კი ევრო 2000-ის სრული სიმბოლიკაა: დიდი ფეხბურთი რაღა ტაილანდს დასტოვებდა განზე, თუმცა ცხოვრებაში ევრო 2000-ზე მნიშვნელოვანი საქმეებიც არსებობს და მეორე ფოტოს თანახმად, სპილოებს ეს ადამიანებზე არანაკლებ ესმით. თუმც ევრო 2000-ს იქაც ვერ აცდებით.







სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქრო-პირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge